შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზაალ ქორთუა

# ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან

## ოდიშის სამთავრო XVII საუკუნის პირველ ნახევარში.
## (ურთიერთობა ოსმალეთთან, სპარსეთთან და ევროპასთან)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

უაკ(UDC) 94(479.22)
ქ-659

ნაშრომი შეეხება მეტად საინტერესო პერიოდს დასავლეთ საქართველოს, კერძოდ ოდიშის სამთავროს ისტორიაში, როცა ჭკვიანი და ენერგიული მმართველის –ლევან II დადიანის (1611-1657წწ.) მოღვაწეობის ხანაში, სამთავრომ მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს და მოიპოვა დომინანტური მდგომარეობა სხვა დასავლეთ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან შედარებით. გაძლიერდა შიდა სტრუქტურები, განმტკიცდა მხარის თავდაცვისუნარიანობა, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ეკონომიკური წინსვლისთვის, სამთავრო გახდა ცენტრი ქართული კულტურის გადარჩენა-აღორძინებისა. ძლიერი მთავარი არ სჯერდებოდა მიღწეულს და ყველანაირად ცდილობდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებასა და თავისი ძლიერი ხელისუფლებისთვის დაქვემდებარებას. წარმოდგენილ ნარკვევში შესწავლილია ოდიშის სამთავროს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები XVII ს. I ნახევარში. გაანალიზებულია მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები. ნაშრომი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, სტუდენტებსა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ფართო მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მურმან პაპაშვილი**

რეცენზენტი — **ავთანდილ თორდია**

ნაშრომი დაიბეჭდა ა(ა)იპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 15 ივნისის №15 დადგენილების საფუძველზე.

© ზ. ქორთუა, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-697-5

# შესავალი

XVII საუკუნის დასაწყისში საქართველო უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა. იგი მოქცეული იყო ორ მტრულად განწყობილ მაჰმადიანურ სახელმწიფოს – სპარსეთსა და თურქეთს შორის, რომელთა შემოსევებიც ანადგურებდა და მიწასთან ასწორებდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. ინგრეოდა საუკუნეთა მანძილზე რუდუნებით შექმნილი კულტურის ძეგლები, ნადგურდებოდა ქალაქები და სოფლები, იხოცებოდა მოსახლეობა.

ქართველი მეფე-მთავრები სხვადასხვანაირად უყურებდნენ თავს დამტყდარ აგრესიას. ზოგიერთი მათგანი იარაღით ხელში გმირულად ებმებოდა მომხდური მტრის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში და მარცხის შემთხვევაში მეზობელ თუ შორს მყოფ ქრისტიანულ სახელმწიფოებს დახმარებისაკენ მოუწოდებდა. სამწუხაროდ, ასეთ ვითარებაში აუცილებელი და მეტად საჭირო ერთიანობა არ არსებობდა დაქუცმაცებული საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის. ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა ერთი ნაწილი კი ძლიერი და აგრესორი მაჰმადიანი მეზობლის ფორმალური ყმობით და მოქნილი დიპლომატიის გამოყენებით ცდილობდა თავისი ქვეყნის ფაქტიური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, რასაც მოცემულ ისტორიულ ეტაპზე ზოგჯერ მეტი სარგებელი მოჰქონდა ქვეყნისათვის, ვიდრე იარაღით ხელში უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმას.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები და განსაკუთრებით კი ოდიშის მთავარი – ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) სწორედ ლავირების პოლიტიკით ცდილობდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მაჰმადიანურ სახელმწიფოებს (ოსმალეთსა და სპარსეთს) შორის ლავირების პოლიტიკის წარმოების აშკარა უპირატესობის მაჩვენებელია

ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებზე მაჰმადიანთა პირდაპირ აგრესიას თითქმის არ ჰქონია ადგილი. ლევან II დადიანი, მართალია, აღიარებდა მორჩილებას, მაგრამ მოსახერხებელ სიტუაციაში თავს არიდებდა მას და თავის ძალაზეც კი მიანიშნებდა ოსმალეთის ხელისუფლებას.

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ლევან II დადიანი, ხედავს რა ოსმალეთის მმართველ წრეებში დაწყებულ დიდ პოლიტიკურ კრიზისს, აშკარა ორიენტაციას იღებს სპარსეთზე ქართლის მეფის – როსტომის მეშვეობით. ოდიშის ეს მთავარი მის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკით, „ორი ბატონის ყმობით", მეტად კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს მთელი გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში. განსხვავებით სხვა პოლიტიკურ მესვეურთაგან, ის აქტიურ კონტაქტებს ამყარებს სპარსეთის სახელმწიფოსთან და ამ კურსით ცდილობს სამთავროს გამოყვანას პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციიდან. სპარსეთთან დადიანის მიერ ნავარაუდევ გეგმებში ურთიერთობას სამთავროსათვის დიდი წარმატება უნდა მოეტანა.

საქართველო, აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო, ჯვაროსნული ლაშქრობების დროიდან იქცევდა ევროპელთა ყურადღებას, უმთავრესად სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით. განსაკუთრებით დიდი ინტერესი ჩნდება საქართველოს მიმართ XVII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ ევროპაში რეფორმაციის შედეგად დაკარგული მრევლით გამოწვეული დანაკლისი აღმოსავლეთის ქვეყნებში და კერძოდ, საქართველოში კათოლიციზმის გავრცელებით აენაზღაურებინათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ევროპაში, კერძოდ, რომში საქართველოს შესახებ ვრცელმა ინფორმაციამ მოიყარა თავი. 30-იანი წლებიდან კი როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში კათოლიკე მისიონერებმა დაიწყეს მოღვაწეობა და აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის კულტურულ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა რელაციები, მათი ანგარიშები და წერილები კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელებთან, წარმოადგენენ დიდმნიშვნელოვან წერილობით წყაროებს აღმოსავლურ წყაროებთან ერთად XVII საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს საგარეო ურთიერთობათა შესასწავლად.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა საგარეო ურთიერთობის ისტორიას XVII ს. პირველ ნახევარში ქართულ ისტორიოგრაფიაში მიეძღვნა არა ერთი გამოკვლევა და წერილი, რომლებშიც გამოთქმულია უაღრესად საყურადღებო მოსაზრებანი და გაანალიზებულია მნიშვნელოვანი ფაქტები.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს XVII ს-ის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობის მონოგრაფიულად შესწავლის ცდას. ნაშრომი დაიწერა ავტორისათვის ხელმისაწვდომ, ძირითადად პუბლიცირებულ, ქართულ, რუსულ, დასავლეთ ევროპულ და აღმოსავლურ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით.

ნაშრომში თავების მიხედვით ასახულია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობა ოსმალეთთან, სპარსეთთან და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. მასში ნაჩვენებია დასავლეთ საქართველოს პოლიტი-

კურ მესვეურთა, განსაკუთრებით კი ლევან II დადიანის მიერ ოსმალეთთან და სპარსეთთან წარმოებული საგარეო პოლიტიკის თავისებურებანი, ოდიშის მთავრის მიერ ევროპული ორიენტაციის აღება და მისი ლტოლვა დასავლური ცივილიზაციისაკენ.

ნაშრომში დადგენილია და ახლებურადაა გაშუქებული ოდიშის სამთავროს საგარეო ურთიერთობის საკითხები, გამოთქმულია მთელი რიგი მოსაზრებანი. ზოგიერთი მათგანის საბოლოო გადაწყვეტისათვის საჭიროა დამატებითი მასალების მოძიება.

ავტორს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ თავისი გამოკვლევით ამოწურა XVII ს-ის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის შესწავლა. ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების არქივებში დაგროვილი, ჯერ კიდევ გამოუვლენელი ახალი წყაროების გამომზეურება და მეცნიერული შესწავლა საშუალებას მისცემს მკვლევარებს უფრო სრულად და მასშტაბურად წარმართონ ამ მიმართულებით კვლევა-ძიება, რაც ავტორის მიერ დასახული მიზნის ნაწილობრივი მიღწევაც იქნება.

# თ ა ვ ი I
# წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

XVII ს-ის საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების შესასწავლად სხვადასხვა სახის (დიპლომატიური საბუთები, კერძო წერილები, ნარატიული და მემუარული თხზულებები) და სხვადასხვა ენაზე დაწერილი წყაროები მოგვეპოვება.

ქართული წყაროებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებას, რომელშიც მოცემულია ქართული სამეფო-სამთავროების საშინაო და საგარეო ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები ჩვენთვის საინტერესო პერიოდში.[1]

საქართველოში სპარსეთ-ოსმალეთის აგრესიის საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“.[2]

ფ. გორგიჯანიძე თავისი თხზულების წერისას ეყრდნობა სპარსელი ისტორიკოსების, განსაკუთრებით კი ისქანდერ მუნშის თხზულებას. ქართველი ისტორიკოსი თავის „ისტორიაში“ ხშირად აანალიზებს ისქანდერ მუნშის ცნობებს და საკუთარ დასკვნებსაც იძლევა ამა თუ იმ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით.

ქართული საისტორიო თხზულებებიდან დიდი მნიშვნელობისაა XVIII საუკუნეში შედგენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც შეიცავს საინტერესო ცნობებს ქარ-

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „ქართლის ცხოვრება“, ტ.IV, თბ., 1973.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, ნაკვ. II, თბ., 1925.

თული სამეფო-სამთავროების შესახებ XVII საუკუნის პირველ ნახევარში.[1]

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ამსახველი ოსმალური ნარატიული წყაროებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XVII საუკუნის პირველი ნახევრის თურქი ისტორიკოსის ქათიბ ჩელების ცნობები,[2] ე.წ. „ფეზლექე". ეს ოსმალო ავტორი თვითონ იყო თანამედროვე და აქტიური მონაწილე XVII საუკუნის პირველი მესამედის ოსმალეთში მომხდარი ამბებისა, ამიტომაც მის ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ XVII საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის სულთნის კარზე პირველი ოფიციალური ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა,[3] (1655-1716 წწ.) რომელმაც აღწერა ოსმალეთის ისტორია 1591 წლიდან 1660 წლამდე.

ამიერკავკასიის ქვეყნებისა და კერძოდ, საქართველოს წარსულის შემსწავლელთათვის განსაკუთრებით საინტერესოა XVII საუკუნის თურქი გეოგრაფ-მოგზაურის – ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი".[4] მისი საქართველოს შესახებ ცნობები განეკუთვნება არა მარტო 1640-1647 წლებს, როდესაც ევლია ჩელებიმ იმოგზაურა, არამედ ადრინდელ პერიოდსაც.

---

[1] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით. თბ., 1940.

[2] ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ., 1978

[3] მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ., თბ., 1979.

[4] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ., თბ., 1971.

XVI-XVII საუკუნის ოსმალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია იბრაჰიმ ფეჩევი[1], (1574-1650 წწ.). მან თავის „ისტორიაში“ გამოიყენა თურქული მატიანეები, უნგრული ქრონიკები და სხვა დოკუმენტური წყაროები. XVI საუკუნის 90-იანი წლებიდან იბრაჰიმ ფეჩევი ამბებს აღწერს როგორც თვითმხილველი, ამიტომ მისი „ისტორიის“ ეს მონაკვეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახეს XVI-XVIII საუკუნეების ოსმალურმა დოკუმენტურმა წყაროებმა, რომელთა დიდი ნაწილი თარგმნა და გამოაქვეყნა პროფ. ნ. შენგელიამ.[2]

შუა საუკუნეების სპარსულენოვანი წყაროებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სეფიანთა უდიდესი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის თხზულება (1560-1634 წწ.), მას, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, თავისი დროისათვის კარგი განათლება მიუღია. ისქანდერ მუნში მოღვაწეობდა სახელმწიფო მდივნის- მუნშის თანამდებობაზე, რაც საშუალებას აძლევდა გასცნობოდა ადრინდელ საბუთებს. ასევე თანამედროვე ამბების საქმის კურსში ყოფილიყო.

---

[1] ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს შესახებ. „ენიმკის მოამბე“, ტ.V-VI, თბ., 1940, გვ. 369-389. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობებში საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964.

[2] ნოდარ შენგელია, XVI-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.) თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1982. XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1987.

ისქანდერ მუნშის თხზულება „თარიხ-ე ალამ-არა-დე აბბასი“ - („ქვეყნის დამაშვენებელი ისტორია აბასისა“[1]) დაიწერა 1616-1629 წლებში. მის გაგრძელებას წარმოადგენს „ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი“ - „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება“,[2] დაწერილი 1629-1634 წლებში. ეს ორი წყარო მეტად ფასეულ მასალას იძლევა საქართველო-სპარსეთის ურთიერთობის შესასწავლად XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

სპარსი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი, რომელიც შაჰ-აბას II-ის (1642-1667 წწ.) კარის ისტორიკოსად მოღვაწეობდა, საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის შუა ხანების ქართული სამეფო-სამთავროების შესახებ.[3]

საქართველო-სპარსეთის ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობები აღმოაჩინა რუსეთის არქივებში და გამოაქვეყნა თ. ტივაძემ.[4]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალური და სპარსული წყაროები უაღრესად ტენდენციურია და მათში ცალმხრივადაა გაშუქებული ოსმალეთისა და სპარსეთის სხვა ქვეყნებთან, კერძოდ საქართველოსთან ურთიერთობა. ორივე ქვეყნის ისტორიკოსები ცდილობდნენ გაემართლებინათ ოსმალეთის სულთნის ან სპარსეთის შაჰის დაპყრობითი პოლიტიკა საქართველოს მიმართ. სპარსული და ოსმალური წყარო-

---

[1] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969.

[2] ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბ., 1981.

[3] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

[4] Т. Г. Тивадзе, Материалы по внешнеполитической истории Грузии I половины XVII в. содержашиеся в архивном фонде »Сношения России с Персией». ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973.

ბის ასეთ მიკერძოებულობას კარგად ამხელენ ქართული და ევროპული წყაროები.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა საგარეო-ურთიერთობების შესასწავლად საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან რუსული წყაროები. XVII საუკუნეში მოსკოვის სახელმწიფო, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ინტერესს იჩენს ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის მიმართ. საქართველოში რუსეთის სახელმწიფოს ელჩობათა „მუხლობრივი აღწერილობანი" ავსებენ სხვა ცნობებს და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ნათელ სურათს იძლევიან. ჩვენთვის საინტერესო რუსული წყაროები გამოაქვეყნეს – ს. ა. ბელოკუროვმა,[1] ნ. ვესელოვსკიმ,[2] მ. პოლიევქტოვმა,[3] ი. ცინცაძემ[4] და სხვებმა.

ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების გამოვლენისა და შესწავლის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა შესანიშნავმა ქართველმა მეცნიერმა მიხეილ თამარაშვილმა.[5] მან თავის ნაშრომებში

---

[1] С. А. Белокуров. Материалы для Русской истории, М., 1888. მისივე, Сношения России с Кавказом, вып. I, 1578-1613 гг. М., 1889.

[2] Н. Веселовский, Помятники дипломатических и торговых сношении Московской Руси с Персией, I. СПБ, 1890.

[3] М. Полиевктов, Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношении 1615-1640 гг. Тб., 1937.

[4] ალექსი ივლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა") რუსული ტექსტი ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1969. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 165-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანითა და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970.

[5] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, თბ., 1902. M. Tamarati, L'Eglise georgienne des origines jusqu'a nos jours, Rome. 1910 მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ. 1995.

ევროპელ ავტორთა ცნობების საფუძველზე მოგვცა საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის მდიდარი მასალა.

ევროპელ ავტორთა საქართველოს შესახებ არსებული ცნობების თარგმნისა და ევროპის არქივებისა და წიგნსაცავების აქტიური მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფ. ი. ტაბაღუას დიდი ღვაწლი.[1] მან გარკვეული დამატებებით გამოსცა მიხეილ თამარაშვილის მიერ საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული შუა საუკუნეების ევროპელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ, აგრეთვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა თანამედროვე ევროპელ მკვლევართა – დონ ფრანჩესკო ანდრეუს, კარლოს ალონსოს, რობერტო გულბენკიანისა[2] და სხვათა ნაშრომები, რომლებიც XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ეხებიან.

საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ცნობილი იტალიელი მოგზაურის – პიეტრო დელა ვალეს „მოგზაურობათა წიგნი“,[3] რომლის მრავალრიცხოვან ტომებშიაც უხვად მოიპოვება ცნობები XVII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის შესახებ. საქართველოს შესახებ პიეტრო დელა ვალეს ცნობების ერთი ნაწილი XIX საუკუნის მიწურულს გამოაქვეყნა ალ. ჭყონიამ.[4]

---

[1] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. I, თბ., 1984, ტ. II, თბ., 1986, ტ. III, თბ., 1987. მისივე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორია, ლექციების კურსი, თბ., 1992, და სხვ.

[2] რ. გულბენკიანი, ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბ., 1987.

[3] Pietro Della valle, Voyage de Pietro Della Valle, gentil homme romain dans La Turquie... Paris, 1747. II.

[4] მასალა საქართველოს ისტორიისათვის, მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბანიუს მერვესადმი, 1627 წ., „ივერია“, 1879, №3, მთარგმნელი ალ. ჭყონია „ცნობები საქართველოზე, წარდგენილი მისი უწმინდესობის ჩვენი ბატონი ურბან VIII-ისადმი პიეტრო დელა ვალე მლოცვარეს მიერ. 1627 წელი“. ქართულად და მისი დედანი

უმთავრეს წყაროებს ჩვენს მიერ დასახული პრობლემის შესასწავლად წარმოადგენს XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა – დონ პიეტრო ავიტაბილეს,[1] დონ არქანჯელო ლამბერტის,[2] დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს,[3] დონ ქრისტოფორო დე კასტელის[4] ცნობები. ეს მისიონერები, რომლებმაც თითქმის ორი ათეული წელი დაჰყვეს დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლურ წყაროებთან შედარებით, ობიექტურ სურათს იძლევიან ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, თუმცა უკრიტიკოდ არც მათი ცნობების გაზიარება შეიძლება.

ზემოთხსენებული მისიონერების ცნობებს ერთგვარად იმეორებს და უმნიშვნელო დეტალებით ავსებს თეატინელ მისიონერთა პრეფექტი დასავლეთ საქართველოში 1649-1679 წლებში – ჟოზეფ მარია ძამპი.[5]

---

იტალიურ ენაზე - „Informatione della Georgia data alla Santita di Nostro Signore Urbano VIII da Pietro della Valle il Pellegrino L'anno 1627."

ნაშრომში გამოყენებულია პიეტრო დელა ვალეს ცნობების ი. ტაბაღუასეული თარგმანი.

[1] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.) შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977.

[2] დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ალ. ჭყონიას თარგმანი, თბ., 1990, მისივე Colchide Sacra, Napoli, 1657.

[3] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII ს. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964.

[4] ქრისტოფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976.

[5] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.

საინტერესო მასალები აქვთ XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სამეფო-სამთავროების შესახებ ჟ. ბ. ტავერნიესა[1] და ანტიოქიის პატრიარქ მაკარის.[2]

ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობათა კვლევის საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის აკად. ნ. ბერძენიშვილს,[3] რომელმაც ღრმა ისტორიული ანალიზის საფუძველზე გამოიკვლია რუსეთთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხები გვიანფეოდალურ ხანაში.

საქართველოს ოსმალეთთან და ირანთან ურთიერთობის მრავალი საკითხი შესწავლილი აქვს ვ. გაბაშვილს. ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ნაწილობრივ ეხება ვ. გაბაშვილის გამოკვლევა „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“,[4] რომელიც ასახავს XVI საუკუნის მეორე ნახევრისა და XVII საუკუნის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიას მაშინდელი ახლო აღმოსავლეთის, დასავლეთ ევროპისა და რუსეთთან ურთიერთობის ფონზე. ნაშრომში მოცემულია მთელი რიგი საყურადღებო დასკვნები.

ქართველ მკვლევართა ნაშრომებიდან, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდს შეეხებიან, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ი. ანთელავას მონოგრაფია -„ლევან II დადიანი“,[5] რომელიც წარმოადგენს პირველ კაპიტალურ გა-

[1] ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სამეფო კარის აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო გურულმა, თბ., 1974.

[2] П. Жузе, Грузия в XVII столетии по изображению патриарха Макария. Отдельный оттиск из журнала „Православный собеседник“, Казань, 1905 г

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, ტ. IV, თბ., 1967, ტ. VIII, თბ., 1975.

[4] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31., თბ., 1964, მისივე; XVI-XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1966.

[5] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990.

მოკვლევას XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ზემოხსენებულ ნაშრომში გამოთქმულია მთელი რიგი საყურადღებო მოსაზრებანი, შესწავლილია საგარეო ურთიერთობის საკითხებიც. ავტორის მიერ შემოთავაზებული არა ერთი წინადადება ჩვენ გავიზიარეთ აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობისას.

XVII საუკუნის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიაზე მუშაობისას ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მ. სვანიძის[1] მონოგრაფიები, რომლებშიც აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით მაშინდელი საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე გაშუქებულია საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა.

ჩვენთვის საკვლევი პრობლემის ცალკეული საკითხებს ეხებიან – ს. მაკალათია,[2] გ. ტივაძე,[3] ირ. ანთელავა,[4] ვ. ჩოჩიევი,[5] ი. ცინცაძე,[6] ზ. ანჩაბაძე,[7] ნ. ნაკაშიძე,[8]თ. ტივაძე[9],

[1] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ., 1971, მისივე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990, მისივე; თურქეთის ისტორია (1299-2000) თბ. 2007.
[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
[3] გ. ტივაძე, ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI ს. თბ., 1947.
[4] И. Антелава, Очерки по истории Абжазии XVII-XVIII веков. Сухуми. 1951.
[5] ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957.
[6] ი. ცინცაძე, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1954, მისივე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII სს.), თბ., 1966.
[7] З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (XVI-XVII вв.), Сухуми, 1959.
[8] Н. Накашидзе, Грузино-Русские политические отношения в пербой половине века, Тб., 1968.
[9] თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს. მეორე ნახევარში, თბ., 1977.

გ. ჟორჟოლიანი,[1] გ. აკოფაშვილი,[2] მ. ტივაძე,[3] მ. პაპაშვილი,[4] და სხვ.

საქართველოს საგარეო ურთიერთობის მთელი რიგი საკითხები გაშუქებულია რუსი ისტორიკოსების ე. ზევაკინის,[5] ნ. სმირნოვისა[6] და სხვათა ნაშრომებში.

ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებიდან, რომლებშიც შესწავლილია ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ი. ჰამერისა[7] და ვ. ცინკაიზანის[8] ნაშრომები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო ევროპაში დღეს არა ერთი მეცნიერი ნაყოფიერად მუშაობს. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. პერგამოს უნივერსიტეტის პროფესორების ანა პატრიცია ლიჩინისა[9] და ბერნადეტე მაიორანას[10] მოღვაწეობა. ეს ავტორები თავიანთ ნაშრომებში ეხებიან თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობას დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნის პირველ ნახევარ-

[1] გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII ს. 30-50-იან წლებში, თბ., 1987.

[2] გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977.

[3] მ. ტივაძე, სირიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობანი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან XVI-XVIII საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1970.

[4] მ. პაპაშვილი, ლევან II დადიანის ევროპული ორიენტაცია, „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან", ტ. I, თბ., 1994. მისივე, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ. 1996.

[5] Е. С. Зевакин, Персидский вопрос в русско-европейских отношениях в XVII в. «Исторические записки», 1940, №8.

[6] Н. А. Смирнов, Россия и Турция в XVI-XVII вв. в двух томах, «Ученве записки МГУ», вып. 94, 1946 г.

[7] J. Hammer, Histoire de L'Empire Ottoman, V.IV-IX. Paris, 1834-1849.

[8] I. W. Zinkeisen, Geschichte des osmanischen Reiches in Europa (Funftes Buch) Gotha 1856.

[9] Patricia Licini Cristofore Castelli e la sua missione in Georgia, „Regnum Dei" Roma, 1985.

[10] Bernadette Majorana, La gioriosa impresa, Palermo, 1990.

ში, იხილავენ დასავლეთ საქართველოს ევროპული ორიენტაციის საკითხებს ჩვენთვის საინტერესო პერიოდში.

ნაშრომზე მუშაობისას ვისარგებლეთ წყაროთა ურთიერთშეჯერების მეთოდით, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა სახელები. ზოგიერთი ავტორი,[1] სხვადასხვა წყაროებზე მუშაობისას, ერთმანეთში ურევს ერთი და იგივე პიროვნების სახელებს, რაც გამოწვეულია უმთავრესად ევროპული პირთა სახელების გადმოქართულებით (მაგალითად, იოსებ ჯუდიჩი – ჯუზეპე ჯუდიჩე, პატრი ივანე, იან დე ლუვა – ჟან დე ლუკა – ჯოვანი და ლუკა და ა.შ.) სახელთა დაზუსტების მიზნით ჩვენ შევეცადეთ პირთა სახელები მიგვეთითებინა ლათინური ტრანსკრიპციით, ისე როგორც ეს არის მოცემული ორიგინალის დედანში.

---

[1] მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1462-1810, თბ., 1989. რ. ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1971, გვ. 131-132.

## თავი II
## დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა ურთიერთობა ოსმალეთთან XVII ს. I ნახევარში

XVI-XVII საუკუნეებში საქართველოს სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური მდგომარეობის ძირითად განმსაზღვრელ ფორმულად რჩებოდა 1555 წლის ამასიის სპარსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება. (სპარსეთი სცნობდა ოსმალეთის „უფლებას" დასავლეთ საქართველზე, ხოლო ოსმალეთი – სპარსეთის „უფლებას" აღმოსავლეთ საქართველოზე). შესაძლებელ შემთხვევაში მოპირდაპირე მხარე ან მთლიანად უარყოფდა ამ ხელშეკრულებას, ან მახლობელ აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად შესაფერისი კორექტივები შეჰქონდა მასში. ამ ზავის მიხედვით ყველაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამცხე-საათაბაგოში, რომელიც დამპყრობლებმა შუაზე გაიყვეს.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები, მართალია, ოსმალეთის სიუზერენობას აღიარებდნენ, მაგრამ საშინაო პოლიტიკაში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები, მიუხედავად ძლიერი სიუზერენის პოლიტიკური ქვეშევრდომობისა, ცდილობდნენ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას და ოსმალეთთან ურთიერთობის ფორმალურ ვასალიტეტამდე დაყვანას.

XVII საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებით საინტერესოა ოდიშის სამთავროს ძლიერი ხელისუფლის ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.), მოღვაწეობა, რომლის პოლიტიკური ალღო და შორსმჭვრეტელობა განსაკუთრებით გამოიკვეთა მის საგარეო პოლიტიკაში.

როდესაც ვიხილავთ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა საგარეო ურთიერთობებს, ცხადია, ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ოსმალეთთან ურთიერთობა, რადგან ეს პოლიტიკური ერთეულები (იმერეთის სამეფო, გურია-ოდიშის სამთავროები) ამასიის 1555 წლის ზავიდან გამომდინარე ოსმალეთის წილხვედრ ქვეყნებს წარმოადგენდნენ. სულთანს ეს არ აკმაყოფილებდა და გადაწყვიტა ოსმალეთ-სპარსეთის (1578-1590 წწ.) ომის დროს მოეხდინა დასავლეთ საქართველოს სრული დაპყრობა-შემოერთება. 1579 წლის იანვარში სულთანმა ბრძანება გასცა – ოსმალეთის ფლოტი საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანათ. გაზაფხულზე ოსმალეთის ესკადრა, რომელიც 40-50 გემისაგან შედგებოდა, ფლოტის ადმირალის – კილიჩ ალი ფაშას სარდლობით საქართველოს სანაპიროსკენ გამოემართა. ივლისში ოსმალეთის ფლოტი მდინარე ფაზისის (რიონის) შესართავში შევიდა. ოსმალებმა ფოთი დაიკავეს და ციხე ააგეს.[1]

სულთანს განზრახული ჰქონდა იმერეთის დაპყრობა და აქედან თბილისში გადასვლა, რათა ირანელთა მიერ ალყაში მოქცეულ ოსმალურ გარნიზონს მიშველებოდა, ხოლო შემდეგ კი თავისი სამხედრო ძალები ირანის წინააღმდეგ მიემართა. ქუთაისში ოსმალებს დახვდათ „თოფებით შეიარაღებული ჯარი ქართველებისა... რომლებმაც აიძულეს თურქები თავი დაენებებინათ თავისი განზრახვისათვის“.[2] ე.ი. თურქებმა ვერ შეძლეს ქუთაისის დაპყრობა და ქართლში შეჭრა. იმავე წელს ოსმალებმა აფხაზეთს შეუტიეს და აიღეს სოხუმი.[3]

---

[1] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1971, გვ. 124.

[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ნ. ანთელავას გამოცემა, თბ., 1991, გვ. 159.

[3] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის საკითხები (XIV-XVIII სს.) თბ., 1990, გვ. 218.

1603 წელს შაჰ-აბას I-მა ომი დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც 1612 წლამდე გაგრძელდა. ამ ომისდროინდელ ირან-ოსმალეთის დიპლომატიურ ურთიერთობებში თვალსაჩინო ადგილი ქართველ მოღვაწეებს ეჭირათ. ცნობილი ავსტრიელი მკვლევარი ი. ჰამერი აღნიშნავს, რომ „სამეგრელოსა“ და „საქართველოს“ მთავართა ელჩობებს ირან-ოსმალეთის ამ ომის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათო.“[1] იტალიური წყაროს მოშველიებით ჰამერი აღნიშნავს, რომ 1605 წელს კონსტანტინოპოლში სამეგრელოს ელჩობა ჩასულა „ომის სამზადისისათვის“ მოსალაპარაკებლად. 1607 წელს კი იმერეთის მეფის ელჩიც სწვევია სულთნის კარს. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს, როგორც ვასალებს, ცხადია, ევალებოდათ სიუზერენის მხარეზე გამოსვლა, გარდა ამისა, მათი გამოცხადება სულთნის კარზე თავისთავად მაჩვენებელია იმისა, რომ ოდიშისა და იმერეთის მესვეურთ სურდათ დროზე ყოფილიყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი და საჭიროების შემთხვევაში ეწარმოებინათ ლავირების პოლიტიკა მეომარ მხარეებს შორის. ისარგებლა რა შექმნილი სიტუაციით, 1609 წელს „შემოიკრიბნა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოსწყვიდნა ოსმალნი და დაიპყრა კუალად თვითვე აჭარა“.[2]

ირან-ოსმალეთის 1603-1612 წწ. ომის დროს გურიისა და ოდიშის მთავრებმა ოსმალეთს ხარკი შეუწყვიტეს და აშკარა ურჩობის გზას დაადგნენ. დაახლოებით ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოს მესვეურები უკავშირდებიან კაზაკებს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. „კაზაკებიც არა ერთხელ წასულან თავიანთი საზღვაო ფლოტით კოლხეთის სანაპიროებისათვის და ალერსიანი მასპინძლობაც დახვედრიათ აქ. კაზაკები ამ მფლობელების სავაჭრო გემებსაც

[1] J. Hammer, Histoire de L’Empire ottoman, Paris, V. VIII-p.59.
[2] ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 824.

მფარველობდნენ ზღვაზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში მიმოდიოდნენ“.[1]

XVII ს. დასაწყისიდან უკრაინის კაზაკობა იწყებს ორგანიზებულ თავდასხმებს ყირიმისა და თურქეთის სანაპიროებზე. ისინი სერიოზულ ზარალს აყენებდნენ თურქულ ფლოტილიებს შავ ზღვაზე. ქართველ მეფე-მთავრებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ეს გარემოება და მათთან კავშირებიც დაუმყარებით. კაზაკთა რაზმებისთვისაც კოლხეთის მეკავშირეობა ფრიად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რადგან მათ ნავსაყუდელი და თავშესაფარი სჭირდებოდათ თურქეთის სანაპიროებთან ახლოს.[2]

პიეტრო დელა ვალეს ცნობით, კაზაკების ირანთან დაკავშირების ცდებიც ყოფილა, მხოლოდ ამ საქმის ინიციატორი ვინ იყო, მთავრები თუ კაზაკები, არ ჩანს; „თვით პოლონეთის მეფეს, როგორც ამბობენ, ამ მთავრებთან (ე.ი. გურიელთან და დადიანთან, - ზ. ქ.) მეგობრობა და მიმოწერა აქვს.”[3]

ეს ფაქტები უთუოდ მიუთითებენ, რომ ყოფილა ცდები ირანის, პოლონეთის, კაზაკების (დნეპრის – ზ. ქ.) და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა კოალიციის შეკვრისა ოსმალეთის წინააღმდეგ. როდის დაიწყო ეს მოლაპარაკება,

---

[1] ი. ცინცაძე, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 37.

[2] იქვე, გვ. 16. კაზაკები წარმოადგენდნენ აღმ. ევროპის სამხრ. სტეპებში, რუსეთისა და უკრაინის ტერიტორიებზე განსახლებულ, სხვადასხვა წარმომავლობის ეთნოსოციალურ ჯგუფებს განსაკუთრებული უფლებებითა და მდგომარეობით. XIV ს. ბოლოს ჩამოყალიბდა დონისა და დნეპრის კაზაკთა დიდი გაერთიანებები. კაზაკები წარმოადგენდნენ სამხედრო-სახალხო გაერთიანებას, მიმართულს თათარ-მონღოლთა შეიარაღებული ჯგუფების თავდასხმებისაგან თავდასაცავად. XVII ს. კაზაკები თავიანთი თავდასხმებით სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ოსმალეთის იმპერიის ჩრდ. საზღვრებს.

[3] ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბ., 1966, გვ. 48-49. Pietro Della Valle, Informatione della Georgia data alla Papa Urbano VIII, Roma, 1627.

ზუსტად არ ვიცით, შესაძლოა იგი გურიელის აჭარაში შეჭრამდეც კი ყოფილიყო, მაგრამ 1616-1618 წლებშიც რომ გრძელდებოდა, ეს კი ნათელია.[1]

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა პოზიცია, საგარეო საკითხებში XVII საუკუნის პირველ ოცწლეულში კარგად სჩანს იტალიელი მოგზაურის – პიეტრო დელა ვალეს მიერ რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში, რომელიც 1627 წლით თარიღდება. აქ ერთგან ასეთი ცნობაა მოტანილი „რჩება სამი სხვა მთავარი, იმერეთის, ოდიშისა და გურიის მთავრები... ამჟამად უფრო აყვავებულნი ვიდრე ოდესმე, შეინარჩუნეს რა მათ დღემდე თავიანთი ქვეყნები საუკეთესო მდგომარეობაში და ქრისტეს სარწმუნოებაში, მაჰმადიანთა მხრიდან მათი ქვეყნების ყოველგვარი შეწუხების გარეშე. ორ მათგანს, ოდიშისა და გურიის მთავრებს, რადგანაც მათი სამთავროები განლაგებულნი არიან შავი ზღვის სანაპიროებზე, ადვილად წვდებიან თურქეთის ჯარები. მეორეს მხრივ, (მათი მდებარეობა ზ. ქ.) ეს სასარგებლოა, მათ დიდი ვაჭრობა აქვთ აბრეშუმითა და სხვა საქონლით ახლობელი კონსტანტინოპოლის სულთნის კართან და მთელ საბერძნეთთან.

ამიტომ ისინი ამბობენ, რომ იყვნენ მეგობრულ და დამოუკიდებელ ურთიერთობაში თურქებთან და (აღწევენ) ამ სიმშვიდეს საჩუქრებითა და პატივისცემით. ცხოვრობენ მშვიდად. მაინც არ აძლევენ ნებას, რომ თურქები როდისმე შემოვიდნენ მათ ქვეყანაში, არც საბრძანებლად, არც მათი ჯარების გასატარებლად სხვაგან წასვლის მიზნით. პირიქით, მათ იმდენად შეინარჩუნეს თავისუფლება, რომ ხელს არ უშლიან პოლონელ კაზაკებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე მდ. ნიიეს (დნეპრის) შესართავთან არიან განლაგებულნი

[1] გ. ჯამბურია, დასავლეთ საქართველო XVIIს. პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 299.

და რომლებიც თურქების დიდი მტრები არიან. ისინი ყოველდღიურად დიდ ზიანს აყენებენ თურქებს. უპატივცემულოდ ეპყრობიან მათ, ხოლო ქართველები, როგორც ქრისტიანებს, სიყვარულით ეპყრობიან. უფრო მეტიც, როგორც გავიგე, ისინი მოყვრებიც კი ხდებიან. ამბობენ რომ, პოლონეთის მეფესაც ამ მთავრებთან მეგობრობა და მიმოწერა აქვს. ხშირად ხომალდები ვაჭრობის გზით დადიან ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამას შესაძლებელია დიდი შედეგები მოჰყვეს ქართველებისათვის, ვინაიდან დღეს კაზაკები შავი ზღვის ბატონ-პატრონები არიან და ამასთანავე ძალიან ძლიერი, ხოლო პოლონეთის მეფეს ასევე შეუძლია ამ გზით, რომელიც ძალიან მოკლეა, დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში, რომლებიც მათ ექნებათ სპარსელთან თუ თურქთან. თავის მხრივ ასევე ქართველებს შეუძლიათ ძლიერ დაეხმარონ კაზაკებს, როგორც მათი ნავსადგურებით, ისევე უშიშარი თავშესაფარი ადგილებით შავი ზღვის ან მოპირდაპირე სანაპიროებზე. აღუძრან სურვილი კაზაკებს ბევრ საქმეში. ასევე გაადვილდებოდა ჩვენების (იტალიელების) ყოველი სხვა დიდი წამოწყებაც ხმელეთით და ზღვით სულთნის და კერძოდ, კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ“.[1]

კაზაკებსა და გურია-სამეგრელოს შორის არსებულ ახლო ურთიერთობებს შორის მეტყველებს კათოლიკე მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელმაც ფეხით მოიარა ჩერქეზეთი, აფხაზეთი და ბოლოს სამეგრელოს ეწვია. ეკლესიაში წირვის შესრულების შემდეგ მან ნახა რომ ტრაპეზზედ იდგა ერთი თეფში ტალერებითა და ცეხინებით სავსე. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს ფული კაზაკების მიერ იყო შეწი-

[1] პიეტრო დელა ვალეს ცნობები საქართველოს შესახებ, ი. ტაბაღუას თარგმანი, აღნიშნული თარგმანი წარმოდგენილ ნაშრომზე მუშაობისას სარგებლობისთვის გადმოგვცა პროფ. ი. ტაბაღუამ, რისთვისაც მას მადლიერებით მოვიხსენიებთ. შდრ. Г. Жордания, З. Гамезардашвили, Римско-католическая миссия и грузия, ч.1. Тб., 1994, გვ. 369–370.

რული, ე.ი. „იმათ მიერ, ვინც დუნაითა და დნეპრით ნავებით შავ ზღვაში შემოდიან და თურქებსა და თათრებს ზიანს აყენებენ".[1]

კაზაკებს არა მარტო დასავლეთ საქართველოსთან ჰქონდათ კავშირი, არამედ პიეტრო დელა ვალეს ცნობის თანახმად, ირანთანაც უსურვებიათ კავშირის დამყარება. ირანისთვის ძალზედ დიდი მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ოსმალეთთან ომში ისეთი ძლიერი მოკავშირის გამოჩენა, როგორიც ამ პერიოდისათვის მებრძოლი კაზაკობა იყო.

რუსეთისა და ლიტვა-პოლონეთის ხელისუფალნი კაზაკების თარეშის გამო პასუხისმგებლობაზე უარს აცხადებდნენ. კაზაკებს ჩვენ თვითონ ვებრძვით და ვერ აგვილაგმავსო. სინამდვილეში კი მათ ხელს აძლევდათ კაზაკთა თარეში და ხშირად კაზაკებს თავიანთ ხელისუფალთაგან საზღაურად ჯილდოც მიუღიათ.[2]

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, კაზაკები ხშირად თავს ესხმოდნენ კოლხეთის სანაპიროებსაც და მოსახლეობას არბევდნენ. ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი ჯოვანი და ლუკასთან საუბარში ამბობს: თათრებს საომარი ნავებითგან 400 ყაზახ-რუსი გამოქცევია და ჩემს სამეფოში მოვიდნენ. მირჩიეთ, რა ვუყო მათ: ყმებსავით გავყიდო, როგორც აქ ჩვეულებად გვაქვს, თუ დავსაჯო, რადგან მათ უწინ ბევრი რამე მომტაცესო.[3]

ოსმალო-კაპიტნები დადიანს ბევრს ეხვეწნენ რათა დაენებებინა მათვის კაზაკები, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათ (ოსმალებს – ზ. ქ.) ოდიშში სავაჭრო საქონელი მოჰქონ-

---

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 144. ი. ტაბაღუა, საქართველო-ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ.III, თბ., 1987, გვ. 156.

[2] ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII სს.) თბ., 1966, გვ. 55.

[3] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148, ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

დათ, დადიანს არ გაუწევია მათთვის ანგარიში და 400 კაციდან მხოლოდ 48 დაუნებებია.[1]

რუსი ელჩი ალექსი იევლევი თავის „მუხლობრივ აღწერილობაში" აღნიშნავს, რომ მდინარე რიონით დონელი კაზაკები მოდიან და დადიანისგან ყოველწლიურად ხარკს იღებენ, ზოგჯერ კი დაბა-სოფლებსაც არბევენო.[2] როგორც ჩანს, ლევან დადიანი იძულებული ყოფილა ხარკი ეხადა მოთარეშე კაზაკთა რაზმებისათვის, რათა სამთავრო საზღვრები დაეცვა მათგან და ხშირ შემთხვევაში ოსმალეთის წინააღმდეგ წარემართა მათი ძალები.

ჯოვანი და ლუკა ხაზს უსვამს თავის ცნობებში იმ გარემოებას, რომ დადიანი თურქეთიდან ღებულობს მარილს, რკინას და მისთვის საჭირო საქონელს, მაგრამ თურქების მას არ ეშინია, რადგანაც მისი ქვეყანა მიუვალია და იქ შეჭრა შეიძლება მხოლოდ ზღვის მხრიდან, მაგრამ ხალხის საცხოვრებელ ადგილებამდე ისე ვერ მიხვალ, რომ არ გაიარო 5 მილი დაბურული ტყე, რომელიც გამაგრებული კედელივით ემსახურება მის ქვეყანას.[3]

დადიანისა და კაზაკების სიახლოვე, შეიძლება ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ნაწილობრივი ფაქტორი ყოფილიყო, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ოსმალეთის პოლიტიკურ მესვეურებს. XVII საუკუნის დასაწყისისათვის გურიისა და სამეგრელოს სამთავროებს დამორჩილების მიზნით თურქეთმა შავი ზღვის სანაპიროების ბლოკადა მოუწყო.

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149, ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

[2] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა") რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1969 გვ. 141.

[3] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148, შდრ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ, 165.

შეწყდა მარილისა (იგი უმთავრესად ყირიმიდან შემოჰქონდათ – ზ. ქ.) და რკინის შემოზიდვა.

ამ გარემოებამ დიდი სიძნელეები შეუქმნა ორივე სამთავროს. გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა 1614 წლის გაზაფხულზე ელჩები გაგზავნეს მოსალაპარაკებლად და ზავის დასადებად. ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ცნობები, თუ რა პირობებს აყენებდა ერთი ან მეორე მხარე, მაგრამ მოლაპარაკების გაჭიანურება თავისთავად მიგვანიშნებს, რომ ოსმალეთი მძიმე საზავო პირობებს აყენებდა. სტამბოლში მყოფი კათოლიკე მისიონერი ლუი გრანჟე წერს, რომ „დიდად ძნელი იყო მთავარ გურიელთან და დადიანთან მშვიდობის ჩამოგდება. ამას კაი დრო სჭიროდა, ამიტომ მთავრების ელჩები აღარ გაუშვეს, ტყვეებსავით დაიჭირეს... ფაშა არავის ნებას არ აძლევს გზა განაგრძოს, სანამ ზავი არ დაიდება... დადიანი და გურიელი დარწმუნდებიან რა, რომ მნიშვნელოვანი საქონლით დატვირთული ნავები მათ ქვეყნებში არ ჩავლენ, უარს იტყვიან შეთავაზებულ საზავო პირობებზე“.[1]

1614 წლის ზაფხულში კონსტანტინოპოლიდან სამეგრელოში იეზუიტი მისიონერები გაემგზავრნენ. მ. თამარაშვილის სიტყვებით „ამ საუკუნის დასაწყისში თვით დადიანს მოუნდომებია ლათინთა მისიონერების მოყვანა თავის სამთავროში“. როდესაც სამეგრელოს მთავარს თურქეთთან „მუდმივი ზავის“ დასადებად კონსტანტინოპოლში დესპანი გაუგზავნია, მისთვის დაუბარებია, რომ იქიდან ევროპელი მისიონერები ჩამოეყვანა. ამ დესპანს კონსტანტინოპოლში ჩასვლისთანავე საფრანგეთის ელჩთან კონტაქტი დაუმყარებია და მისი მეშვეობით ორი იეზუიტი მისიონერის წამოყვანა მოუხერხებია. ეს მისიონერები იყვნენ ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო.[2]

---

[1] ი. ტაბაღუა, საქართველო-ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ.II, გვ. 40-42, შდრ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136-138.
[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ. ტ.II, გვ. 35.

როგორც ლუი გრანჟეს ცნობიდან სჩანს, დადიანის და გურიელის ელჩები მძევლებად დაუტოვებიათ, საქართველოში კი სულთანმა თავისი ელჩობა, რომლის მეთაურად ომერ ფაშა დაუნიშნიათ, გამოგზავნა.[1]

სწორედ ამ ელჩობას ჩამოჰყვა სამეგრელოში აღნიშნული პატრი თავისი ამხანაგით. სულთნის ელჩი საქართველოს საზღვარს მოადგა და იქ ელოდა მთავრების პასუხს. რადგანაც გაურკვეველი მიზეზების გამო დადიანი და გურიელი ზავის დადებას აგვიანებდნენ, პატრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ კონსტანტინოპოლში გაბრუნება, რომ ასეთ დროს მოულოდნელად მოვიდა გურიელის მაცნე, რომელმაც მას (ომარ ფაშას – ზ. ქ.) შეატყობინა ზავის დადებისა და გურიელის მხრიდან ხარკის გადახდის თანხმობაზე. ეს ზავი დაიდო წმინდა ლუჩიას დღეს საქართველოს ნავსადგურ ბათუმში, მთავარს მამია II გურიელსა და ოსმალეთის ელჩის მიერ წარგზავნილ კაცს შორის, რომლის პირობით გურიამ ოსმალეთის ხარკი იკისრა. თვენახევრის შემდეგ, 1615 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ლევან II დადიანმაც მოაწერა ხელი თურქეთთან საზავო შეთანხმებას.[2] ამ ზავის მიხედვით დადიანმაც ოსმალეთის ხარკი იკისრა. ოსმალეთის მოხარკე იყო აფხაზეთიც.

კონსტანტინოპოლიდან სამეგრელოში იეზუიტი მისიონერების გაგზავნის საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თურქეთში საფრანგეთის მეფის ლუი XIII-ის (1601-1643 წწ.) ელჩის, ბარო სანჩუსის როლი, რომელიც, ლუი გრანჟეს ცნობიდან გამომდინარე, სამეგრელოს მთავრის დესპანთან ხშირად ეწეოდა მოლაპარაკებას, აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოში ზემოთხსენებული მისიონერების გამოგზავნის საქმეში და აფინანსებდა ამ მისიას. შესანიშნავი საჩუქრების მირთმევით მან ფაშასთან ყველაფერი მოაგვარა.[3]

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 300.
[2] ი. ტაბაღუა, ტ. II, გვ. 46, შდრ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ.138.
[3] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ. გვ. 37.

საფრანგეთის ელჩის დავალებით ომარ ფაშასთან ერთად დასავლეთ საქართველოში ჩასულ ორ ფრანგ ბერს ევალებოდა თვალყური ედევნებინა ომარ ფაშისა და დადიანისა და გურიელის მოლაპარაკებისათვის და მისთვის დაწვრილებითი ინფორმაცია მიეწოდებინა.[1]

რაც შეეხება იმერეთს, ისიც ოსმალეთის მოხარკეა დაახლოებით ამავე ხანებიდან. საამისო მითითება ამ პერიოდის წყაროებისა არ გაგვაჩნია, უფრო გვიან კი იმერეთი, ისე როგორც გურია, ყოველწლიურ ხარკს იხდის ოსმალეთის სასარგებლოდ. ეს ხარკი შეადგენს კომლზე 1 რუბს (ანუ 1/4 მარჩილს, ანუ 13 ფარას თუ 1/4 ყურუშს). ამას გარდა იხდიდნენ რამდენიმე ასეულ არშინ ტილოს და „საჩუქრების" სახით რამდენიმე ათეულ ტყვეს.[2]

ოსმალო მემატიანე იბრაჰიმ ფეჩევი იმერეთის მეფეს ქართლის მეფეზე მაღლა აყენებს, რაც მაჩვენებელია იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სულთნის კარზე იმერეთს.[3] XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი და მოგზაური ევლია ჩელები წერს, რომ იმერეთი თავისუფალია, „უბრალოდ, ყოველწლიურად სტამბოლში ტყვეებს, შევარდნებს, სონღულებს, ქორებს და იშვიათი სილამაზის ქართველ ქალებს აგზავნიან".[4]

რუსი ელჩი ალექსი იევლევი, რომელიც 1650-1652 წლებში იმერეთის სამეფოში იმყოფებოდა, წერს, რომ სულთნის ელჩებმა იმერეთის მეფეს ალექსანდრე III-ს წინადადება მისცეს, რომ „სულთნის ნებართვის გარეშე არ ჩამოსცილ-

---

[1] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.) თბ., 1971, გვ. 262.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 300.

[3] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი, ქართული თარგმნითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 43-44.

[4] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. თბ., 1971, გვ. 298.

დე და სხვა ქვეყნებს არ დაუმეგობრდე, ჯარი არ შეჰყარო და თურქეთის ხალხს და ელჩებს თავს არ დაესხა და არ გვეომო, სხვას არ მიემხრო“. ალექსანდრე მეფემ თურქეთის ელჩს უპასუხა, რომ „ის თავისი ლაშქრით თურქეთის სულთნის წინააღმდეგ და მის ქვეშემდრომებზე თავდასასხმელად არ გამოვა და არც ერთ მაჰმადიან მეფეს არ მიემხრობა, მაგრამ არც თურქეთის სულთნის ბრძანებას შეასრულებს და არც მის მორჩილებას ისურვებსო“.[1] მსგავს ცნობას გვაწვდის პიეტრო დელა ვალე: „ერთ დროს ყველა ცდილობდა იმერეთის მეფის ცდუნებას, ვინაიდან მისი ქვეყანა... მდებარეობს ქვეყნის (საქართველოს) უფრო შიგნით და შორსაც როგორც თურქეთიდან, ისევე სპარსეთიდანაც. იგი კარგადაა გამაგრებული ყოველი მხრიდან მთებით, მდინარეებით და ძნელად გასასვლელი ადგილებით, არაა იმდენად დამოკიდებული არც სპარსელებზე და არც თურქებზე, თუმცა იგი მოსაჩვენებლად, გარეგნულად, როგორც ერთს, ისე მეორეს, მეგობრულად ეპყრობა, მაგრამ საიდუმლოდ არც ერთ მათგანს არ ენდობა და არც ერთის ჯარს არ უშვებს თავის ქვეყანაში ურთიერთსაწინააღმდეგო სარწმუნოების გამო“.[2]

XVII საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების საგარეო პოლიტიკაში მეტად საინტერესო კურსის გამტარებელი იყო ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი. მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ მეტად მნიშვნელოვან მასალას იძლევა სამეგრელოში მოღვაწე თეატინელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. ეს ცნობები მეტად საყურადღებოა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სამეგრელო-ოსმალეთის პოლიტიკური ურთიერთობის შესასწავლად. ის. წერს: „დადიანი საკვირველ პოლიტიკას ადგას

---

[1] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 30.
[2] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. IV, გვ. 278.

თურქეთის მიმართ. იგი კარგად იცნობს თურქეთის მტარვალობას, და აგრეთვე იცის, რამდენი სამეფო ჩაუნთქავს მის მტარვალობას, რამდენი მომიჯნავე ქვეყანა დაუპყრია.

თურქეთმა მისი სამთავროც რომ არ გასრისოს, დადიანი ცდილობს მეგობრობა დაიმსახუროს თურქეთისა, მაგრამ ისე კი, რომ ამით მთავრის ღირსებას არა მოკლდეს რა. ასეთი მეგობრობის დასაცველად დადიანი ყოველ წელიწადს სულთნის ვეზირებს ფეშქაშებს უგზავნის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სულთანს ხარჯს აძლევს. ამნაირად, დადიანი თავის ნებით გახდა თურქეთის მოხარკე, ხოლო მთავრის ღირსებას ისე შეუბღალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარს ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებს“.[1] ლამბერტი აგრძელებს: „აწინდელმა ხელმწიფემ თურქეთისამ, როცა იგი ომობდა ირანის შაჰ-სეფის წინააღმდეგ და ერევნის ქალაქს მიადგა ასაღებად (ლაპარაკია 1635 წელს ერევნის აღებაზე – ზ. ქ.). შემოუთვალა დადიანს, შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგანაც ერევანი შენი სამეფოს მახლობლად არის, რიგია მოხვიდე და დამეხმარო. ამაზე დადიანმა უპასუხა, არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გვედო თქვენი და თქვენი წინაპრების ომში სამსახურიო და ამიტომაც არც ახლა გიახლებითო. ამასთანავე გაიხსენეთ, რომ ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, რომ პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნოსო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩემს საზღვარში ჯარით არ შემოხვიდეთო და თუ ამას იზამთ, მე მყისვე მოგისპობთ ხარკს და ადვილად შევიძლებ ჩემის ჯარით დავიცვა სამთავროო“.[2] ერევნის ალყის დროს ოსმალო ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობით მურად IV-სთან

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991, გვ. 30.
[2] იქვე, გვ. 31.

მოვიდნენ სხვადასხვა ვილაიეთის გამგებლები, მოვიდა აგრეთვე „გურიელის ქვეყნის ძღვენი და ხარაჯა“.[1]

სულთანი იძულებული იყო შერიგებოდა არსებულ მდგომარეობას და სამეგრელოს მიმართ სამხედრო აქცია არ განეხორციელებინა. ოსმალეთის მთავრობა ითვალისწინებდა იმ გეოგრაფიულ საზღვრებს, რომლითაც სამეგრელო იყო გარშემორტყმული. სავსებით სწორად აღნიშნავს არქანჯელო ლამბერტი როცა წერს, რომ ასეთ ვითარებაში კიდევ რომ გადაეწყვიტა სულთანს სამეგრელოს დაპყრობა და დიდი სამხედრო ძალით შესულიყო ქვეყნის სიღრმეში, ჩატარებული ოპერაცია დაპყრობილ სამთავროდ არც ეღირებოდა. თურქეთის მთავრობა ითვალისწინებდა აგრეთვე მეგრელთა მხრიდან მოსალოდნელ სერიოზულ წინააღმდეგობებს, რადგან „როცა კი თურქეთის ჯარი ან ზღვით ან ხმელეთით მიადგებოდა სამეგრელოს, მეგრელები ყოველთვის მზად იყვნენ თვითონ დაეწვათ თავიანთი სახლები, აზარგულიყვნენ თავიანთი საქონლით და ავეჯით და მთებში გახიზნულიყვნენ. მერე იქიდან ხშირად ჩამოვიდოდნენ და ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, ჩასაფრებულნი სროლას დაუწყებდნენ თურქეთის ჯარს და ამ გზით ჩქარა დაამარცხებდნენ მათ. ამ საქმეში მეგრელებს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მათი ქვეყანა გაუვალი ტყითა და ჭაობით იყო დაფარული“.[2]

დადიანი ყოველნაირად ცდილობდა თურქთაგან დაემალა თავისი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე და ძვირფასი წიაღისეული. ლამბერტი წერს: „დადიანი, რადგან ზღვისპირად არის, სადაც მუდამ მოდიან კონსტანტინოპოლიდან გემები, დიდად ცდილობს, რომ თავისი მადნები სრულიად დამალუ-

---

[1] მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1979, გვ. 198.

[2] ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

ლი და უცნობი იყოს“.[1] მთავრის საიდუმლოს გამცემნი სას-ტიკად ისჯებოდნენ.[2]



**ლევან II დადიანი (კასტელი)**

---
[1] ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.
[2] იქვე.

ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელმაც 1640-1647 წლებში საქართველოში იმოგზაურა, წერს, რომ სამეგრელოში „კეთილნაშენი ადგილები არ აქვთ. მხოლოდ ივლისში და ქირნახულის აღების დროს სავაჭრო გემებს (უფრო მეტად ოსმალეთის გემებს – ზ. ქ.) მოაქვთ მარილი, ჭურჭელი, იარაღი და გოგო-ბიჭებზე ცვლიან. მის მთებში ბაღ-ვენახიანი, დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია. ზღვისოდენა ჯარიც რომ იყოს, მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოც-ორმოცდაათიათასამდე თოფით შეიარაღებული მოსახლეობაა“.[1]

ლევან დადიანი ძალზე ეშმაკურ პოლიტიკას აწარმოებდა თურქეთის მიმართ. დადიანი „ცდილობს მტკიცედ დაარწმუნოს თურქები, რომ სამეგრელოზე უფრო ღარიბი და უბედური ქვეყანა დედამიწაზე მეორე არ მოიძებნება. ამისათვის, როცა თურქეთიდან ელჩები მოვლენ, დადიანი საზღვარზე თავის კაცებს დაახვედრებს, რომელთაც სამუდამოდ ნაბრძანები აქვთ, გვერდი აუხვიონ კარგ პირდაპირ გზებს, მშვენიერს და კარგ ადგილებს და სანახავებს და გამოატარონ ციცაბო კლდეებზე, ტალახიან გზებზე, დაბურული ტყეებით და ცუდი ადგილებით; მდინარეებში გასვლის დროს უნდა ამოერჩიათ უფრო ღრმა ფონი, ღამით უნდა დაებინავებინათ რომლისამე გლეხის სახლში, სადაც ლოგინად დაეგოთ მხოლოდ თივა და საჭმელად ეშოვნათ ყველი და მწვანილი. ელჩები ფიქრობდნენ, რომ მთავრის სასახლეში როცა მივალთ, მაშინ მაინც კარგად მოგვასვენებენო, მაგრამ მთავარი აქაც ახირებულად დახვდებოდა: დამჯდარი ხის ქვეშ... ღარიბულად ჩაცმული მიიღებდა ელჩებს... მოუსმენდა სულთნის უსტარს... მიუჩენდა მათ მოსასვენებლად ერთ დიდ ფიცრულ სახლს, თითქმის უკაროს და უსახურავოს... საჭმელად ყოველ დღე მიართვევდნენ თხის ხორცს...

---

[1] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, გვ. 96.

აგრე შევიწროებულნი და გაჭირვებულნი იყვნენ დადიანის კარზე ელჩები. ამიტომაც ისინი სწყევლიდნენ იმ წამს, როდესაც მოვედით ამ დაწყევლილს და ჯოჯოხეთზე უარეს ქვეყანაშიო. ყველა ღონისძიებას ხმარობდა დადიანი იმისთვის რომ კონსტანტინოპოლში ცუდი აზრი ჰქონოდათ ამ ქვეყნის შესახებ და ხონთქარს აზრადაც არ მოსვლოდა არც ხარკის მომატება და ამ ქვეყნის სრულად დაპყრობა“[1].

სულთნის კარიც დადიანს გარკვეული რიდითა და პატივისცემით ექცეოდა. XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე წერს: „ყოველთვის, როცა იგი (ლაპარაკია დადიანის ელჩზე – ზ. ქ.) დიდვეზირთან ვიზიტად მიდიოდა, თავზე თეთრ ქუდს იხურავდა, რითაც ყველა ქრისტიანის განცვიფრებას იწვევდა, რადგან იგივე რომ სხვა რომელიმე ქრისტიანს ჩაედინა, მას სიკვდილი ან გამაჰმადიანება არ ასცდებოდა. ეს ფაქტი გვიჩვენებს, - განაგრძობს ტავერნიე, - როგორ უფრთხილდება დიდი სენიორი სამეგრელოს მეფესთან მეგობრობას და როგორ ცდილობს არაფერი აწყენინოს მის წარმომადენელს. მან კარგად იცის, რომ მეგრელები არავის არაფერს უთმობენ, სულ უბრალო საბაბით ხმალზე ხელს იკრავენ და ვინც აწყენინებს, ის ვერაფერს მოიგებს“.[2]

დადიანი ცდილობდა ოსმალეთი გამოეყენებინა შეძლებისდაგვარად თავისი ინტერესებისათვის, რადგანაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სამეგრელოს იმპორტის უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ ოსმალეთიდან შემოდიოდა შავი ზღვის საშუალებით. ლევან დადიანმა რუსეთის ელჩებთან საუბარში განაცხადა: „Дань даёт для того, чтоб приходили

---

[1] ლამბერტი, დასაახ. ნაშრომი, გვ. 32.
[2] ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სამეფო კარის აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო გურულმა, თბ., 1974, გვ. 201.

корабли с торгомь, а кой год не будуть корабли и у них тот год скудна солью и железом“[1].

ასეთსავე ცნობას გვაწვდის დომინიკანელი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელმაც 1629 წელს სამეგრელოში იმოგზაურა. ის წერს, რომ დადიანს „ბევრი რამისათვის სჭირდება თურქები. ძირითადად იგი თურქეთიდან ღებულობს მარილს, რკინას და მისთვის საჭირო საქონელს. თურქების მას არ ეშინია, ვინაიდან მისი ქვეყანა მიუვალია. მის ქვეყანაში შეიძლება შეჭრა მხოლოდ ზღვის მხრიდან, მაგრამ ხალხის საცხოვრებელ ადგილებამდე ისე ვერ მიხვალ, რომ არ გაიარო ხუთი მილი დაბურული ტყე, რომელიც გამაგრებული კედელივით ემსახურება მის ქვეყანას“[2].

შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონებისა და ამ რეგიონში ოსმალთა მონოპოლიის დამყარების შედეგად საქართველოს ვაჭრობა შავ ზღვაზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა. „დასავლეთ საქართველოს ქალაქების მაგალითი კარგად მოწმობს, რომ ოსმალებს არ შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის, დასავლეთ საქართველოს ქალაქები შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონების წყალობით უკვე XV საუკუნეში დაეცა, თანდათან გადაშენდა და გაჰქრა. მართალია, დახიზნულ-დაფანტულმა ხელოსნებმა ახალ პუნქტებს მიაშურეს, მაგრამ ახალ ქალაქებს (ხოფი, ანაკლია, რუხი დასავლეთ საქართველოში) საერთო ეკონომიკური დაცემულობის პირობებში ვაჭრობის აღორძინება-გაცხოველება არ შეეძლოთ... საერთოდ შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით მდებარე ბიჭვინთა, ანაკოფია, სოხუმი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი და ბათუმი წარმოადგენდნენ არა სავაჭრო ქალაქებსა და ნავსად-

---

[1] С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую Землю. В книге Материалы для русской истории, М., 1887. გვ. 323.

[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 165; შდრ., მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

გურებს, არამედ ციხე-სიმაგრეებს, ამდენად მათ არ შეეძლოთ შეესრულებინათ რაიმე მნიშვნელოვანი როლი ვაჭრობის განვითარების საქმეში“.[1]

ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრმა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებიდან ქვეყნის სიღმეში – ქუთაისში გადაინაცვლა. ალექსი იევლევი წერს, რომ „ქუთაისში ვაჭრები თურქეთიდან, სპარსეთიდან, აზოვიდან, თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან ყოველგვარი საქონლით მოდიან, სხვადასხვა ხალხი თურქები, ებრაელები, სპარსელები, სომხები, აზოველები და მოაქვთ ირანული ხავერდები, ატლასები, აბრეშუმის ქსოვილები, ფერადი ფარჩა. ეს ყველაფერი იქაურ ფულზე იყიდება, ოქროს მონეტაზე. ოქროს ფული სავაჭრო მიმოქცევაში არის“.[2]

ქუთაისის შესახებ ძალიან საინტერესო ცნობას გვაწვდის არქანჯელო ლამბერტიც: „ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან იმისთანა ადგილზე სდგას, სადაც ყოველი მხრიდან ადვილად მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით, მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინაური ნაწარმი... ქართლიდან მოდიან ქართველები და ირანელები, რომელთაც მოაქვთ ძვირფასი ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებელი. თურქები სამცხის გზიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ თავისი სავაჭრო, მაგალითად უნაგირები და ცხენის საკაზმავები, ნალები, ხანჯლები და თურქული ზანდუკები. სხვებზე მეტი ვაჭრები აქ სომხები არიან, სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები

[1] ვ. გაბაშვილი, XVI-XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 169-171.

[2] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 170.

აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანში და ქართლში და ბოლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქონელი“.[1]

XVII საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს ერთგვარი შვების ხანა დაუდგა. ლევან მეორე დადიანის მიერ ოსმალეთის მიმართ დაუმორჩილებლობის პოლიტიკის წარმოებისათვის თვით ოსმალეთის მხრიდან შეიქმნა ნაყოფიერი პირობები. XVII საუკუნის დასაწყისისათვის სულთნის ხელისუფლება საგრძნობლად შესუსტდა. ამას ადასტურებს იმდროინდელი თურქი მოღვაწის კოჩი ბეი გორიჯელის ტრაქტატი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯარი „სალაშქროდ მიდის როცა მოესურვება, მორჩილება არა აქვთ, ხელისუფლების შიში და რიდი არა აქვთ“.[2]

არსებული შიდა კრიზისიდან გამომდინარე, ცენტრალურ ხელისუფლებას ძველებურად აღარ მიუწვდებოდა ხელი პროვინციებზე, ამიტომაც სულთნის ბრძანებებს არაფრად აგდებდნენ. იანიჩართა შორის დისციპლინა დაეცა, ომში წასვლის პირობად ისინი ხელფასის მომატებას ითხოვდნენ. სულთანი უძლური იყო იანიჩარების წინაშე; მათი ჯარის რეორგანიზაცია არ ხერხდებოდა. როცა ოსმან II-მ (1618-1622 წწ.) იანიჩართა კორპუსის რეორგანიზაცია დააპირა, რათა იგი უფრო ბრძოლისუნარიანი გაეხადა, იანიჩარები აჯანყდნენ და 1622 წელს სულთანი მოკლეს.[3]

აჯანყებულებმა ტახტზე აიყვანეს ჭკუასუსტი უფლისწული მუსტაფა, მაგრამ 1623 წელს მოხელეთა ერთმა ჯგუფმა, იანიჩარებთან შეთანხმებით მუსტაფა ტახტიდან გადააყენა და მცირეწლოვანი მურად IV (1623-1640 წწ.) გაამეფა.[4]

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[2] ვ. ფუთურიძე, ოსმალეთი XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 279-280.

[3] იქვე, გვ. 282.

[4] ოსმალეთის სულთნის კარზე არსებულ უაღრესად კრიტიკულ სიტუაციას ნათლად წარმოაჩენს შემდეგი ფაქტი; ოპოზიციური დაჯგუფების წევრებმა მუსტაფასთვის მისი გონებამახვილობის შემოწმების მიზნით გა-

ოსმალეთის იმპერიის შინაგანი სისუსტე კარგად გამოჩნდა 1623 წელს, როცა ირანელებმა თურქეთს ბაღდადი წაართვეს. აი, როგორ ახასიათებს იმდროინდელი ოსმალეთის მდგომარეობას XIX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე ი. ვ. ცინკაიზენი: „ჯერ არასდროს არ ყოფილა ასეთი თვალნათელი იმ სასიკვდილო ავადმყოფობის სიმპტომები, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უკან სწევდა სახელმწიფოს სასიცოცხლო ნერვს, ჯერ კიდევ არასდროს ყოფილა საშიშროება იმისა, რომ დაპყრობითი ომების შედეგად შეკოწიწებული ეს ტერიტორიათა კონგლომერატი კვლავ დაიშლებოდა ცალკეულ ნაწილებად და შიში ამის შესახებ ამ საბედისწერო მომენტში ძალზედ დიდი და შემაშფოთებელი იყო“.[1]

ოსმალეთში 30-იან წლებშიც არეულობაა. 1631-1632 წწ. ბობოქრობენ უკმაყოფილო იანიჩარები. 1632 წელს ისინი თვით სულთნის სასახლეში შეიჭრნენ და მურად IV-ის თვალწინ დიდვეზირი მოკლეს.

სტამბოლში მომხდარი ამბები, რაც უმწეო მდგომარეობაში აყენებდა ცენტრალურ ხელისუფლებას, შეღავათს უქმნიდა დაპყრობილ ქვეყნებს, მათ შორის გამონაკლისს არც დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა.[2] განდგომისა და დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების მსურველი ოდიშის მთავრისათვის უკეთესი დროისა და პირობების შოვნა ძნელი იყო. დადიანი სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას ოსმალეთის იმპერიის მი-

დაწყვიტეს რამდენიმე პრიმიტიული შეკითხვის დასმა, კერძოდ, რა ჰქვია მას, ვისი შვილია, დღეს რა დღეა და ა.შ. რაზეც დედამისმა უპასუხა, რომ მისი შვილი ვერ შეძლებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000) თბ. 2007, გვ. 201.

[1] J. W. Zinkeisen. Geschichte des osmanischen Reiches in Europa (Funftes Buch) Gotha 1856, 3-4.

[2] მ. რეხვიაშვილი, დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, თბ., 1978, გვ. 34.

მართ, რომელიც გარეგნულად საჩუქრებითა და ტკბილი სიტყვებით იყო შენიღბული. XVII საუკუნის 20-30–იანი წლების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო დადიანის მიერ ფოთის ციხის დანგრევა. სულთნის კარს ზემოთ აღნიშნული რთული საშინაო და საგარეო პირობების გამო არ შეეძლო სათანადო ყურადღება მიექცია სამეგრელოსათვის. ფოთის ციხე ამ დროს სრულად მოკლებული ყოფილა ოსმალეთის მთავრობის ყურადღებას. სულთანმა არც კი იცოდა ციხის დანგრევის ამბავი და მისი მცველები უწინდებურად იღებდნენ ჯამაგირს თავიანთი ხელისუფლებისაგან.[1] ოსმალეთის სისუსტით გათამამებული დადიანი უფრო შორს მიდის, ის თავს არიდებს თავის სიუზერენს და ირანს უკავშირდება, რაც გამოიხატა 1633 წელს ლევან II დადიანისა და როსტომ მეფის დამოყვრებით.

1632 წლის გაზაფხულიდან მურად IV იწყებს დიდი დაპყრობითი ომის მომზადებას. მან გარკვეული წესრიგი შეიტანა ამბოხებულ არმიაში. საგარეო ომისათვის სამზადისი დააჩქარა ცნობამ იმის შესახებ, რომ ყიზილბაშები აღმოსავლეთ საქართველოში შევიდნენ და თეიმურაზი განდევნეს იქიდან. მუსტაფა ნაიმას ცნობით, თეიმურაზსა და იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ როსტომისა და დადიანის მეოხებით მთელს საქართველოში ყიზილბაშები დათარეშობდნენ. ნაიმას ცნობიდან გამომდინარე ყიზილბაშები შავი ზღვის სანაპიროებამდე გასულან და გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრებს საშიშროება დამუქრებია. ოსმალეთის მთავრობა კარგად ხედავდა ამ ღონისძიებებში ოდიშისა და გურიის ხელს და სახავდა ღონისძიებებს მათ დასასჯელად და ამავე დროს თავისი სასაზღვრო რაიონების განსამტკიცებლად: „ჩილდირის ბეგლარ-ბეგმა სეფერ ფაშამ აცნობა [ოსმალეთის ხელისუფლებას], რომ საჭიროა ხმელეთით ლაშქარი და სახელმწიფო ფლოტი მოვიდეს იმ მხარის დასაცავად და დადიანისა და გუ-

[1] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

რიელის ქვეყნების გასანადგურებლადო, მოსაზღვრე ბეგებს ბრძანებები დაეგზავნათ, არზრუმის საზღვრის დასაცავად კვლავ ადანას ბეგლარ-ბეგი, მთელი ყარამანიის სანჯაყების, სარუხანისა და კასტამონიის, სანჯაყების მეთაურები დაინიშნონ“.[1] როგორც ნაიმას ცნობიდან ჩანს, ოსმალეთის მთავრობა საქართველოს ამბებს სერიოზულად შეუშფოთებია.

ოსმალეთის მთავრობამ, მიუხედავად კრიზისული მდგომარეობისა, გადაწყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა გათამამებული ვასალი, რომელიც სიუზერენის მტრებთან იყო კავშირში. 1634 წელს ოსმალებმა მნიშვნელოვანი სამხედრო დესანტი 60 კატარღის ოდენობით გადმოსხეს კოდორის კონცხის მიდამოებში და სასტიკად დაანგრიეს დრანდის მონასტერი თავისი შემოგარენით.[2]

1635 წელს მურად IV დაიძრა ამიერკავკასიისაკენ. იმავე წლის 8 აგვისტოს ოსმალებმა ერევანი აიღეს. მათ ააოხრეს სომხეთის ტერიტორია, მერე აზერბაიჯანში გადავიდნენ, 3 დღე თავრიზს აოხრებდნენ. ამ ლაშქრობის დროს აღებულ იქნა ახალციხეც. ლაშქრობის შემდეგ მურად IV სტამბულს დაბრუნდა.

ოსმალთა ლაშქრობებმა უზარმაზარი ზიანი მიაყენა ამიერკავკასიის ქვეყნებს, მოიშალა მეურნეობა, დაქვეითდა კულტურა. ამ ხალხებისათვის ერთნაირად მიღებელი იყო ირანიცა და ოსმალეთიც. ორივე აგრესორი ეცილებოდა ერთმანეთს ამიერკავკასიას, მაგრამ მის დამორჩილებას ვერც ერთი ვერ ახერხებდა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობით აიხსნებოდა. რა თქმა უნდა, ყიზილბაშური ირანი ვერ მოითმენდა ახალციხისა და ერევნის დაკარგვას... „ერევნის აღებით ოსმალეთი მას (ირანს – ზ. ქ.)

---

[1] მუსტაფა ნაიმა, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[2] С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую Землю. (1639-1640) В книге Материалы для русской истории, М., 1887. გვ. 324.

გზას უჭრიდა ამიერკავკასიის დანარჩენი ქვეყნებისაკენ, ხოლო ახალციხე გზას უხსნიდა ოსმალეთს დანარჩენი ქართული სამეფო სამთავროებისაკენ, რომელთა დაპყრობა-დამორჩილებას თვითონ ირანი დაჟინებით ცდილობდა“.[1]



**ოსმალეთის სულთანი მურად IV**

1635 წლის გაზაფხულზე ყიზილბაშებმა ერევანი დაიბრუნეს, მაგრამ ახალციხის დაბრუნება ამ წელს ვერ მოახერ-

[1] ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ.367.

ხეს. ამავე წელიწადს ოსმალებმა შეაკეთეს ახალციხის ციხე და შიგ დამატებითი ლაშქარი ჩააყენეს.

დასუსტებულ ირანს აღარ შეეძლო სამცხის უკან დაბრუნება, ხოლო ოსმალეთს – ერევნის კვლავ დაკავება და სამცხიდან შიდა ქართლში გაჭრა. ასეთ ვითარებაში შაჰმა სცადა დაკავშირებოდა ათაბაგების სახლის იმ წევრებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ოსმალთა რენეგატი მოხელის – საფარ ფაშას პოლიტიკით და ბრძოლას განაგრძობდნენ დამპყრობლის წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს ირანის შაჰმა გადასწყვიტა თავის ვაჟზე დაექორწინებინა ათაბაგის ასული ელენე, რომელიც გაქცეული იყო სამცხიდან და თავს აფარებდა გურიაში მალაქია კათალიკოსთან. ათაბაგის ოჯახის დამოყვრებას ირანის შაჰის კართან მხარს უჭერდა დადიანი, რომლის დახმარებით შაჰმა შესძლო ელენეს წაყვანა საქართველოდან და მისი დაქორწინება თავის ვაჟზე.[1] მაგრამ ამ პოლიტიკურ ქორწინებას არ მოჰყოლია სასურველი შედეგები. სამცხე ისევ ოსმალთა მფლობელობაში დარჩა.[2]

1638 წლის გაზაფხულზე მურადი ბაღდადისაკენ გაემართა, ამიერკავკასიის მაოხრებლად დატოვა თავისი ფაშები. 1638 წლის 13 ნოემბერს ოსმალეთის ლაშქარი ბაღდადს მიადგა. ახლა ირან-ოსმალეთის ომი გაჩაღდა მთელს სივრცეზე – კავკასიიდან ბაღდადამდე.

ბაღდადისათვის ბრძოლა მეტად სასტიკ ხასიათს ატარებდა. ეს იყო ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის უკანასკნელი დიდი შეტაკება. ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობდა მურადი. ბაღდადი აღებულ იქნა 1638 წლის დეკემბერში.[3]

1635 წელს გაჩაღებულმა ომმა ოსმალო ფეოდალებს ვერ მოუტანა დიდი სარგებლობა. მათ ვერ დაიპყრეს ამიერკავკა-

---

[1] ი. ტაბაღუა, სპარსეთის ქართველი დედოფალი, გაზ. „თბილისი“, 17 სექტემბერი, 1988 წ.

[2] ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

[3] ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 369.

სიის ქვეყნები (გარდა სამცხისა), რომელთა ძარცვას, მათი აზრით, უნდა გამოესწორებინა ოსმალეთის მდგომარეობა.

ომმა მძიმე მდგომარეობა შეუქმნა აგრეთვე სეფიანთა სახელმწიფოს, რომლის დაქვეითების ნიშნებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ შაჰ-აბას I-ის სიცოცხლეში. შაჰ-სეფი, ისევე როგორც მურად IV, მზად იყო ზავი დაედო. მეომარ მხარეთა მოლაპარაკების საფუძველი გახდა ის, რომ ოსმალეთი უარს ამბობდა ერევანზე, ხოლო ირანი სამცხესა და ბაღდადზე. ეს პირობა სავსებით შეესაბამებოდა ფაქტიურ მდგომარეობას.[1]

1639 წელს ირან-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო სოფ. ზოჰაბში, კასრ-ი შირინის მახლობლად. ამ ზავით დასრულდა ომები, რომლებსაც ირანი და ოსმალეთი აწარმოებდნენ XVI-XVII საუკუნეებში და აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები, ე.ი. აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი კი – ოსმალეთს. რაც შეეხება სამცხეს, იგი მთლიანად ოსმალეთის ტერიტორიად იქნა ცნობილი განსხვავებით 1555 წლის ზავისა, როცა სამცხეც შუაზე გაიყო.[2] ამ ზავმა, რომელიც 1723 წლამდე არ დარღვეულა, დიდი ხნით დააკანონა საქართველოს პოლიტიკური გათიშულობა. ირანი და ოსმალეთი ყოველნაირად უშლიდნენ ხელს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა შეკავშირება-გაერთიანებას.

XVII საუკუნის 40-იან წლებში, კერძოდ, 1647 წელს, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები ლევან II დადიანი და ალექსანდრე III თეიმურაზ I-თან ერთად მონაწილეობას ღებულობენ კაზაკთაგან გონიოს ციხის განთავისუფლებაში და ოსმალებთან ერთად იბრძვიან.[3] ევლია ჩელების მიხედვით, ბრძოლისას კაზაკებს დამხმარეებად მოვლენიათ მეგრელები თავიანთი „მენექისლა“ ნავებით, მაგრამ

[1] იქვე, გვ. 371.
[2] იქვე.
[3] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, გვ. 326-327.

ოსმალთა ძლიერი ცეცხლის შედეგად უკუქცეულან, ნაწილი კი ხმლების ლუკმა გამხდარა. ამ ცნობიდან კარგად ჩანს ის ფაქტი, რომ თვით დასავლეთ საქართველოში ერთნაირი არ ყოფილა კაზაკებთან დამოკიდებულების ფორმები. თუ კი ამ რეგიონის მესვეურები (იმერეთის მეფე და სამეგრელოსა და გურიის მთავრები - ზ. ქ.) პოლიტიკურად ვალდებულები იყვნენ ოსმალეთის მხარეზე გამოსვლისა, მათ გარდა ყოფილა სხვა, სახალხო ძალაც, რომელიც თანაუგრძნობდა კაზაკებს და შეძლებისდაგვარად დახმარების ხელს უწვდიდა მათ.

როცა ვეხებით დასავლეთ საქართველოს ურთიერთობებს ოსმალეთთან, განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ ისეთ უდიდეს მანკიერებასა და ტრაგედიას ჩვენი ხალხის ისტორიაში, როგორიცაა ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობა ანუ ტყვის სყიდვა, რაც განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩინდა სწორედ გვიანფეოდალური საქართველოს სინამდვილეში. რათა უფრო გასაგები გახდეს მაშინდელი პოლიტიკური გარემოცვის დამღუპველი გავლენა საქართველოზე, მოკლედ შევეხებით ტყვეთა გამოყენებას მაჰმადიანურ სახელმწიფოთა სამეურნეო სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაჰმადიანურ სამყაროში მონობა დაშვებული ჯერ კიდევ მაჰმადის დროიდან. მოგვიანებით ქრისტიანული ქვეყნებიდან გაყვანილ ტყვეებს ფართო გამოყენება ჰქონდათ ეგვიპტის, ირანისა და განსაკუთრებით ოსმალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ეგვიპტეში ქართველი ტყვეების გაყვანა XIII-XIV სს-დან დაიწყო. ქართულ საისტორიო ლიტერატურაში გავრცელებული ვერსიის თანახმად, სალადინის ერთ-ერთმა მემკვიდრემ 1230 წელს ჩერქეზეთში სამეგრელოსა და აფხაზეთში იყიდა 12000-მდე ახალგაზრდა კაცი – ჩერქეზი, მეგრელი, აფხაზი

და მათგან ეგვიპტეში მამლუქთა არმია შეადგინა.[1] XIV საუკუნიდან კი ქართველი მამლუქები ეგვიპტეში უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო 1381-1517 წლებში ეგვიპტის მმართველები წარმოშობით ქართველები იყვნენ.[2]

ქართული წარმოშობის ტყვეებზე დიდი მოთხოვნილება ჰქონდა ირანს. შაჰისა და სხვა დიდებულების ცოლების უმრავლესობას ქართველი ქალები შეადგენდნენ. ჩარლზ დარვინი აღნიშნავს, რომ „სპარსელების სისხლი გაკეთილშობილდა ორი ეროვნების – ქართველებისა და ჩერქეზების სისხლით, რომლებიც ყველა სხვა ხალხზე ლამაზები არიან“.[3] საქართველოდან გაყვანილ ყმაწვილებს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავათ შაჰის გვარდიაში – შაჰისევანში.

ყველაზე დიდი გამოყენება ქრისტიანული ქვეყნებიდან და მათ შორის საქართველოდან გაყვანილ ტყვეებს მაინც ოსმალეთში ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთი იყო მათი კლასიკური მომხმარებელი მთელი გვიანი საშუალო საუკუნეების მანძილზე. თურქეთის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და თვითმყოფად მოვლენას წარმოადგენდა იანიჩართა სამხედრო სისტემა. ქრისტოფორო კასტელის ცნობით, იანიჩარები, დიდი სულთნის ჯარისკაცები უმრავლეს შემთხვევაში გამაჰმადიანებული ქრისტიანების შვილები იყვნენ, ხოლო ომში გულადნი და ქრისტიანების დიდი მტრები.[4]

---

[1] დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967, გვ. 9. ციტ. ა. კილასონია, ტყვის ყიდვა დასავლეთ საქართველოში XVI-XIX სს პირველ ნახევარში. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად; თბ., 1985

[2] იქვე, ა. კილასონია, დასახ. ნაშრ.

[3] Чарльз Дарвин, Полное собрание сочинении, Т. II кн. I, М. 1927, გვ. 579. ციტ. ა. კილასონია, დასახ. ნაშრ.

[4] ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1977, გვ. 129.

თავდაპირველად იანიჩარები ყველანი ქრისტიანული წარმოშობისანი იყვნენ, ისინი მოწყვეტილი იყვნენ ოჯახს, საზოგადოებას და მხოლოდ სულთანზე იყვნენ დამოკიდებული.

საიანიჩარო ყმაწვილები გროვდებოდნენ ქრისტიანი ქვეშევრდომებისა და დამოკიდებული ქრისტიანული სახელმწიფოებისაგან. ქრისტიანი მოსახლეობა დახარკული იყო სისხლის მძიმე გადასახადით—ყოველ ოჯახს უნდა მიეცა მე-4, მე-5 ბავშვი. ამ გადასახადის ზუსტად აკრეფას ხელისუფლება იმდენად დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ ხშირად მსურველებს მაჰმადის რჯულზე გადასვლას უკრძალავდა, რათა ამ გადასახადისაგან არ განთავისუფლებულიყვნენ.[1]

XVI საუკუნის ბოლოსათვის სულთნის კარზე 12 ათასი იანიჩარი იყო. მათი დიდი ნაწილი, სავარაუდოა, ამიერკავკასიის ქრისტიანული პროვინციებიდან იყო გაყვანილი.

მსოფლიოს ბევრი კუთხიდან, მათ შორის საქართველოდან ჩამოყვანილი ტყვეებით ივსებოდა დიდი სულთნის სასახლე – სერალიც. სულთნის კარზე მოხვედრილი ქართული წარმოშობის ტყვეები არც თუ ისე იშვიათად მაღალ თანამდებობებს აღწევდნენ. ევლია ჩელების ცნობით, მისი თანამედროვე არზრუმის ფაშა წარმოშობით აფხაზი ყოფილა. აფხაზი ყოფილა სეიდ-აჰმედ ფაშაც, ქართული წარმოშობისა ყოფილა დელი დელავერ ფაშა და მრავალი სხვ.[2]

უეჭველია ამ მანკიერი ჩვეულების ძირითადი მიზეზი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა და მორალური დაქვეითება იყო. ისტორიული წყაროები განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან დასავლეთ საქართველოდან გაყვანილი ტყვეების რაოდენობის შესახებ XVII საუკუნის I ნახევარში. თეატინელი მისიონერის – ჯუზეპე ჯუდიჩეს მიხედვით სამეგრელოში,

---

[1] ა. კილასონია, დასახ. ნაშრ. გვ. 30.

[2] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, გვ. 338, 341. ა. კილასონია, დასახ. ნაშრ. გვ. 35

იმერეთსა და ქართლში გაყიდული ყმაწვილების რიცხვი, არანაკლებ 2000-ს აღწევდა.[1] მეორე მისიონერის – პიეტრო ავიტაბილეს ცნობით შავი ზღვის სანაპიროდან წელიწადში 4000 ტყვე მაინც გაჰყავდათ ან ხარკის სახით აგზავნიდნენ.[2]

თეიმურაზ I-ის მიერ 1639 წელს რუსეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით, სამეგრელოს მთავარი დადიანი ჰყიდდა წელიწადში 10-15 ათას სულს, ხოლო გურიის მთავარი – 10-12 ათასს.[3]

ჟან შარდენის ცნობით, 1672 წლისათვის სამეგრელოდან ყოველწლიურად 7-8 ათასი ტყვე მიჰყავდათ, აქედან მარტო კონსტანტინეპოლში 3 ათასამდე კაცი.[4]

წყაროთა მონაცემები დასავლეთ საქართველოდან გაყვანილი ტყვეთა რაოდენობის შესახებ, როგორც ვხედავთ, განსხვავებულია. გადაჭარბებულად გვეჩვენება თეიმურაზ I-ის ცნობა გაყიდულ ტყვეთა რაოდენობის შესახებ. მკვლევარი ა. კილასონია თვლის, რომ დასავლეთ საქართველოდან გაყვანილი ტყვეების რაოდენობა XVII ს. I ნახევრისათვის 4-5 ათასზე ნაკლები არ იყო.[5]

როგორც ვხედავთ, XVII ს-ის I ნახევრის დასავლეთ საქართველოში უაღრესად ხელსაყრელი პირობები არსებობდა ადამიანებით ვაჭრობისათვის. ამ სამარცხვინო საქმეში მო-

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 45.

[2] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 34.

[3] Броссе М; Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г. СПБ, 1861 г, с. 22-23. ციტ. ა. კილასონია, დასახ. ნაშრ. 32

[4] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 204.

[5] ა. კილასონია. დასახ. ნაშრომი. გვ. 37

ნაწილეობას ღებულობდნენ როგორც თავადაზნაურობის, ასევე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის მეფის ავტორიტეტი ძალზე დაეცა, ამიტომ მას არ შეეძლო ქმედითი ზომების მიღება. ამავე დროს ამ რეგიონში ერთადერთი ძლიერი ხელისუფალი ლევან II დადიანი იყო. მის პოლიტიკას ოსმალო დამპყრობთა მიმართ თუნდაც სამეგრელოს სამთავროსათვის, რომ არაფერი ვთქვათ დიდმნიშვნელოვან შიდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებზე, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დაპყრობით ომს დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, სამეგრელოს მიმართ ოსმალეთის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ოსმალეთი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კარგად ხედავდა დადიანის ხრიკებს და ვასალური მდგომარეობისადმი თავის არიდებას, მაგრამ „ბრწყინვალე პორტას" გადამჭრელი, პირდაპირი კონტრღონისძიებებისათვის არ მიუმართავს. ერთი საკითხია ის, რომ დიდ დაპყრობით ომად დასავლეთ საქართველო არც ეღირებოდა და მეორეც, ოსმალეთს ამ პერიოდში საქართველოსთან ომისთვის არ ეცალა, რადგანაც ეს ოსმალეთს ზარალს უფრო მოუტანდა, ვიდრე მოგებას. ამიტომაც ოსმალეთი ამაზე შეგნებულად ხუჭავდა თვალს, უკიდურეს შემთხვევაში გამაფრთხილებელი ღონისძიებებით კმაყოფილდებოდა, რითაც შეახსენებდა დადიანს თავის ვასალურ მდგომარეობას.

დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ოსმალეთთან XVII საუკუნის პირველ ნახევარში, შეიძლება დავახასიათოთ როგორც ფორმალური ვასალიტეტი. როცა მთავარი გარკვეულწილად იხდის დაკისრებულ ხარკს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მას თავს არიდებს და საწინააღმდეგო პოლიტიკურ კურსსაც ახორციელებს. სპარსეთთან გამუდმებულ საომარ მდგომარეობაში მყოფ და საკუთარი საშინაო კრიზისებით

დამძიმებულ ოსმალეთის მთავრობისთვის ასეთი ვასალიტეტი სავსებით მისაღები იყო. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში ოსმალეთს რაიმე სერიოზული დაბრკოლების გადალახვა არ უხდებოდა, იგი მარტოოდენ ხარკის მიღებით კმაყოფილდებოდა და სჯერდებოდა სიუზერენ-ვასალის ურთიერთდამოკიდებულების იმ ნორმებს, რომლებიც მის მიერ იყო დაწესებული დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების მიმართ. ,,ლიხთიმერეთის მეფე-მთავრები ოსმალეთის ნომინალურ ,,ყმობას" შერჩნენ. თავიანთ ასეთს მდგომარეობას ისინიც არსებულს პირობებში უმცირეს ბოროტებად უყურებდნენ და ურთიერთ შორის ფეოდალურ ომებში გართულნი ოსმალეთის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლას ერიდებოდნენ."[1]

თუკი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები XVII საუკუნის I ათწლეულში ათეულობით ტყვეს აძლევდნენ სიუზერენს, 40-იანი წლების დამდეგისათვის ლევან დადიანი სცემს ბრძანებას, რომლითაც კრძალავს ადამიანებით ვაჭრობას. ამის შესახებ რომში თავის ხელმძღვანელობას დიდი სიხარულით ატყობინებდა სამეგრელოში მყოფი თეატინელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე 1640 წელს.[2]

ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ (1657 წ.) დასავლეთ საქართველოში დაიწყო ფეოდალური არეულობა, რითაც მეფისა და მთავართა ხელისუფლება კიდევ უფრო დასუსტდა. „XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან; წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, მთელი დასავლეთ საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა... მეფის თუ მთავრის ხელისუფლება კიდევ უფრო დაეცა, ქვეყანა თავადების სათარეშოდ იქცა"... [3]

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ. 1973, გვ. 197

[2] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119., მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 274.

სულთნის მთავრობამ არ დააყოვნა გამოეყენებინა დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ. ამას ადასტურებს ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ შედგენილი ორი ოფიციალური ოსმალური დოკუმენტი: „დადიანის დანიშვნის თაობაზე დიდი ვეზირის მიერ იმერეთის განმგებლისადმი გაგზავნილი მაღალღირსეული წერილის პირი“[1] და მეორე - „დიდი ვეზირის მიერ დადიანის ტომის თავადებისადმი გაგზავნილი წერილის პირი“.[2]

ამ დოკუმენტის ანალიზიდან ჩანს, რომ სულთნის კარი დადიანისა და გურიელის დანიშვნას ამიერიდან თვლიდა არა იმერეთის მეფის, არამედ საკუთარ პრეროგატივად.

ოსმალეთი ყოველნაირად უწყობდა ხელს ქვეყნის აშლილობას, ისარგებლა რა აქ არსებული არეულობით და დასავლეთ საქართველოს ზოგ ქალაქსა და ციხეში საკუთარი ჯარი ჩააყენა. მიუხედავად ამისა, ოსმალები ვერ ბედავდნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას და საგარნიზონო სამსახურით კმაყოფილდებოდნენ. ასეთი მდგომარეობა XVIII ს-ის დამდეგამდე გაგრძელდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVIII ს. დამდეგისთვის მეტად შემცირებულა ოდიშის სასაზღვრო ციხეებში განლაგებული ოსმალური გარნიზონის ჯარისკაცთა რაოდენობა. როგორც ირკვევა, მათი აქ დგომაც ფორმალურ ხასიათს ატარებდა.[3]

---

[1] ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. II ნახევარში, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 250, თბ., 1985, გვ. 106-123.

[2] ს. ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1965, გვ. 213.

[3] ანაკლიის ციხეში განლაგებული ოსმალური გარნიზონის ჯარისკაცთა რაოდენობა 1707-1708 წწ. 55-ს შეადგენდა. რუხის ციხეში იმავე წლებში 30 ოსმალო ჯარიკაცი იდგა. იხ. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს). თურქული ტექსტი თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1982, გვ. 28-30.

დასავლეთ საქართველო პოლიტიკური მეთვალყურეობა ახალციხის ფაშას ევალებოდა. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში ვითარების დადგენა, აჯანყების ჩახშობა, ხარაჯის აკრეფა და სახელმწიფო ხაზინაში გაგზავნა ევალებოდა ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგს... საშინაო საქმეებში ისინი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ და თავიანთ ქვეყნებს თვითონვე მართავდნენ.[1] განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარების დროს ახალციხის ფაშა არზრუმის ფაშას მიმართავდა და მისი ხელმძღვანელობით მოქმედებდა. „ძნელოვან საქმეებს აუწყებდნენ არზრუმის ფაშას და მით განმართვიდნენ“.[2]

დასავლეთ საქართველოში ოსმალურმა ადმინისტრაციამ ფეხი ვერ მოიკიდა, ვინაიდან ყოველგვარი ცდა ამ მიმართულებით დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. თუკი XVI საუკუნის 30-იან წლებში, თურქული დოკუმენტის მიხედვით, დადიანი (ე.ი. ოდიში) სოხუმამდე ვრცელდება, ხოლო სოხუმის იქით აფხაზეთის ქვეყნები იწყება, 1630 წელს, ჯოვანი და ლუკას ცნობით, სოხუმი უკვე აფხაზეთის შემადგენლობაშია.[3]

ცხადია, სამეგრელოს ტერიტორიული შევიწროება ოსმალეთის მხარდაჭერით ხორციელდებოდა.

ასეთი იყო ზოგადად დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ოსმალეთთან XVII ს-ის I ნახევარში.

---

[1] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 240.
[2] ვახუშტი, აღწერა... ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 58.
[3] გ. ალასანია, საისტორიო კრებული, თბ. 2007, გვ. 284

# თ ა ვ ი III
# ოდიშის სამთავროს კონტაქტები სპარსეთთან XVII ს. პირველ ნახევარში

ამასიის 1555 წლის 29 მაისის ზავის თანახმად საქართველო ოსმალეთსა და სპარსეთს შორის იქნა განაწილებული. დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთს ერგო, ხოლო ქართლ-კახეთი და აღმოსავლეთი სამცხე-სპარსეთს. 1555 წელს შემუშავებული ეს დიპლომატიური ფორმულა ირან-ოსმალეთის მთავარ შეთანხმებად ითვლებოდა XVI-XVII საუკუნეებში. შესაძლებელ შემთხვევაში მოპირდაპირე მხარე ან მთლიანად უარყოფდა მას და განაწილებულ „უფლებას" აერთიანებდა, ანდა შესაფერისი კორექტივი შეჰქონდა მასში. ირან-ოსმალეთის აგრესიულ პოლიტიკას მოწმობენ არა მარტო მათი გაუთავებელი ომები საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ საზავო ხელშეკრულებებიც, რომელთა მიხედვითაც გავლენის სფეროებად განაწილებულ საქართველოს საწინდარი უნდა შეექმნა მათი პოლიტიკური ბატონობისათვის.[1]

დამპყრობელი ყიზილბაშები და ოსმალები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა არ დაეშვათ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და სისტემატური კონტროლი დაეწესებინათ ამ ზავით კუთვნილი მხარეებისათვის.

ამასიის ზავის მიხედვით დასავლეთ საქართველო ოსმალეთის წილხვდომილი ქვეყანა იყო და სპარსეთის გავლენა პირდაპირი გზით ვერ აღწევდა. მოცემულ თავში ჩვენ შევეცდებით ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით შევეხოთ სპარსეთის დამოკიდებულებას დასავლეთ საქართველოს

[1] ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 335.

პოლიტიკურ ერთეულებთან, კერძოდ კი ოდიშის სამთავ-როსთან ჩვენთვის საინტერესო პერიოდში.

შაჰ-აბასის (1587-1629 წწ.) რეფორმებმა ეკონომიკუ-რად წინ წასწია ირანი და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის მომავალ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებს. ამასთან სპარსეთის გაძლიერებას ქრონოლოგიურად დაემთხვა ოსმა-ლეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულება.[1] სპარსეთის ძლიერების გამოძახილი იყო 1612 წლის სპარ-სეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებაც, რომლის ძალი-თაც შაჰ-აბასმა აღადგინა 1555 წლის ამასიის ზავის პირობე-ბი, რომელიც მას 1590 წლის ოსმალეთთან დადებული ხელ-შეკრულებით ჰქონდა წართმეული. 1590 წლის ზავით სპარ-სეთმა დაკარგა ამიერკავკასია.

1614 წლის დამდეგს შაჰ-აბასმა თავისი ჯარი შემოუსია აღმოსავლეთ საქართველოს და ქვეყნის რბევა-აწიოკებას შეუდგა. სპარსეთის შაჰს მიზნად ჰქონდა ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება და ქართული მიწების სრული და-უფლება. ქართველმა მეფეებმა თეიმურაზ I-მა და ლუარსაბ II-მ იმერეთს შეაფარეს თავი. სპარსეთის მბრძანებელი შეე-ცადა თავისი „ქვეშევრდომი მეფეები“ ხელთ ეგდო. ფარსა-დან გორგიჯანიძის გადმოცემით, შაჰი ნიქოზს მივიდა და რისხვიანი წერილი მისწერა იმერეთის მეფე გიორგი III-ს: „ჩვენი ყმანი თქვენთან მოსრულანო, გამოგვიგზავნეთო, თორადა ჯარს გამოგიძახებთო“. გიორგი III-მ კარგად იცო-და, რომ შაჰს არ შეეძლო იმერეთს გადმოსვლა, ამიტომაც შემდეგი პასუხი გასცა: „ყმას რომ ბატონისგან ეშინოდესო, ერთგულობაში ჩაიგდებისო. ამათ თქვენგან ეშინიათო, მერ-მე კიდეც დავითხოვო, აფხაზეთს წავლენო და იმერეთი რომ კიდეც დაარბიოთო, ღომის მეტს ვერ იშოვნიანო და ვისაც არ

[1] იქვე, გვ. 341.

უჭამიაო ლომი, ჭამოსო, გამუნიანდებიანო და ესენი თავიანთ ნებით თქვენი ნახვა არ შეუძლიათო".[1]

საინტერესოა ვახუშტის ცნობა ზემოთხსენებული ამბის თაობაზე. შაჰ-აბასის მიერ იმერეთს წარგზავნილი დესპანი ემუქრება გიორგი III-ს, რათა მისცეს შაჰს მეფენი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შაჰი „მოვიდეს სპითა ჩარუხ დაჰრაიანითა და მოსპოს ქვეყანა მისი". მაშინ გიორგი მეფემან ჰკითხა: „რაი არს ჩარუხი და დაჰრა", უპასუხეს - „კოხუნჯი და წალდი". გიორგიმ დესპანს მიუგო: „ვგონებდი შეშინებასა სარმუზოსანითა, გარნა კოხუნჯნი და წალდნი აქუსთ მრავლათ ჩემთა მარგუელთაცა".[2]

შაჰ-აბასის ისტორიკოსი ისკანდერ მუნშიც ეხება იმერთა მეფის კარზე ქართლ-კახეთის მეფეების თავშეფარების ფაქტს და ჩვეული გაზვიადებით აგვიწერს შაჰის ელჩის ჩასვლას გიორგი III-ის კარზე და გიორგის პასუხს მეფეების დაბრუნების თაობაზე.[3] ისკანდერ მუნში გვაწვდის ცნობას უს-ად წოდებული მხარის (ვილაიეთი – ზ. ქ.) დალაშქვრაზე შაჰის ჯარისკაცთა მიერ. მუნშის ცნობით, ამ მხარის ხალხი ბაში-აჩუკის ქვეშევრდომია. „უს" მხარიდან სპარსელებს ტყვედ წამოუყვანია 500 კაცი და 2000-მდე სული პირუტყვისა.[4]

მეტად საინტერესოა ერთი რუსული ცნობა. 1614 წლის შემოდგომაზე თერგის ვოევოდა პეტრე გოლოვინი გასული თვეების ამბებს ატყობინებდა მთავრობას, კერძოდ, შაჰ-აბას I-ის სამეგრელოში გალაშქრებას და მისი (ე.ი. შაჰის, ზ. ქ.)

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925, გვ. 229.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 825.

[3] ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 88-89.

[4] იქვე, გვ. 90.

ჯარების უწყალოდ განადგურებას: „ ... ოცი ათასიდან მხოლოდ ხუთი ათასმა უშველა თავსო“.[1]

თუ ზემოთ მოტანილ ორ ცნობას შევაჯერებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შაჰის ლაშქარს მართლაც გადაულახავს იმერეთის საზღვარი და ადგილი ჰქონია შეტაკებასაც ადგილობრივ ლაშქარსა და მომხდურთ შორის. რუსული წყაროს ცნობა აშკარად გაზვიადებული ჩანს. ჩვენის აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ სპარსელთა მცირე რაზმი გადასულიყოს იმერეთის ტერიტორიაზე და ბრძოლა ჰქონოდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან, თუ იმერეთის ლაშქართან არა. ქართული წყაროები არაფერს ამბობენ ზემოთხსენებეული ფაქტის შესახებ, რაც ალბათ, მოვლენის მცირე მნიშვნელობით უნდა აიხსნას.

XVII საუკინის 20-იან წლებამდე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები მეგობრულად იყვნენ ერთმანეთის მიმართ განწყობილი და ქვეყნის საგარეო საკითხებს ერთად სწყვეტდნენ; შაჰ-აბასის ელჩისათვის პასუხის გასაცემად გეგუთის სასახლეში ლევან დადიანი და მამია გურიელიც მოვიდნენ. მეფე-მთავრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქართველ მეფეებს არ გასცემდნენ.[2]

მიუხედავად შაჰის მუქარისა, თუ მეფეებს არ გასცემდნენ, იმერეთს დაარბევდა, გიორგი III-მ შაჰის წინაშე წარავლინა ელჩები – აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია და პაატა აბაშიძე თხოვნით, „რათა მისცეს ორთავ მეფეთა მკვიდრნი თვისნი და ეგრეთ დაიმორჩილოს“.[3]

---

[1] ТТ. Г. Тивадзе. Материалы для внешнеполитической истории Грузии I половины XVII века, содержащиеся в архивном фонде „Сношения Росии с Персией“, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, თბ., 1973, დოკუმენტი №4, გვ. 132.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 825.
[3] იქვე.

შაჰ-აბასი დარწმუნდა, რომ გიორგი III მეფეებს არ გასცემდა, მას კი არ შეეძლო იმერეთში გადასვლა და პირდაპირი სამხედრო ოპერაციის დაწყება, რადგან სპარსეთ-თურქეთის ზავით დასავლეთ საქართველო თურქეთს ეკუთვნოდა და ზავის დარღვევა კი ნიშნავდა ომის დაწყებას თურქეთთან, რაც ამ ეტაპზე სპარსეთს არ აწყობდა.

შაჰ-აბასმა მაინც შეძლო მოტყუებით ლუარსაბ მეფის ჩაგდება და გულაბის ციხეში გაგზავნა, სადაც 1622 წელს მოაშთობინა. ფარსადან გორგიჯანიძე ცნობას გვაწვდის ამ დროებში იმერელთა მიერ ზემო ქართლის დარბევის თაობაზე, რაც შესაძლოა განაწყენებულ იმერელთა რეაქცია ყოფილიყო ლუარსაბ მეფის დაპატიმრების გამო.[1]

ცბიერი შაჰი არ ენდობოდა საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს. მან სასწრაფოდ ააშენებინა ორი ციხე გორსა და სურამში და სათანადოდ გაამაგრებინა ორივე.[2] შაჰს ამით სურდა თვალყური ედევნებინა დასავლეთ საქართველოსათვის და ხელსაყრელ მომენტში იგივე პოლიტიკა გაეტარებინა იქ, რა პოლიტიკასაც აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ახორციელებდა.

1616 წელს, როცა შაჰ-აბასი ცეცხლითა და მახვილით კახეთს აოხრებდა, ოსმალეთის დიდვეზირმა მეჰმედ-ფაშამ ლაშქრობა დაიწყო ირანელთა წინააღმდეგ, მაგრამ ერევნისა და ნახჭევნის ციხეებში გამაგრებულმა სპარსელებმა წარმატებით მოიგერიეს იანიჩართა ეს შემოტევა. 1618 წელს ოსმალეთის ახალმა დიდ ვეზირმა ხალილ-ფაშამ (მეჰმედ-ფაშა გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან სპარსეთთან ომში წარუმატებლობის გამო – ზ. ქ.) დიდი ლაშქრით შეუტია სეფიანთა სახელმწიფოს მეტად მნიშვნელოვან ოლქს, სამხრეთ აზერბაიჯანს. ოსმალებს მიზნად ჰქონდათ სპარსეთის ლაშქრის

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.
[2] ისკანდერ მუნში, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

სრული დამარცხება, საქართველოში შეჭრა და თეიმურაზის აღდგენა ტახტზე, მაგრამ ეს ლაშქრობაც, მიუხედავად ოსმალთა რიცხობრივი უპირატესობისა, მარცხით დამთავრდა.

სპარსეთ-ოსმალეთის ზავი დაიდო 1618 წელს სერაფის ველზე. ამ ზავის მიხედვით აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები. ორივე დამპყრობელი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი უფლება მიეღო საქართველოს მისაკუთრებისა. სპარსეთი თუ 1555 წლის ამასიის ზავის პირობების აღდგენა- შენარჩუნებას ცდილობდა, ოსმალეთი იბრძოდა 1590 წლის საზავო პირობების დაბრუნებისათვის. ორივე შემთხვევაში საქართველო საომარ მდგომარეობაში რჩებოდა და იძულებული იყო იარაღით ხელში დაეცვა საკუთარი თავი მომხდური მტრისაგან, რომელიც სრულ გადაშენებას უქადდა.

სპარსეთ-ოსმალეთის ომის დროს მეტად გააქტიურდნენ კაზაკები, რომლებიც ოსმალთა მხრიდან სისტემატურ აგრესიას განიცდიდნენ. 1616-1617 წლებში მათ დაარბიეს სინოპი, სამსუნი, ტრაპიზონი. იმავე დროს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა შაჰ-აბასი. მას განზრახული ჰქონდა კოალიციაში პოლონეთისა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების ჩაბმაც.

იმერეთის მეფე, გურიელი და დადიანი მხარს უჭერდნენ ანტიოსმალური კოალიციის პროექტს და ხელს უწყობდნენ მის განხორციელებას. დასავლეთ საქართველოს ნავსადგურებს კაზაკები ოსმალეთზე თავდასხმის პლაცდარმად იყენებდნენ და აქედან უკავშირდებოდნენ ირანის შაჰსა და მის მოხელეს ქართლში, ბაგრატ მირზას.

შაჰ-აბასმა 1599-1600 წლებში შეიმუშავა მეტად ორიგინალური ანტიოსმალური გეგმის პროექტი, რომელიც XVII საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს ევროპის მონარქებს - ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებს, ვენეციისა და ინგლისის მესვეურებს და რომის პაპს შესთავაზა. შაჰის ღრმა

რწმენით, ყველაზე დიდი ზიანის მიყენება ოსმალეთისათვის შეეძლო ესპანეთის მეფეს, რადგანაც მას სხვებზე უფრო ადვილად შეეძლო ოსმალეთამდე ზღვით მიღწევა და სურსათსანოვაგის საწყობებით მდიდარ კუნძულ კვიპროსის დაპყრობა. აქედან ესპანელებს უნდა შეეტიათ სირიისა და ალეპოსათვის, სადაც მათ შეუერთდებოდნენ ირანელები. რადგანაც ოსმალეთის სამფლობელოს საზღვრები ვრცელდებოდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა გასწვრივ, ყველა ამ ქრისტიან ხელმწიფეს ოსმალეთთან ომი უნდა დაეწყო საკუთარი ტერიტორიიდან. შაჰი უმორჩილესად სთხოვდა რომის პაპს, რათა გამოეყენებინა თავისი გავლენა და ყველა ქრისტიანი ქვეყანა დაერაზმა საერთო მტრის -ოსმალეთის წინააღმდეგ. შაჰი პაპს სთხოვდა აგრეთვე, რომ შეზღუდულიყო ქრისტიანულ სახელმწიფოთა სავაჭრო კავშირები ოსმალეთთან, რადგანაც ოსმალეთში ჩასული ევროპელი ვაჭრების მეშვეობით სულთანს შეეძლო ხელსაყრელი ინფორმაციების მიღება ევროპის სახელმწიფოთა შესახებ, რაც ანტიოსმალური კოალიციის წევრი სახელმწიფოებისათვის ფრიად მავნე იქნებოდა. შაჰი რომის პაპს სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნის საშუალებას აძლევდა. ეს ელჩი უნდა ყოფილიყო შაჰის სამფლობელოების ქრისტიანეთა მეთაური და ლიდერი და საჭირო შემთხვევაში თვალყური უნდა ედევნებინა მის ქრისტიან ქვეშევრდომთათვის.შაჰი უფრო შორს მიდიოდა და პაპისაგან ითხოვდა, რათა ირანში გამოეგზავნა კათოლიკე მისიონერები, რომლებიც ირანში მცხოვრებ ქართველებსა და სომხებს კათოლიკობაზე მოაქცევდნენ.[1] საკითხის ასეთი ფორმულირებით სურდა შაჰ-აბასს ევროპელ მონარქთა გვერდში დაყენება და მათი დაპირისპირება ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ.

[1] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 115.

შაჰ-აბასის ანტიოსმალურ გეგმას დასავლეთ ევროპაში მხარი არ დაუჭირეს. მიუხედავად ამისა, შაჰი ევროპასთან კავშირის შეწყვეტას არ აპირებდა, რადგან მას ქრისტიანულ ევროპასთან კავშირი სჭირდებოდა არა მარტო პოლიტიკური, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური მოსაზრებითაც. აბრეშუმით მოვაჭრე მეფე აუცილებლად საჭიროებდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან კავშირს, სადაც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ირანის დაუმუშავებელი აბრეშუმი.[1]

შაჰმა გადაწყვიტა ევროპის მონარქთა დახმარებით დაეწყო ეკონომიკური სანქციები ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ მან აქაც ვერ მიაღწია შედეგს, ლევანტის ვაჭრები სასტიკად იყვნენ იმის წინააღმდეგნი, რომ სავაჭრო-სატრანზიტო გზას სხვა მიმართულებით გადაენაცვლა. ამით განაწყენებული შაჰ-აბასი, ხელსაყრელ შემთხვევაში ხელს უშლიდა ევროპელებს ოსმალეთის ტერიტორიაზე გავლით ვაჭრობისას. რუსეთში საფრანგეთის ელჩის კურმენენის განმარტებით ბარათში დანიის კანცლერისადმი 1629 წლის 9 ივლისს სწერია: ,,ახლა სპარსეთის შაჰი გვიქმნის შეფერხებებს ქარავნებისათვის ნების დართვის საქმეში, რომლებიც მიემგზავრებიან თურქეთში, იმ მიზეზით, რომ ეს ვაჭრობა ამდიდრებს თურქებს, მის მტრებს.”[2]

ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული კილბურგერს: ,,შაჰი მეტად უკმაყოფილოა, რომ ყოველწლიურად მიემგზავრებიან ქარავნები ალეპოში თურქეთის გავლით, აგრეთვე იმითაც, რომ დიდი რაოდენობა აბრეშუმისა, რომელიც იყიდება სმირნიდან, ტრიპოლიდან, ალექსანდრიიდან და სხვა ადგილებიდან იტალიასა და საფრანგეთში იმის გამო, რომ მისი მთავარი მტერი თურქეთი ამისგან იღებს დიდ სარგებლობას

---

[1] Е. С. Зевакин, . Персидский вопрос в русско европейских отношениях в XVII в. „Исторические записки“. 1940, “ 8, стр. 130-158.

[2] Г. Жордания, Очерки по истории франко–русских отношении, Тб., 1959, გვ. 105.

და მით ამდიდრებს თავის ხაზინას; ამის გამო იგი ძალიან ცდილობს ჩამოაცილოს ეს ვაჭრობა და მთლიანად წარმართოს იგი რუსეთის გავლით”.[1]

განსაკუთრებით საინტერესოა ის დიდი სავაჭრო გეგმა, რომლის მიხედვითაც ირანი და დასავლეთ საქართველო, განსაკუთრებით კი ოდიშის სამთავრო, ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. როგორც ცნობილია, ირანი აბრეშუმის ერთ-ერთი უმთავრესი მწარმოებელი იყო მახლობელ აღმოსავლეთში. ირანული ნედლი აბრეშუმი, ოქროს მონეტები, ინდიგო, ბამბის ნართი, ტალი, მიხაკ-დარიჩინი, მუსკატი, თვალ-მარგალიტი და ძვირფასი ქვები სირიის გზით გაჰქონდათ ევროპაში ვენეციელ ვაჭრებს, ხოლო ევროპიდან დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მაუდი, დაუმუშავებელი აბრეშუმი, სხვადასხვა ქსოვილები, ვერცხლის მონეტები და შუშის ნაწარმი. როგორც ერთი უცნობი ვენეციელი ავტორი წერს, ირანიდან სირიის ბაზრებზე ყოველწლიურად შემოჰქონდათ 350.000 დუკატის ღირებულების სანელებლები, ხოლო მუსკესი, რევანდი და სხვა 40.000 დუკატის ღირებულებისა.[2]

როგორც პიეტრო დელა ვალეს ჩანაწერების ტექსტიდან ჩანს, სპარსული აბრეშუმი საქართველოზე გავლით შავი ზღვისა და დნეპრის გზით ევროპაში სულ მცირე დროში აღწევდა ბაზრებამდე. დელა ვალე სპარსეთის შაჰის კარისკაცს აგამირს უმტკიცებდა: „კაზაკებთან კავშირის მეოხებით

---

[1] Е. С. Зевакин, М. Полиевктов, К истории прикаспийского вопроса, МТб., 1934, გვ. 6; იოან ფილიპ კილბურგერი (გარდ.1721), ეროვნებით შვედი ან გერმანელი. ავტორი წიგნისა ,,რუსეთის ვაჭრობის მოკლე აღწერილობა, ისე როგორც ეს წარმოებდა 1674 წ...“ 1673–74 წწ. იმყოფებოდა რუსეთში შვეციის საელჩოს შემადგენლობაში. კილბურგერი ამტკიცებდა რუსეთის ვაჭრობის გადატანის უპირატესობას თეთრიდან ბალტიის ზღვის მიმართულებით, რომლის გასასვლელებიც შვეციის ხელში იმყოფებოდა.

[2] მ. ტივაძე, სირიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობანი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან XVI-XVIII საუკუნეებში. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1970, გვ. 245.

სპარსეთს შეუძლია აბრეშუმი ევროპაში გაყიდოს ისე, რომ თურქეთის ტერიტორიაზე გავლა არ დასჭირდეს. სპარსეთის მეაბრეშუმე ყველა რაიონი შავ ზღვასთან ახლოს არის შედარებით. ამიტომ სპარსეთის აბრეშუმი სულ მოკლე გზით შეიძლება მიტანილ იქნეს ევროპაში იმ გრძელი და საშიში გზების ნაცვლად, რომლებიც ალაბზე (ალეპოზე – ზ. ქ.) და ორმუზზე გადიან... ვაჭარი ამ გზით (შავი ზღვით – ზ. ქ.) აბრეშუმს 10-20 დღეში გადაიტანს... იმ დროს, როცა ოკეანის გზას 8-10 თვე სჭირდება თუ მეტი არა, ხოლო ხმელთაშუა ზღვის გზას სულ ცოტა 2-3 თვე (თუნდაც მარსელამდე, რომელიც ყველაზე ახლო პორტია შედარებით), თანაც ეს შორი გზები მეკობრეებით არის სავსე, ქარიშხალიც ხშირია, ახალ გზაზე კი (შავი ზღვით პოლონეთამდე – ზ. ქ.) მეკობრეები ცოტაა."[1]

პიეტრო დელა ვალეს გათვალისწინებული ჰქონდა ირანის დაინტერესება, აეცდინა ირანული აბრეშუმი ოსმალეთის ბაზრებისათვის და მოეხსნა ის შემოსავალი, რომელსაც სულთნის ხაზინას აძლევდა სპარსულ აბრეშუმზე აღებული ბაჟები. ეს ხდება 1617-1618 წლებში.

გაცილებით უფრო ადრე, 1611 წელს შაჰ-აბას I-მა კათოლიკე მისიონერს თადეუსს დაავალა დაახლოებით ამავე საკითხებზე მოლაპარაკება ეწარმოებინა რუსეთისა და პოლონეთის მეფეებთან და რომის პაპთან, მაგრამ იმ პერიოდში შავ ზღვაზე აქტიური მოქმედებანი შაჰ-აბასს არ შეეძლო და ამიტომაც სპარსეთმა არ ისარგებლა ხსენებული პროექტით.[2]

XVII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს სპარსეთი უკავშირდება ლევან II დადიანს, რომელიც ,,თავისი სამთავროს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის სრული-

---

[1] ი. ცინცაძე, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 41.
[2] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 115.

ად შეგნებულად უწყობდა ხელს ყაენის პოლიტიკის განხორციელებას დასავლეთ საქართველოში."[1]

1637 წლის ახლო ხანებში პოლონეთის სახელმწიფო კვლავ აყენებს ახალი გზის საკითხს. ჰოლშტაინის ელჩი რუსეთში, ბრუგემანი, მოსკოვს ატყობინებდა, რომ პოლონელები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ჰოლშტაინ-სპარსეთის ვაჭრობისათვის: ,,Король польской ищет торг вести через грузи и через черное море“, გარდა ამისა, პოლონეთი სპარსეთს საგანგებოდ მიმართავდა: ,,Ходить их торговым людем для торговли через грузи и через черное море“.[2] ერთგან პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ პოლონეთი აბრეშუმის გამსაღებელი უდიდესი ქვეყანაა.[3]

ლევან II დადიანს საკუთარი პროექტი გააჩნდა სამთავროს ეკონომიკური გაძლიერებისა. ,,მას ყოველთვის სურვილი ჰქონდა ვაჭრები მოეყვანა და თავის სამთავროში დაესახლებინა. ძალიან სურდა შორეული სახელმწიფოებიდან ვაჭრები და სავაჭრო საქონელი მოეზიდა... გადმოიყვანა სამეგრელოში ასი სომეხი და ებრაელი ვაჭარი; ცდუნებითა და მოტყუებით მრავალი თურქი ვაჭარიც დაიყოლია ამავე პირობაზე; ასე რომ ეს მხარე მის ხელში თითქმის ორჯერ გაიზარდა".[4] სამეგრელოში მყოფ თეატინელ მისიონერებთან საუბარში დადიანმა ცხოველი ინტერესი გამოამჟღავნა: თუ შესაძლებელი იქნებოდა კონსტანტინეპოლიდან ზოგიერთი მდიდარი ვაჭრის ჩამოყვანა, მაშინ დაავალდებულებდა მათთვის სხვა საქონლის გარდა აბრეშუმის მიყიდვას მთლად მისი სამთავროდან, აგრეთვე ნაწილობრივ სპარსეთისასაც.

---

1 კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942

2 Е. С. Зевакин, М. Полиевктов, К истории прикаспийского вопроса, МТб., 1934, გვ. 2.

3 ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის—XV-XVII, თბ.., 1969, გვ. 57.

4 დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

ამისათვის, ვინც შავი ზღვით აბრეშუმით ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს, მათთვის ვაჭრები აბრეშუმს სპარსეთიდან და სომხეთიდან ოდიშში ჩაიტანდნენ ნახევარ ფასზე უფრო იაფად; ვიდრე ჰალაბში გადასატანად დასჭირდებოდათ. ამგვარად, ნაღდ მოგებას ნახავენ ის ვაჭრები, რომელნიც მთავრის საბაჟოდან გაჰყიდიან საქონელს და ფრანკებიც, რომლებიც აქ შესყიდულ საქონელს ზღვით ჩაიტანენ საფრანგეთში".[1]

ლევან II დადიანის მიერ სამთავროში ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარების საქმეში გატარებული ღონისძიებებიდან ნათლად ჩანს, რომ მას აქტიური კავშირი ჰქონდა სპარსეთის პოლიტიკურ მესვეურებთან და კარგად იცნობდა მათ გეგმას სპარსული საქონლის საქართველოს გზით ევროპაში გატანის თაობაზე. დადიანის მიერ სამთავროში ჩამოსახლებულმა სომეხმა ვაჭრებმა სპარსული ყაიდის ფული—აბაზი შემოიტანეს. ლევან დადიანმაც თავის ზარაფხანაში სპარსული ყაიდის ფული მოჭრა, რომელსაც ადგილობრივი სომეხი ვაჭრები ხმარობდნენ, როცა სპარსეთს მიდიოდნენ სავაჭროდ.[2] სამთავროს სავაჭრო ცენტრში, ლამბერტის თქმით, ,,სომხების ქალაქში" (რუხი-ზ. ქ.) იყიდებოდა ტილო და სპარსული შალი. სამთავროში სომეხი და ებრაელი ვაჭრების ჩამოსახლება სწორედ სპარსული საქონლის მოზიდვას ემსახურებოდა, აქედან კი ადვილი შესაძლებელი იყო საქონლის მიწოდება ევროპის ბაზრებისათვის, რაც, რასაკვირველია, ძალზე დიდი მოგების წყარო შეიძლებოდა გამხდარიყო ოდიშის სამთავროსათვის.

დნეპრის გზით საქართველოდან გატანილი სპარსული და უმთავრესად, ადგილობრივი აბრეშუმი ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყო ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოში და პიეტრო დელა ვალეს ცნობა იმის შესახებ, რომ პოლონეთის

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.
[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 143

მეფეს მიმოწერა აქვს ქართველ მფლობელებთან, საეჭვო არ უნდა იყოს.



**როსტომ მეფე (კასტელი)**

1629 წლის იანვარში გარდაიცვალა შაჰ-აბასი. სპარსეთში შაჰის სიკვდილთან დაკავშირებით ადვილი მოსალოდნელი იყო დინასტიური ომის დაწყება. სურდა რა, რომ ამ გარემოებით ესარგებლა, ოსმალეთმა იმავე წელს ომი დაიწყო სპარსეთის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთ-სპარსეთის ომი ოსმალეთისთვის წარუმატებლად მიმდინარეობდა, თეიმურაზ I-მა გადაწყვიტა საკუთარი ძალებით სპარსეთის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა.

როგორც ცნობილია, სპარსეთის კარზე გამაჰმადიანებულ ქართველებში ორი დაჯგუფება იყო----ერთი როსტომხანისა და მეორე—ყარაბაღის ბეგლარბეგ დაუდ-ხან უნდილაძისა. როსტომ-ხანმა მოახერხა დაუდ-ხანის გაძევება. სპარსეთიდან გამოგდებული დაუდ-ხანი 1630 წელს ყარაბაღში წამოვიდა და განჯას დადგა.[1] თეიმურაზ I-მა მასთან კავშირი შეკრა--,,შეიფიცნეს, ადრებეჟანის დაჭირვა მოინდომეს".[2]

თეიმურაზმა მოკავშირეებს მოუხმო და დაუდ-ხანთან ერთად განჯა და ყარაბაღი დაარბია. მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზის ზემოთ დასახელებული ლაშქრობა პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად წინდაუხედავ ნაბიჯს წარმოადგენდა და ამ ეტაპზე სპარსეთის ომში გამოწვევის ტოლფასი იყო, მნიშვნელოვანია ერთი რამ, რომ თეიმურაზის ლაშქარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან გამოსული მეომრები მონაწილეობდნენ. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, თეიმურაზის გაერთიანებულ ლაშქარში შედიოდნენ: ,,ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე იმერთა ლაშქრით, მესხთ თავადნი და აზნაურნი, ქართველნი და კახნი."[3]

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 238.
[2] იქვე.
[3] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 238, გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII ს. 30-50-იან წლებში, თბ., 1987, გვ. 31.

მიუხედავად ოდიშის მთავარსა და იმერეთის მეფეს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობისა, გარეშე მტრის წინააღმდეგ ომში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა არ უღალატეს საერთო ქართულ საქმეს და აქტიური მონაწილეობა მიიღეს თეიმურაზისა და დაუდ ხანის მიერ მოწყობილ სამხედრო ოპერაციაში.

სპარსეთის შაჰი თეიმურაზის ლაშქრობამ დიდად გააცოფა. მან შური იძია დაუდ-ხანის ძმა—შირაზის ბეგლარბეგ იმამ ყული-ხანზე, რომელიც შვილებიანად დახოცა, დაუდ-ხანის შვილები კი დაასაჭურისა. თვით დაუდ-ხანმა კი ოსმალეთს შეაფარა თავი.[1]

„...ბატონ თეიმურაზსაც გაუწყრა ყაენი და საქართველო მეფეს როსტომს მისცა".[2] როსტომი ქართლის მეფედ 1632 წლის ზაფხულში დაუყენებიათ. 1633 წლის 18 თებერვალს თეიმურაზ მეფემ თბილისიდან უკან დაიხია, 23 თებერვალს კი სპარსეთის არმია ქართლში შემოვიდა. სპარს ჯარისკაცებს გორში 25 დღის განმავლობაში კირისა და უბრალო ქვისაგან აუგიათ ციხესიმაგრე, რომლის აგებაზე დასაქმებული ყოფილა 20 ათასი კაცი.[3] თეიმურაზი იძულებული გახდა იმერეთისთვის შეეფარებინა თავი.

1633 წლის 18 თებერვალს 67 წლის როსტომ ბაგრატიონი ქართლის ტახტზე ავიდა. ქართლის მეფედ როსტომის დამტკიცებისთანავე შაჰის ხელისუფლებამ ქართლში ვასალური დამოკიდებულების კომპრომისული ფორმა აღადგინა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ირანის კომპრომისული პოლიტიკა საქართველოში ამგვარი შინაარსისა იყო: სპარსეთი უცვლელად ტოვებდა ქართულ სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკონო-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ. 239.,
[2] იქვე.
[3] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 191-192

მიკურ წყობას; სამეფო ტახტი, გამაჰმადიანების პირობით, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა ხელში რჩებოდა; სამეფო ხელისუფლებას კომპრომისული ხასიათი ჰქონდა, ქართლის მეფე ,,ვალის" ტიტულით აღინიშნებოდა; საქართველოს ვალს სპარსეთისათვის ხარკი და საჩუქრები უნდა გაეგზავნა.[1]

ქართლის ვალს, ამ შემთხვევაში როსტომს, დიდი პრივილეგიები ჰქონდა სპარსეთის შაჰისაგან, მას მიწები ჰქონდა ბოძებული არა საკუთრივ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სპარსეთის ტერიტორიაზე: ,,და იყო როსტომ დიდად მორჭმული და საქონლით სავსე ამისთვის, რომ ყეენი აძლევდა მრავალსა და იყო ყულარაღასი და ტარუღა ისპაანისა. და იყო დიდად მწყალობელი ყეენი როსტომ მეფისა და უგზავნიდა მრავალსა."[2]

როსტომ მეფის მიერ ქართლში წარმოებული ჭკვიანური პოლიტიკის წყალობით ქვეყანა დამშვიდდა და მოშენება დაიწყო.

ქართლის სამეფო ტახტზე განმტკიცების შემდეგ, როსტომ მეფის მორიგ საზრუნავს მეზობელ სამეფო-სამთავროებთან კავშირის დამყარება და განსაკუთრებით იმერეთში, სიძესთან შეფარებული თეიმურაზ I-ის დამორჩილება წარმოადგენდა.[3] ამ მიზნის განსახორციელებლად ერთ-ერთი საიმედო გზა იყო იმერეთის დაუძინებელ მტერთან, ოდიშის მთავარ—ლევან II დადიანთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. ამ გადაწყვეტილების განხორციელების შემთხვევაში თეიმურაზსა და იმერეთის მეფე გიორგი III-ს, ამ უკანასკნელის ვაჟს, თეიმურაზის სიძეს, ალექსანდრე ბატონიშვილს---დაუპირისპირდებოდნენ ქართლის მეფე როსტომი და ოდიშის მთავარი ლევან დადიანი. როსტომის არჩევანი

[1] გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36
[2] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. 171.
[3] გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43

ლევან დადიანზე შემთხვევითი არ ყოფილა. როსტომმა შესანიშნავად იცოდა დადიანის პოლიტიკური ჰეგემონიის შესახებ დასავლეთ საქართველოში.

როსტომის თაოსნობითა და სამეფო კარის გადაწყვეტილებით ლევან დადიანთან მოციქულები გაგზავნეს. ოდიშის მთავარს დას, მარიამს, გურიელის ცოლყოფილს, ქართლის დედოფლად სთხოვდნენ. ქორწინებაზე თანხმობის ნიშნად ლევან დადიანმა ქართლში ნიკიფორე ირბახი გამოგზავნა.[1]

როსტომის გადაწყვეტილებას მარიამ დადიანზე დაქორწინების შესახებ შაჰის კარზე კმაყოფილებით შეხვდნენ. შაჰმა სწორად შეაფასა ამ კავშირის პოლიტიკური მნიშვნელობა ქართლისათვის. მას კარგად ესმოდა, რომ იმერეთს შეხიზნული თეიმურაზი ქართლის დაბრუნებაზე ნებით არასდროს იტყოდა უარს. ოდიშთან ქართლის კავშირის საშუალებით კი ეს საკითხი შეიძლებოდა ქართლის სასარგებლოდ საბოლოოდ გადაწყვეტილიყო. შაჰი იმასაც იმედოვნებდა, რომ იმერეთში მყოფ თეიმურაზთან ბრძოლის საბაბით იგი ქართლ-კახეთს იმერეთსაც შეუერთებდა და ამ გზით რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში საიმედო დასაყრდენი უნდა გაეჩინა.[2]

როსტომ მეფისა და დადიანის გადაწყვეტილებით მექორწილეები იმერეთში, ბაღდადთან მდებარე კაკას ხიდთან უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. როსტომი თავისი ლაშქრით სურამში მივიდა, ხოლო ლევან დადიანი თავის და მარიამთან ერთად დიდი ლაშქრით საჩხეიძეოში დაბანაკდა. ამასობაში გიორგი იმერთა მეფეც თავისი მომხრეებითურთ და დიდი ლაშქრით როსტომისა და დადიანის თავშეყრის ად-

1 დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, გვ. 21

2 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), წიგნი I, თბ., 1981, გვ 62-63.

გილისაკენ გაემართა. მასთან ერთად იყვნენ მეფე თეიმურაზი, ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილები, იმერეთისა და კახეთის სხვა დიდებულები. მათი მიზანი იყო ხელი შეეშალათ ქართლის მეფისა და ოდიშის მთავრის დამოყვრებისათვის. გიორგი მეფემ და მისმა მომხრეებმა ბაღდადში დაბანაკებულ ლევან დადიანს ბრძოლა გაუმართეს. გიორგი მეფე იმერელ და კახელ აზნაურებთან ერთად დადიანს ტყვედ ჩაუვარდა. განსაცდელში ჩავარდნილმა თეიმურაზმა კი ქუთაისის ციხეს შეაფარა თავი.[1]

ამგვარად, იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლა დადიანის გამარჯვებით დამთავრდა. მარიამ დედოფალზე როსტომ მეფე ქრისტიანულ-მაჰმადიანური წესით დაქორწინდა. მის სამეფო ბეჭედს ქრისტიანული ჯვრის გამოსახულება ამშვენებდა.[2]

ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს იძლევიან XVII საუკუნის ევროპული და აღმოსავლური წყაროები. ასე მაგალითად, დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს თანახმად, ლევან დადიანმა თავისი და ძალად შერთო როსტომ ხანს,[3] რაც, რა თქმა უნდა, არ შეეფერება სინამდვილეს. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას მიხედვით, როსტომ მეფე 30 000 ყიზილბაშის მოშველიებით, დადიანისა და გურიელის სამხედრო ძალებთან ერთად შეესია იმერეთის სამეფოს. ნაიმას ცნობით, თეიმურაზსა დაიმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ როსტომისა და დადიანის მეოხებით მთელ საქართველოში ყიზილბაშები დათარეშობდნენ. ნაიმას ცნობის თანახმად, ყიზილბაშები შავი ზღვის სანაპიროებამდე გასულან და ტრაპიზონისა და გონიოს საზღვრებს საშიშ-

---

[1] ისკანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბ.,1981, გვ .62-63.

[2] გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ, გვ. 45

[3] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრ, გვ. 81

როება დამუქრებია. ბუნებრივია, ოსმალეთის ხელისუფლება უკმაყოფილოდ შეხვდებოდა შავი ზღვის სანაპიროებზე ყიზილბაშთა ძალების გამოჩენას, რასაც დადიანისა და გურიელის საქმიანობის შედეგად მიიჩნევდა და შეეცდებოდა, პირველ ყოვლისა, მათ დასჯას. სწორედ საამისო ღონისძიებებს ღებულობს ოსმალეთის მთავრობა, როდესაც ერთიანად მოუწოდებს მოსაზღვრე რაიონის გამგებლებს საბრძოლო მზადყოფნისაკენ. სწორედ ამაზე წერს ნაიმა: რომ ,,მოსაზღვრე ბეგებს ბრძანება გაეგზავნათ, არზრუმის საზღვრის დასაცავად კვლავ დაინიშნონ ადანის ბეგლარ-ბეგი, მთელი ყარამანიის სანჯაყების, სარუხანისა და კასტამონუს სანჯაყების მეთაურები." უფრო მეტიც, ,,ჩილდირის ბეგლარ-ბეგმა სეფერ-ფაშამ აცნობა ოსმალეთის ხელისუფლებას, რომ საჭიროა ხმელეთით ლაშქარი და სახელმწიფო ფლოტი მოვიდეს იმ მხარის დასაცავად და დადიანისა და გურიელის ქვეყნების გასანადგურებლადო."[1]

როგორც ჩანს, ,,იმერეთის ოპერაციაში" დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთაგან ლევან დადიანის გარდა გურიელიც იღებდა მინაწილეობას. ეს ,,დინასტიური ქორწინება" და მისი პრაქტიკულად განხორციელება ფართო მასშტაბის სამხედრო და პოლიტიკურ ღონისძიებებთან იყო დაკავშირებული. მის მთავარ მიზანს თეიმურაზისა და იმერეთის მეფის კავშირის დარღვევა, ლევან დადიანთან, ქაიხოსრო გურიელთან ერთად იმერეთის დაპყრობა და აღმოსავლეთ საქართველოსთან მისი გაერთიანება შეადგენდა.[2] როსტომთან დამოყვრების შემდეგ ლევან II დადიანი სპარსეთის შაჰის ხელდებული შეიქნა. სპარსეთის შაჰმა ,,ორმოცდაათი ათასი მარჩილი გამოუგზავნა ლევან დადიანს" და

---

[1] მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 190-191

[2] გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 47

,,წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა."[1] მადლიერ როსტომ მეფეს უხვად დაუსაჩუქრებია გურიელიც.[2]

ოსმალეთს შეუმჩნეველი არ დარჩენია ლევან II დადიანის პოლიტიკური სვლები, დადიანი აშკარად არღვევდა ვასალის უფლებებს, რაც ერთის მხრივ დონელ კაზაკებთან ურთიერთობაში, ხოლო მეორეს მხრივ, ირანთან ახლადდაწყებულ კონტაქტებში გამოიხატებოდა. ,,ბრწყინვალე პორტას" მთავრობამ გადაწყვიტა თვალსაჩინოდ დაესაჯა თავს გასული ქვეშევრდომი. 1634 წლის 18 მაისს ოსმალებმა დიდი სამხედრო დესანტი გადმოსხეს კოდორთან. მათ ააოხრეს და გაანადგურეს კოდორის მიმდებარე რაიონები და დრანდის მონასტერი[3]. სამთავროს ტერიტორიის დარბევით ოსმალეთის ხელისუფლებამ უხეშად მიანიშნა დადიანს ვასალური ურთიერთობის აღდგენისაკენ, თუმცა ლევან II დადიანი ამის შემდგომაც აქტიურად ცდილობდა ირანთან ხელსაყრელი ურთიერთობების შენარჩუნებას.

სპარსეთის სახელმწიფოსთან ლევან II დადიანის კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით სპარსეთისათვის. შაჰის ხელისუფლება ცდილობდა გაემაგრებინა როსტომი ქართლის ტახტზე. სპარსული ორიენტაციის მეფე, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპრომისული პოლიტიკის გამტარებელი იყო ქართლში. დადიანის სახით როსტომი ძლიერ მოკავშირეს იძენდა, რაც სასურველი იყო სპარსეთისათვის. ამასთან, ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი სპარსეთი ხელს ადებდა მისი ვასალობის ქვეშ მყოფ მთავარს. ოსმალეთთან ომში დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა შავი ზღვის მისასვლელებს. სპარსეთის მთავრობა მომავლისათვის მათ გამოყენებას გეგმავდა. როსტომისა და მარიამის

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 241; Посолъсво Елъчина и Захаръева в Дадианскую землю, стр. 328

[2] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 242

[3] Посолъсво Елъчина и Захаръева в Дадианскую землю, стр. 324

ქორწინებით სპარსეთმა ამ მხრივ ერთგვარ წარმატებას მიაღწია და შავი ზღვის ნაპირას მოკავშირე შეიძინა. ამასთან, ოდიშის მთავარს ხელი უნდა შეეშალა თეიმურაზისა და იმერეთის მეფის ერთობლივი გამოსვლისათვის როსტომის (ე. ი. სპარსეთის) წინააღმდეგ.[1]



**ირანის შაჰი სეფი I**

[1] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 89

სპარსეთთან პოლიტიკური კავშირი მეტად ხელსაყრელი იყო დადიანისთვისაც. მან შეიძინა ,,ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი" მოკავშირე, რომელიც იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. დადიანი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ლავირებით ცდილობდა საკუთარი კურსის შენარჩუნებას. ლევან დადიანს ირანი ,,ვალის" ტიტულით მოიხსენიებდა და საქართველოს ერთ ,,უდიდეს ხელმწიფეთაგანად" აღიარებდა; ოსმალეთისთვის არ იყო სასურველი დასავლეთ საქართველოს ერთი პირის ხელისუფლებაში მოქცევა, რაც სწორედ დადიანს სურდა. გამომდინარე აქედან, ლევან II დადიანს სავსებით სამართლიანად უფრო შორს მყოფ ,,ბატონთან" ერჩია საქმის დაკავება.[1] ლავირების პოლიტიკის გამოყენებით ლევან II დადიანი ჭკვიანურად ახერხებდა ,,ორი ბატონის ყმის" როლი ეთამაშა. რუსი ელჩების ელჩინისა და ზახარიევის სიტყვებით რომ ვთქვათ, დადიანი ,,голдует на обе  стороны Турскому и Казылбаскому", მიუხედავად ირანთან კეთილგანწყობილი ურთიერთობისა, ,,посылает Левонтей к Турскому царю и к везирю ясырей, поклоняется. что де я твой царской халоп".[2]

დიპლომატიური კონტაქტები სპარსეთის სახელმწიფოს  ხელმძღვანელობასა და ოდიშის მთავარს შორის 1633-1634 წლებიდან უნდა დაწყებულიყო. 1634 წელს ლევან დადიანმა სამცხის ათაბაგის როსტომის ულამაზესი ასული ელენე შაჰ-სეფის გაუგზავნა ცოლად, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის სულთანი მურადიც აცხადებდა ელენე ათაბაგზე პრეტენზიას და მისი ხელში ჩაგდება სურდა. ლევან დადიანს სპარსეთის კართან კარგი ურთიერთობა უფრო აძლევდა

---

[1] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 90

[2] Посолъсво Елъчина и Захаръева в Дадианскую землю,  стр. 328

ხელს, ვიდრე თურქეთის სულთანთან.[1] 1633-1640 წლებში სამეგრელოში მყოფ რუს ელჩებს—ელჩინსა და ზახარიევს დადიანის კარზე დახვედრიათ მესპილოე ბეისრიაყული, რომელიც თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა მთავრის კარზე, თარგმნიდა რა სპარსეთიდან მიღებულ წერილებსა და სიგელებს. ბეისრიაყული სამეგრელოში 1634 წელს უნდა ჩამოსულიყო.[2] შაჰ- სეფის მიერ დადიანისათვის სპილოს გამოგზავნა თავისთავად საინტერესო ფაქტია საქართველო-სპარსეთის ურთიერთობაში XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ი. ანთელავა ბეისრიაყულს ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნოში მოღვაწე მწერალ ,,სპარს გიორგისთან" აიგივებს.[3]

მიუხედავად ლევან დადიანის სავაჭრო-ეკონომიკური პროექტის განუხორციელებლობისა, ოდიშის სამთავრო ჩართული იყო სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობებში. სამეგრელოში მოღვაწე თეატინელი მისიონერები (ლამბერტი, ჯუდიჩე) თავიანთ რელაციებში აღნიშნავენ სპარსული საქონლის სიჭარბეს სამეგრელოში. დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელიც 1630 წელს დადიანის კარზე იმყოფებოდა, აღნიშნავს, რომ მთავართან აუდიენციაზე მის გარდა იყვნენ ,,ექვსი ეპისკოპოსი, თეიმურაზ მეფის ელჩები და რამდენიმე სპარსელი ვაჭარი".[4] ასეთი მაღალი რანგის პირებთან მთავრის კარზე სპარსელი ელჩების დასწრება თავისთავად მიმანიშნებელია სპარსეთსა და სამეგრელოს შორის აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების არსებობისა XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

---

1 ი. ტაბაღუა, სპარსეთის ქართველი დედოფალი, გაზ. ,,თბილისი", 17 სექტემბერი, 1988 წ.

2 Посолъсво Елъчина и Захаръева в Дадианскую землю, стр. 327

3 ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 91

4 ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 162

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე წერს, რომ დადიანი „ორ-სამ წელიწადში ერთხელ სპარსეთის ხელმწიფის კარზე დიდ ელჩიონს აგზავნის ხოლმე საჩუქრებით. ელჩიონი შედგება საპატიო და თანამდებობის პირთაგან. ამდაგვარად იგი (დადიანი – ზ. ქ.) მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაშია მასთან (სპარსეთთან – ზ. ქ.). სამაგიეროდ სპარსული თავაზიანობით საჩუქრებსა და წერილებს ღებულობს.“[1]

სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი გვაწვდის ცნობას, რომ შაჰის კარზე ,,დადიანისა და ბაში-აჩუკის ელჩი (შესაძლოა იგულისხმებოდეს დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულთა ელჩობა—ზ.ქ.) და საფრანგეთის დიდებული ხელმწიფის ელჩებთან და რუსეთის ელჩი... გაბედნიერებული იქნენ... და დიდებული საჩუქრები და ხალათები ეწყალობათ.”[2] ზემოთმოტანილი ცნობა ასახავს XVII საუკუნის 50-იანი წლების მიჯნას. დადიანისა და ,,ბაში-აჩუკის” ელჩების დიდი სახელმწიფოების (საფრანგეთი და რუსეთი-ზ.ქ.) ელჩებთან მიღება თავისთავად მრავლისმეტყველია. აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დასავლეთ საქართველოსთან და კერძოდ, ოდიშის სამთავროსთან სპარსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ კონტაქტებსა და მისი შესაძლო განვითარების პერსპექტივებს.

მიუხედავად ისტორიული წყაროების სიმწირისა, გვაქვს სრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სპარსეთთან ოდიშის სამთავროს მეგობრული კონტაქტები XVII საუკუნის 50-იანი წლების დამლევამდე გრძელდებოდა. როსტომ მეფე და ლევან დადიანი საერთაშორისო ასპარეზზე სპარსეთის შაჰის ფორმალური აღიარებით ცდილობდნენ დამოუკიდებ-

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[2] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოდ შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ.385 .

ლობის შენარჩუნებას.[1] მეზობელ მუსლიმანურ სახელმწიფო-ებთან ასეთი პოლიტიკის გატარება საშუალებას აძლევდა ოდიშის სამთავროს ჭკვიან პოლიტიკურ მესვეურს თავიდან აეცილებინა საომარი კონფლიქტები და თავისი კუთხის წინ-სვლისათვის ეფიქრა, რაც ნათლად გამოიხატა მის მიერ სამ-თავროს აღორძინებისათვის გატარებულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებში.

[1] გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ.48.

# თავი IV
# ოდიშის სამთავროს კონტაქტები ევროპასთან XVII ს. პირველ ნახევარში

ევროპის ქვეყნებთან საქართველოს კონტაქტები საუკუნეთა სიღრმიდან დაწყება. ,,... მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის, პომპეუსმა საქართველოში რომი შემოიყვანა და უკვე I საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა შემოიჭრა...” წერს ევროპაში ცნობილი იურისტი, პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი თავის სტატიაში ,,საქართველო და ევროპა.[1]” XIII საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში ჩამოდიოდნენ და მოღვაწეობდნენ ვატიკანის სხვადასხვა ორდენების წარმომადგენლები, რომელთა მიზანსაც უმთავრესად საქართველოს რომის ეკლესიის გავლენის სფეროდ გადაქცევა წარმოადგენდა. ევროპასთან კავშირები ქართველ პოლიტიკურ მესვეურთათვის ფრიად სასურველი იყო. სხვადასხვა მტერთაგან განუწყვეტლივ შევიწროებულ საქართველოს ქომაგად უჩნდებოდა ევროპა, განსაკუთრებით კი, კათოლიკური რომი, რომელიც თავისი ერთგული წარმომადგენლების---მისიონერების საშუალებით აქ იწყებდა დამკვიდრებას. ცხადია, საქართველოს იარაღითა და სამხედრო ძალით დახმარება უფრო სჭირდებოდა, მაგრამ ევროპას იმჟამინდელ პირობებში ეს არ შეეძლო, რადგანაც საქართველოს აგრესორი მეზობლები---სპარსეთი და ოსმალეთი არ დაუშვებდნენ მათ წილხვდომილ ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს ძალით დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი იყო კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა, ისინი ხელს უწყობდნენ ურთულეს მდგომარეობაში მყოფი ქართველების სულიერი და მორალური სიმტკიცის შენარჩუნებას.

---

[1] La Georgie et L,Europe, ჟურნ. ,,ბედი ქართლისა,” 1953, 15, გვ. 2.

სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ერთობ გააქტიურდა XVII საუკუნეში. განსაკუთრებულ ინტერესს აჩენს ამ საუკუნეში კათოლიკე მისიონერთა მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელიც მარტო ქადაგებით არ ამოიწურებოდა, არამედ მათ შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვა ,,საერო" ცოდნით აღჭურვილი.

,,კათოლიკე მისიონერთა საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად. ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვისა, მისი აღდგენისა და გათავისუფლებისათვის იბრძოდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე ,,ფრანგობდა." მეფე, უფლისწული, კათოლიკოს-ეპისკოპოსები, თავადები მზად იყვნენ პაპის უზენაესობა ეღიარებინათ და ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინათ და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაევრცელებინათ, ოღონდ კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება მიეღოთ ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში."[1] ცხადია, აკად. ნ. ბერძენიშვილი, როცა ამ სტრიქონებს წერდა, ქართველთა ,,გაფრანგებაში" გულისხმობდა არა ეთნიკური და ეროვნული თვითმყობადობის წაშლას, არამედ ქართველი პოლიტიკური მესვეურების მიერ ევროპული პოლიტიკური ორიენტაციის აღებას.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) გახდა დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ხელისუფალი. მან თითქმის დაიმორჩილა სხვა მეფე-მთავრები და თვითონ გახდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური კურსის მოკარნახე. როდესაც ვიხილავთ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების

[1] ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობა წიგნში, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ.,1941, გვ.14

კონტაქტებს ევროპასთან ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ცხადია, უპირველესად ამ მხარის პოლიტიკური ჰეგემონის— ლევან II დადიანის პიროვნება უნდა დავაყენოთ, რადგანაც ლევან დადიანი თვითონ იყო ევროპასთან აქტიური ურთიერთობების დიდი მოსურნე, კათოლიკე მისიონერთა მოამაგე და ხელშემწყობი.

პირველი კათოლიკე მისიონერები თვით დადიანის მოწადინებით ჩამოსულან კონსტანტინეპოლიდან სამეგრელოში 1614 წლის ზაფხულში. 1614 წლის გაზაფხულზე, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა ელჩები ჩავიდნენ სტამბოლს მოსალაპარაკებლად და ოსმალეთთან ზავის დასადებად. პირველწყაროებიდან ჩანს, რომ სამეგრელოდან კონსტანტინეპოლში გაგზავნილ ელჩებს ასევე ევალებოდათ მისიონერთა ჩამოყვანა სამეგრელოში. ამ საკითხზე დადიანის დესპანს მიუმართავს საფრანგეთის კონსტანტინეპოლელი ელჩისათვის, რომელთანაც კარგად ყოფილა დაახლოებული. ,,საფრანგეთის ელჩსაც იეზუიტების უფროსისათვის მიუმართავს და დაურწმუნებია, მეგრელთა ელჩი რასაც გპირდება, ყოველივე ასრულებული იქნებაო, იმასაც ორი იეზუიტი დაუნიშნავს სამეგრელოში წასასვლელად.”[1] როგორც ჩანს, დადიანის ელჩი არაფერს არ იშურებდა მისიონერთა სამეგრელოში წამოსაყვანად. ეს მისიონერები იყვნენ ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო.[2] მისიონერთა სამეგრელოში გაგზავნის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიუღია საფრანგეთის კონსტანტინეპოლელ ელჩს ბარო სანჩუსს. ლუი გრანჟე წერს: ,,უბრწყინვალესი ელჩი ამ მგზავრობისათვის არავითარ ხარჯებს არ ერიდებოდა. ასე რომ, გარდა ამისა, მან 500 ოქროს მონეტა გამოყო ამ მისიის ხარჯებისათვის. შესანიშ-

---

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ.,1902, გვ.134.

[2] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ.II, თბ.,1986, გვ.35

ნავი საჩუქრების ფაშასთვის მირთმევით მან ყველაფერი მოაგვარა."[1]

საფრანგეთის ელჩი, თურქეთსა და საფრანგეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობებიდან გამომდინარე, დაინტერესებული იყო კათოლიკე მისიონერების საქართველოში ჩამოსვლით. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში საფრანგეთის წარმომადგენლობას ოსმალეთში იქაური მთავრობის მხრიდან გარკვეული პრივილეგიები მიეცა. 1508 წელს ოსმალეთის სულთანმა ბაიაზეთ II-მ ფირმანი გასცა საფრანგეთის ელჩ ჟან პიერ ბენეტზე, რათა ფრანგ ვაჭრებს თავისუფლად ემოქმედათ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. შემდეგში (1517 წ.) სელიმ პირველმა და სულეიმანმა (1528 წ.) თავიანთი ფირმანებით ხელახლა დაამტკიცეს საფრანგეთის ვაჭრების პრივილეგიური მდგომარეობა ოსმალეთში, ხოლო 1535 წელს საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო პირველი ხელშეკრულება, ე. წ. კაპიტულაციები. აღნიშნულ დოკუმენტს 1673 და 1717 წლებში დაემატა ახალი მუხლები. კაპიტულაციები ორ სახელმწიფოს შორის არეგულირებდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც იყო სარწმუნოებისა და მისიონერთა მდგომარეობის, საკონსულოების, გადასახადების, ვაჭრობის საკითხები. 1740 წელს ამ ორ სახელმწიფოს შორის ხელმოწერილ იქნა ახალი კაპიტულაციები.[2]

ცხადია, საფრანგეთი ამ პრივილეგიებს აღწევდა იმ მოხერხებული დიპლომატიის წყალობით, რომელსაც ის ოსმალეთის მიმართ აწარმოებდა.განსხვავებით სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან, (ავსტრია, გერმანია, იტალია, ინგლი-

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ. გვ.37, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.135.

[2] ზ. ქორთუა, რელიგიური საკითხი XVII-XVIII ს.ს. საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთობებში, (კაპიტულაციების მასალების მიხედვით), თსუ ზუგდიდის ფილიალის შრომები III, თბ.2007, გვ .38 მისივე, სავაჭრო საკითხი XVII-XVIII ს.ს. საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთობებში, (კაპიტულაციების მასალების მიხედვით), საისტორიო ძიებანი, VIII-IX, თბ. 2009

სი) საფრანგეთი თავიდანვე ოსმალეთთან კავშირის აქტიურ მომხრედ გამოდიოდა, ვინაიდან მისი წინააღმდეგობა კარლოს V-ის ჰაბსბურგთა მონარქიასთან, რომელიც თავის მხრივ ოსმალეთისათვის დიდ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა, საფრანგეთს აიძულებდა მოკავშირე ეძია ოსმალეთის სახით. გარდა ამისა, საფრანგეთს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა ოსმალეთის იმპერიის ფართო მომხმარებელ ბაზარზე. მეთექვსმეტე საუკუნეში ყველა ევროპული სახელმწიფო მოწყვეტილი იყო ზემოაღნიშნულს. თვით ოსმალეთის ჩამორჩენილი მრეწველობა კი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა პირველი მოთხოვნილების საგნებით თავის ბაზარს. ამგვარად, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალისათვის ოსმალეთში საუკეთესო და მიმზიდველი პირობები იშლებოდა. XVII საუკუნეში ამას მოჰყვა ფრანგ მეცნიერთა და მოგზაურთა ლტოლვა აღმოსავლეთის ქვეყნების შესწავლისადმი. (ტავერნიე, შარდენი).

საფრანგეთი, როგორც კათოლიკურ ეკლესიაზე „პატრონატის" უფლების მქონე ქვეყანა, მფარველობას უწევდა მისიონერთა საქმიანობასა და რომის კურიისაგან დამოუკიდებლად შეეძლო თავისი შეხედულებებისამებრ გაეგზავნა მისიონერები ამა თუ იმ ქვეყანაში.[1] თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XVII საუკუნის 20-40-იან წლებში საფრანგეთმა კარდინალების – რიშელიესა და მაზარინის ენერგიული მმართველობის მეოხებით ხელში აიღო მისიონერული პოლიტიკის ხელმძღვანელობა. ცხადია, ისიც რომ საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში ლევან II დადიანის თხოვნის შესაბამისად ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, დაეარსებინა

[1] მ. პაპაშვილი, ლევან II დადიანის ევროპული ორიენტაცია, კრებულში – საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ.1, თბ., 1994, გვ. 171. ზ. ქორთუა, სავაჭრო საკითხი XVII-XVIII ს.ს. საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთობებში, (კაპიტულაციების მასალების მიხედვით), საისტორიო ძიებანი, VIII-IX, თბ. 2009

სამეგრელოში იეზუიტთა მისიონი. საფრანგეთის ელჩი შემდგომშიც ეხმარებოდა საქართველოსკენ მომავალ მისიონერებს. მან დახმარება გაუწია 1627 წელს კონსტანტინოპოლში მყოფ თეატინელ მისიონერებს – დონ პიეტრო ავიტაბილეს, დონ ჯაკომო დი სტეფანოსა და დონ ჯოვანი ფილომიას, რომლებიც საქართველოსკენ მიემართებოდნენ. თურქებმა იტალიელ მისიონერებს ჯაშუშობა დასწამეს. საქმეებში საფრანგეთის ელჩი რომ არ ჩარეულიყო, მათ ხანგრძლივი პატიმრობა არ ასცდებოდათ.[1] როგორც მ. თამარაშვილი წერს, საფრანგეთის ელჩს ამ სამი მისიონერის დახსნა სამი ათასი ოქრო დაუჯდა.[2]

1614 წლის დეკემბერში იეზუიტი მისიონერები გურიაში, სატკაპელას მოვიდნენ.[3] სადაც მათ შეხვედრიათ გურიელის ვეზირი და გურიელთან მიუპატიჟებია ისინი. მამია II გურიელს (1600-1625 წწ.) მათთვის მეტად გულთბილი მასპინძლობა გაუწევია. იეზუიტთა ორდენის გენერლის, კლოდ აკვავივასადმი სამეგრელოს სოფელ მოქვიდან 1615 წლის 2 მარტს გაგზავნილ წერილში ლუი გრანჟე იძლევა გურიის მთავრის დახასიათებას, იგი წერს: „ეს მთავარი მეტად თავაზიანია... დიდ პატივს სცემს რომის ეკლესიას და მის მთავარს – პაპს. იგი საჯაროდ ამბობს, რომ ბიზანტიის იმპერიისა და კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო საყდრის დაცემის მიზეზია რომის წმ. მღვდელმთავრისადმი მორჩილებაზე უარის თქმა, რომ წმ. პეტრემ მიიღო სასუფეველთა გასაღებები და რამდენადაც პაპი მორწმუნეთა მამაა, ყველა მას უნდა დაემორჩილოს.[4] გურიელმა ლუი გრანჟესთან საუბარში დიდი სიმპათია გამოავლინა რომის ეკლესიისადმი.

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.
[2] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.
[3] იქვე, გვ. 139, ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
[4] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 49, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

ლევან II დადიანმაც მეტად გულთბილად მიიღო მისიონერები. „მთავარმა ჩვენ გვითხრა, წერს ლუი გრანჟე, რომ ბევრი გაუგონია ჩვენს შესახებ, რომ ჩვენ კეთილგანწყობით ვიქნებით მიღებული მის ქვეყანაში, რომ მან იცის ჩვენი გეგმები და რომ სხვა დროს იგი უფრო დიდხანს გვესაუბრება დასავლეთის საქმეებზე, საფრანგეთის მეფესა და მის ელჩზე კონსტანტინოპოლში".[1] როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ლევან II დადიანი საკმაოდ ინფორმირებული ყოფილა საფრანგეთის მეფისა და მისი კონსტანტინოპოლელი ელჩის შესახებ. უფრო მეტიც, საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის მოქმედებიდან ჩანს, რომ მას შესაძლოა აქტიური კავშირები ჰქონოდა დადიანთან, იცოდა რა მისი სურვილი კათოლიკე მისიონერთა სამეგრელოში მოწვევის შესახებ.

ლევანი II დადიანის მიერ სამეგრელოში კათოლიკე მისიონერების მოყვანას წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. ერთი მხრივ, ეს მისიონერები შეიძლება ჩათვლილიყვნენ საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებად სამეგრელოში, ხოლო მეორე მხრივ, ისინი მთავარს დასავლეთში, კერძოდ, ვატიკანში თავისი მიზნების სასარგებლოდ შეეძლო გამოეყენებინა.[2]

იეზუიტ მისიონერთა მოღვაწეობა სამეგრელოში დიდხანს ვერ გაგრძელდა. თუმცა მოკლე ხნით სამეგრელოში ყოფნის მიუხედავად, ლუი გრანჟემ „აქ პოვა რომის ეკლესიისადმი სიმპათია".[3]

მოქვში მალე გაჩნდა ქოლერა, რომელიც სხვა მოგზაურებმა ზღვიდან შემოიტანეს. მან იმსხვერპლა ლუი გრანჟეს შემწე, მორჩილი ძმა ეტიენ ვიო. ავად გახდა ლუი გრანჟეც.

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ, 52, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.
[2] მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.
[3] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გ. 54.

იგი გაეშურა კონსტანტინოპოლისაკენ სამკურნალოდ, მაგრამ ჩავიდა კონსტანტინოპოლში და 1615 წლის 22 მაისს გარდაიცვალა.[1]

ამრიგად, „წმ. მამა იეზუიტების მისიამ კონსტანტინოპოლიდან, წერს ფრ. ანდრეუ, რომელიც დადიანის თხოვნით 1614 წელს სამეგრელოში ჩავიდა, ვერ პოვა წარმატება ომებისა და ახალი მისიონერების გაგზავნის სირთულეების გამო“.[2]

1615 წელს გარდაიცვალა იეზუიტთა ორდენის გენერალი კლოდ აკვავივა. ორდენის ხელმძღვანელობა, როგორც იეზუიტთა ორდენის არქივში აღმოჩენილი წერილებიდან ჩანს, დაკავებული ყოფილა ორდენის ახალი გენერლის არჩევის საქმეებით.[3] ზემოხსენებული მიზეზის გამო, რომელსაც ლუი გრანჟესა და ეტიენ ვიოს გარდაცვალება დაერთო, ორდენის ხელმძღვანელობა პესიმისტურად განეწყო სამეგრელოში იეზუიტთა მისიონერების მოღვაწეობის წარმატებისადმი და იქ მისიონერთა გაგზავნაზე ხელი ჩაიქნია კიდეც. ასეთნაირად დასრულდა იეზუიტთა ორდენის წარმომადგენელთა მოღვაწეობა საქართველოში XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

1616 წლის ივნის-ივლისში საქართველოში იყო ნახჭევანიდან ჩამოსული დომინიკანელთა წინამძღვარი – ვიკარიუსი წმ. მამა პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა. მას საქართველოს შესახებ მოკლე „ცნობები“ შეუდგენია და რომის პაპი-- პაოლო V-სათვის წარუდგენია. 1621 წელს ეს „ცნობები“ ცალკე ბროშურად დაიბეჭდა ნეაპოლში. ბროშურის სათაური ასეთია: „გულწრფელი ცნობები საქართველოს სამეფოებზე, შედგენილი სპარსეთის მთელი სამეფოსა და ორივე სომხეთში მქადაგებელთა წესის მთავარი ვიკარიუსის პატივ-

---

[1] იქვე.
[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
[3] იქვე, გვ. 56.

ცემული წმ. მამის, მასწავლებლის პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცას მიერ. ნეაპოლი, გამოცემული ჯ. დომენიკო რონკალიოლის მიერ 1621 წელს, უფროსების ნებართვით“.[1]

ეს იყო სტამბურად დაბეჭდილი პირველი ბროშურა, რომელიც შეიცავდა ცნობებს საქართველოს შესახებ. ამ სახით საქართველოს შესახებ ცნობებს პირველად ღებულობდა ევროპელი მკითხველი.

პაოლო მარია ჩიტადინი თავის ბროშურაში აღწერს საქართველოს, მისი ხალხის საქმიანობას, ახასიათებს ქართველების ფიზიკურ და საწმუნოებრივ თვისებებს. ის წერს: „ჩვენი უნეტარესი რომის პაპისადმი უდიდესი პატივისცემა აქვთ, რომელსაც დედამიწაზე ქრისტეს მოადგილედ აღიარებენ. ამ მოტივის დასამტკიცებლად მე, როგორც პაპის სახელით რომიდან სპარსეთის შაჰთან ჩამოსულ მღვდელს, ასეთი მორჩილება გამომიცხადეს:

1. ხელებზე და ფეხებზე მეამბორეს.

2. აღელვებულნი ცდილობდნენ ჩემგან მიეღოთ თვითონ მათი, თავიანთი ბავშვების, მამულისა და ცხოველების კურთხევა.

3. სურდათ ჩემთან აღსარების თქმა, რაზედაც არავითარ შემთხვევაში არ მინდოდა თანხმობა მიმეცა.

4. დიდ პატივად სთვლიდნენ, როცა მათ ეკლესიაში წავიდოდი ხოლმე...

5. ჩემს მიმართ ალერსს ერთმანეთს არ აცლიდნენ.

6. წმინდა სარწმუნოების გარეშე ბევრი სათუო რამ მკითხეს, რასაც ჩვენ მცირე ყურადღებას ვაქცევთ. გაოცებით უსმენდნენ ჩემს პასუხს.

7. მათ მიერ ჩადენილი ზოგიერთი საქმე გამომიმჟღავნეს და როცა ჩემგან გაიგეს, რომ ცუდად მოქცეულან, მაშინ-

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

ვე შენდობა მთხოვეს და უნდოდათ მათთვის მონანიება (შენდობა) მიმეცა.

8. ავუხსენი რა ზოგიერთი მათგანის ცრუმორწმუნეობრივი შეცდომა, მათ ადვილად თავი შეიკავეს.

მათმა მღვდელებმა არაერთხელ მითხრეს მათში გავრცელებულ წინასწარმეტყველებაზე. ყველა თავის თავს ძალზე ბედნიერად ჩასთვლიდა, თუ რომის ქრისტიანები გარკვეულ დროს მათ ქვეყანაში ჩამოვიდოდნენ... მეუბნებოდნენ, რომ რამდენიმე თქვენი მღვდელი ჩვენში რომ ჩამოვიდეს, მაშინვე მივცემთ ეკლესიებსო და სხვ.

ამ ცოტა რამიდან შეიძლება კაცმა გაითვალისწინოს, თუ რა დიდი წარმატება ექნებოდა მათში ჩვენი რომაული სარწმუნოების გავრცელებას" - დაასკვნის ავტორი.[1] პაოლომარია ჩიტადინის შეუდგენია რომის ეკლესიასთან ქართული ეკლესიის გაერთიანების გეგმა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის უთხოვია საქართველოში ოთხი მისიონერის გაგზავნა, მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჩიტადინი 1624 წელს მირის არქიეპისკოპოსი და ნახჭევანის კუადიუტორი გახდა.[2]

პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცას ცნობიდან ჩანს, თუ როგორი ცხოველი ინტერესი იყო საქართველოში რომის ეკლესიის მიმართ. აინტერესებდათ, მას ეკითხებოდნენ, სთხოვდნენ სასულიერო საქმეებში შემწეობას, სურდათ რომ მას მიეღო აღსარება. ცხადია, რომ ნეაპოლში გამოსულმა ბროშურამ დიდი როლი ითამაშა ვატიკანის მესვეურთა დაინტერესებაში საქართველოს მიმართ, რაც გამოიხატა კათოლიკე მისიონერთა დიდი ნაკადის საქართველოში წარგზავნით.

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 61, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84-85.
[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

მიუხედავად იეზუიტთა მისიის უშედეგოდ დასრულებისა, რომის მესვეურები კვლავაც ცდილობდნენ მისიონერთა წარგზავნას საქართველოში სამოღვაწეოდ. XVII საუკუნის დასაწყისში ვატიკანის ხელმძღვანელობის წინაშე აღმოსავლეთის საკითხი მთელი სიმწვავით იყო დასმული. ევროპელებს ჩვენი ქვეყანა აინტერესებდათ როგორც მოსახერხებელი გეოგრაფიული ერთეული ირანთან ვაჭრობაში... ახალი სავაჭრო გზების ძიებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ იტალიის ქალაქები. რომის ტახტი მჭიდრო კავშირში იყო მათთან და ზრუნავდა მათი ინტერესებისათვის. გარდა ამისა, უდიდესი როლი შეასრულა ეკლესიის რეფორმაციამაც, რომლის შედეგადაც ევროპაში პაპების სამწყსო და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა შემცირდა. ვატიკანი ცდილობდა დანაკლისი აღმოსავლეთში შეევსო.[1] ამ მოტივით ვატიკანში 1622 წელს შეიქმნა წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე, რომლის ფუნქციაც მისიონერთა აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოღვაწეოდ მომზადება იყო.

1625 წლიდან წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს გადაწყვეტილებით მრავალი კათოლიკე მისიონერი გაიგზავნა აღმოსავლეთში, კერძოდ, კონსტანტინოპოლის გავლით შავი ზღვის სანაპიროსაკენ. მესინადან 1625 წლის 23 და 30 იანვარს რომში გაგზავნილ წერილებში მოხსენიებულია მისიონერები ბარბარა და კაპრიეტა, კასანო ჯუსტინიანო, ჯოვანი და ლუკა, რომლებიც კონსტანტინოპოლზე გავლით აღმოსავლეთის ქვეყნებში მიემგზავრებიან.[2] კონსტანტინოპოლში მისიონერებს მფარველობას უწევდა საფრანგეთის საელჩო.[3] ჩვენ შევეხებით დომინიკანელი მისიონერის – ჯო-

---

[1] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 105.
[2] ი. ტაბაღუა, საქართველოს ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 149.
[3] იქვე.

ვანო ჯულიანო და ლუკას მოგზაურობას ჩერქეზეთიდან აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში და მის ცნობებს ზემოხსენებული პოლიტიკური ერთეულების შესახებ.

1630 წლის 19 მაისს ჯოვანი და ლუკა აფხაზეთშია. მას იქ უხილავს მშვენიერი ეკლესია, რომელიც წმინდა პეტრეს ტაძარს ჰგავდაო. ეკლესიაში ჯოვანი და ლუკას წირვა დაუყენებია, რომელსაც დასწრებია ბევრი ჭეშმარიტი მორწმუნე. 21 მაისს მისიონერი შეხვედრია მთავარ პუტოს, მას დიდი პატივისცემით მიუღია ჯოვანი და ლუკა. დომინიკანელ პატრს მოურჩენია მთავრის ავადმყოფი მეუღლე. პუტოს მისიონერისათვის თავის სამთავროში დარჩენა შეუთავაზებია, რაზეც პატრისაგან თავაზიანი უარი მიუღია იმ მოტივით, რომ ის მარტო ვერ გასწვდებოდა იქაურ საქმეებს. ჯოვანი და ლუკას აფხაზეთში 14 ბავშვი მოუნათლავს.[1]

როგორც ჩანს, აფხაზეთში ჯოვანი და ლუკა დიდი პატივისცემით მიუღიათ. ის საზეიმო ვითარებაში გააცილეს.

აფხაზეთიდან ჯოვანი და ლუკა სამეგრელოში გადმოვიდა. 1630 წლის ივლისში ის შეხვდა სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს, რომელმაც მისიონერს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რადგან ჩემთვის სასიამოვნოა იტალიელი მღვდელის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერ და განათლებულ ერად მსოფლიოში. ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი ენახათ და თავიანთ გვერდით ჰყოლოდათ ამ ერის წარმომადგენლები".[2]

ცხადია, ლევან II დადიანის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები მარტოოდენ ჯოვანი და ლუკას საამებლად როდი იყო ნათქვამი. დადიანისთვის ვატიკანთან მჭიდრო კავშირის

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 158-160; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143-145.

[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 161, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

დამყარება ქვეყნის პროგრესული გზით განვითარებისა და ევროპული ცივილიზაციის ზიარების საშუალება იყო. ბუნებრივია, მისიონერები ამ ცივილიზაციის ფასეულობათა მატარებლები იყვნენ. ამიტომ მათ ცივილიზატორულ ფუნქციას, ჩანს, ლევან დადიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ასე, რომ ფრაზა „ჩემთვის სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერ და განათლებულ ერად მთელს მსოფლიოში", აღნიშნული თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. მისიონერებისადმი მთავრის ასეთი დამოკიდებულება აძლევდა საფუძველს ჯოვანი და ლუკას დაესკვნა, რომ „თუ კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში ჩამოვიდნენ, ისინი აქ დიდ წარმატებებს მიაღწევდნენ".[1]

ბედიის ეკლესიაში ჯოვანი და ლუკამ და ლევან დადიანმა ერთად ილოცეს. დადიანის თხოვნით მისიონერმა იგალობა. გალობა მთავარს ძალიან მოეწონა და თქვა: დღემდე ასეთი მელოდია არასოდეს მომისმენია, მე მსახურად მყავდა ერთი ფრანგი ოქრომჭედელი და მესაათე, მაგრამ კათოლიკე მღვდლები არასოდეს მყოლია.[2] ფრანგი ოქრომჭედლის ყოფნა დადიანის კარზე თავისთავად საყურადღებო ფაქტია, ჩანს, რომ დადიანი ევროპელ ოსტატებს უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ფრანგი ოქრომჭედლისა და მესაათის სამთავრო კარზე ყოფნაც ალბათ ამით აიხსნება. შესაძლოა ისიც, რომ ფრანგი ოსტატის მეშვეობით დადიანი საფრანგეთის კონსტანტინოპოლელ ელჩს უკავშირდებოდა, ჯერჯერობით ამის საკონტროლო მასალა არ გაგვაჩნია.

იტალიელი მისიონერის საპატივცემულოდ დრანდელმა ეპისკოპოსმა სპეციალური სადილი მოაწყო, რომელსაც დადიანიც ესწრებოდა. სადილზე მთავარმა მისიონერს შეთავა-

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 167. მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი.
[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 162; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

ზა სამეგრელოში დარჩენა, თან ეკლესიისა და ყმების მიცემას შეჰპირდა. ჯოვანი და ლუკამ თავაზიანი უარი განუცხადა დარჩენაზე დადიანს, მაგრამ უთხრა, რომ „რომის ჩვენი წმიდა პაპი თქვენთან მღვდელმსახურებს გამოაგზავნის, თუკი მთავარი ამას მოისურვებს... მე კი საბჭოს (იგულისხმება წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა საბჭო – ზ. ქ.) მივწერ, ხოლო როგორც კი რომში ჩავალ, შევეცდები მოვნახო ბერები და ჩემთან ერთად აქ ჩამოვიყვანოო“.[1] დადიანს განსაკუთრებით მკურნალი ბერების ჩამოსვლა სურდა.

დრანდის ეკლესიაში ამ იტალიელი მისიონერის მიერ წირვას თვითონ ლევან დადიანი დასწრებია: „მთავარმა დიდის ღვთისმოსაობით და მუხლმოდრეკით მოისმინა წირვა, უყურებდა რა, თუ როგორ ვლოცულობდი მე. იგი ამას ყურადღებას აქცევდა... ვასრულებ მის წინაშე ლოცვას, ისიც ასე იქცევა... მთავრის მოქმედება რამდენადმე განსხვავდებოდა ქართული ღვთისმსახურების წესისაგან, იგი უფრო ჩვენებურს ჰგავდა. ასე რომ, - წერს ჯოვანი და ლუკა, შეიძლება იმედი ვიქონიოთ და შესაძლებელია, მე მივაღწიე დიდ შედეგებს, დავყავი რა ამ მთავართან სამნახევარი თვე.[2] როგორც ჯოვანი და ლუკას ცნობიდან ჩანს, ჩამოსული მისიონერის საამებლად და ყურადღების მისაქცევად დადიანი დაუფარავ ინტერესს ავლენდა კათოლიკური მესისადმი.

იტალიელი მისიონერი მეტად კმაყოფილი დარჩა სამეგრელოში ყოფნით. ბოლოს იგი მისულა იმ დასკვნამდე, რომ თუ კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში ჩავიდოდნენ, ისინი იქ დიდ წარმატებას მიაღწევდნენ. მით უფრო, რომ ლევან დადიანი დაჰპირდა მას, თუ კათოლიკე მისიონერები

---

[1] ი. ტაბაღუა, საქართველოს ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. III, გვ. 164, შდრ. მ.თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.
[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 166; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

ჩამოვიდოდნენ, იგი მათ პატივით მიიღებდა. აკი თვითონ ჯოვანი და ლუკას სთხოვეს დადიანმა და ეპისკოპოსმა დარჩენილიყო სამეგრელოში.[1]

სამეგრელოდან ჯოვანი და ლუკა გურიაში ჩავიდა, სადაც კარგად მიიღო კათოლიკოსმა მალაქიამ, რომელიც იმ დროს მთელი დასავლეთ საქართველოს (იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის) არქიეპისკოპოსი იყო. გურიიდან ჯოვანი და ლუკა ტრაპეზუნდს გამგზავრებულა. მიუხედავად ჯოვანი და ლუკას დაპირებისა, რომ რომში ჩასვლისთანავე სამეგრელოში მისიონერების გამოგზავნის საკითხს მოაგვარებდა, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

თავისი დროის ერთ-ერთმა ყველაზე სახელგანთქმულმა მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ აღწერა ქართველების მდგომარეობა სპარსეთში, ბევრი საინტერესო მასალა შეაგროვა საქართველოსა და ქართველების შესახებ და რომის პაპსა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს წარუდგინა.[2] პიეტრო დე ვალე თავისი მოგზაურობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიისადმი. იგი საერთოდ გატაცებული იყო მოგზაურობით. დელა ვალე დიდი მოყვარული იყო ჩვენი ქვეყნისა. მას ცოლად ჰყავდა საქართველოდან დედასთან ერთად ტყვედ წაყვანილი, იქ დაობლებული და მის მიერ დახსნილი თინათინ ძიბა, რომელსაც მარიუჩა დაარქვა.

საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის მიწერ-მოწერა, რომელიც იტალიაში დაბრუნე-

---

[1] იქვე, გვ. 167. დრანდა, ბედია, მოქვი და ჯოვანი და ლუკას მიერ მოლოცვილი სხვა ადგილები სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა. თავის ერთ ერთ წერილს, რომში გაგზავნილს, ის ასე ასათაურებს ,,მოქვი სამეგრელოში" (Moqui en Mengrelie) ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, ტ. III. გვ. 221.

[2] მასალა საქართველოს ისტორიისათვის, მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბანიუს მერვესადმი 1627 წ., „ივერია", 1879, №3, გვ. 29-62; მთარგმნელი ალ. ჭყონია, თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1991, გვ. 246.

ბის შემდეგ გაიმართა პიეტრო დელა ვალესა და დონ პიეტრო ავიტაბილეს შორის. ამ მიწერ-მოწერის დიდი ნაწილი გამოაქვეყნა დონ ფრ. ანდრეუმ.[1]

ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული პიეტრო დელა ვალე რომში ჩამოსვლამდე, ჯერ კიდევ მესინასა და ნეაპოლში, ხოლო შემდეგ რომში ესაუბრებოდა მისიონერებს ქართველების შესახებ, „რომელთა ქვეყანაში ის არ ყოფილა პირადად, მაგრამ დიდხანს ცხოვრობდა ისპაჰანში, სპარსეთის შაჰის კარზე და ამ ხალხის შესახებ მან შეაგროვა შესანიშნავი ცნობები იმ მრავალრიცხოვანი ქართველებიდან, რომლებიც ამ ქალაქში ცხოვრობენ“.

პიეტრო დელა ვალე უყვებოდა წმინდა მამებს, რომ ქართველები არიან ქრისტიანები და კეთილი ბუნების ადამიანები, მაგრამ „სულიერად დაჩაგრულნი და დატანჯულნი ბერძნული სქიზმისაგან (რომლის მიმდევრებიც ქართველები არიან) და რაც გამოწვეულია სპარსეთის ხელმძღვანელებთან – შაჰ-აბასთან განუწყვეტელი შეტაკებებით. ასე რომ, ათასი შეცდომით დაბნეულებმა ვერ შეძლეს დამდგარიყვნენ სიძნელეების დაძლევის გზაზე, არ გააჩნდათ რა გამოცდილი მასწავლებლების მხრიდან ხელმძღვანელობა.

მაგრამ ამ ხალხიდან შეიძლება მოველოდეთ შესანიშნავი მოსავლის მიღებას. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მოინახებიან კეთილი მასწავლებლები, რომლებიც დაუყოვნებლივ გაემგზავრებიან ამ ქვეყანაში დასახმარებლად“.[2]

1625 წელს მოგზაურობიდან დაბრუნებისას პიეტრო დელა ვალემ წარუდგინა პაპ ურბან VIII-ს ვრცელი მოხსენებითი ბარათი საქართველოს შესახებ, სადაც მოცემული იყო ქართველი ხალხის მძიმე მატერიალური და სულიერი მდგომარეობის სურათი. მან მიმართა მხურვალე მოწოდებით კე-

[1] Г. Жордания, З. Гамезардашвили, указ. соч.

[2] Archangelo Lamberti, Colchide Secra, Napoli, 1657, p. 46.

თილ მწყემსს – რომის პაპს, სწრაფად დახმარებოდა ქართველებს მათი სულის ხსნის მიზნით, გაეგზავნა რა მათთან დაუყოვნებლივ მისიონერები – წერს დონ. ფრ. ანდრეუ.[1]

პიეტრო დელა ვალე არწმუნებდა წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს, რომ თუ საქართველოში ისინი მისიონერებს გაგზავნიდნენ, ქართველი ხალხისაგან კარგ შედეგებს მიიღებდნენ. პიეტრო დელა ვალეს ახლო ურთიერთობამ თეატინელ ბერებთან დიდი როლი შეასრულა: საქართველოში გასაგზავნი მისიონერები შერჩეულ იქნენ სწორედ თეატინელი ბერებისაგან, რომლებიც კიდევაც ელოდებოდნენ მომენტს, რათა სამოღვაწეოდ შორეულ ქვეყნებში გამგზავრებულიყვნენ.

პიეტრო დელა ვალე თავის მოხსენებით ბარათში საყვედურს გამოთქვამდა რომის ეკლესიის მიმართ, რომელიც არ ზრუნავდა საქართველოზე. სწორედ პიეტრო დელა ვალეს ასეთი ენერგიული ნაბიჯების შემდეგ „რომი ამოქმედდა“ - შენიშნავს ფრ. ანდრეუ.[2]

საქართველოსა და ქართველების შესახებ მეორე საინტერესო და ღრმაშინაარსიანი მოხსენებითი ბარათი ვატიკანში წარადგინა 1626 წლის 9 დეკემბერს აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა დომინიკანელმა მისიონერმა გრეგორიო ორსინიმ.[3]

გრეგორიო ორსინი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც წამოაყენა იდეა  კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების საქმეში მისიონერების გადამწყვეტი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივ ენაზე წიგნის ბეჭდვისა და მათი გამოყენების მნიშვნელობის და ამ მიზნით წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეში სტამბის შექმნის თაობაზე.

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, ტ. II. გვ. 203.
[2] ი. ტაბაღუა, დასახ, ნაშრომი,  გვ. 204.
[3] იქვე.

ეხებოდა რა საქართველოში სარწმუნოების მდგომარეობას, ვატიკანში წარდგენილ მოხსენებით ბარათში გრეგორიო ორსინი მიუთითებდა, რომ ჯერ კიდევ 1613 წელს კახეთში თეიმურაზ მეფემ და კახელმა თავადებმა უჩვენეს პორტუგალიელ ავგუსტინელ მისიონერს გილიერმ დუშ სანტოსს და ესპანელ კარმელიტ ხუან (ჯოვანი) ტადეო დე სან ელიზეოს რომის პაპისადმი ერთგულება.[1]

ამრიგად, ვატიკანში ბევრი მასალა დაგროვდა საქართველოს შესახებ. გრეგორიო ორსინის მოხსენებითმა ბარათმა მხოლოდ გაამდიდრა ეს მასალები.

ჯერ კიდევ მანამ, სანამ პიეტრო დელა ვალე რომში ჩავიდოდა და საქართველოს შესახებ თავის მოხსენებით ბარათს პაპ ურბან VIII-ს წარუდგენდა, თეატინელთა გენერლის ვინჩენცო ჯილიბერტის რეკომენდაციით დონ პიეტრო ავიტაბილე, თავის ოთხ მისიონერთან ერთად წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს განკარგულებაში გადავიდა. მალე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოში კათოლიკე მისიონერების – თეატინელების გაგზავნის შესახებ.[2]

შემთხვევით არ ყოფილა ვატიკანის ხელმძღვანელობის მიერ საქართველოში გასაგზავნად თეატინელთა ორდენის წარმომადგენელთა შერჩევა. 1524 წელს შექმნილი ამ კათოლიკური ორდენის მისიონერები დიდად განთქმულნი იყვნენ მრავალმხრივი განათლებით. მათგან არა ერთი იყო შესანიშნავი მკურნალი, მხატვარი, მწერალი. მათ კიდევაც ეწოდებოდათ: “სწავლული მღვდლები“ („CHIERICI REGOLARI“) თეატინელ მისიონერთა საქართველოში გასაგზავნად შერჩევაში ნათლად წარმოჩნდა ვატიკანის ცხოველი ინტერესი საქართველოს მიმართ. სწორედ ამ განათლებული ბერების მეშვე-

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.
[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 209, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

ობით უნდა წარმართულიყო საქართველო-იტალიის კავშირ-ურთიერთობანი XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

1626 წლის 4 მაისს წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს პრეფექტის კარდინალ ლუდოვიკო ლოდოვიზიოსა და მდივნის – ფრანჩესკო ინგოლის ხელმოწერით გამოიცა დეკრეტი საქართველოში თეატინელთა ორდენის მისიონის დაარსების შესახებ. მისიონის პრეფექტად დაინიშნა დონ პიეტრო ავიტაბილე.[1] მისიონერებს მიეთითათ, რომ დალოდებოდნენ ორდენის გენერლისაგან ახალ განკარგულებას და ასევე „ინსტრუქციას“, რომლის შედგენა პიეტრო დელა ვალეს დაევალა. წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესაგან ახალი მითითებების მისაღებად დონ პიეტრო ავიტაბილე რომს მიიწვიეს.[2]

დონ პიეტრო ავიტაბილესთან ერთად საქართველოში უნდა წასულიყვნენ: ფრანჩესკო დე აპრილე, ჩელსო დი ნეგრო, ჯაკომო დი სტეფანო, ჯოვანი ფილომია.[3]

შეადგინეს სპეციალური ინსტრუქცია საქართველოში მისიონერების მუშაობის შესახებ. იგი ამ მისიონის პრეფექტს დონ პიეტრო ავიტაბილეს ჩააბარეს.

მისიონერებს ევალებოდათ ეფიქრათ იმაზე, თუ როგორ გაევრცელებინათ სახარება და დაეცვათ კათოლიკური ეკლესიის დოგმები. მისიონერები სპეციალურად გააფრთხილეს, რომ ურწმუნოთა რიტუალებში მონაწილეობისაგან თავი შეეკავებინათ. ყოველთვის მზად ყოფილიყვნენ დაეცვათ წმინდა რწმენა სისხლის უკანასკნელ წვეთამდეც კი, თუ ამას საქმე მოითხოვდა. მათ მისცეს აგრეთვე საერთო ინსტრუქცია, რომელიც უნდა დაეცვათ მისიონერებს ადგილზე მუშაობის დროს და ასევე კერძო ინსტრუქციაც, რომელიც მარტო საქართველოს შეეხებოდა. აქ ნათქვამი იყო სულიერ

---

[1] იქვე.

[2] Archangelo Lamberti დასახ. ნაშრომი, გვ. 47

[3] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

პრივილეგიებზე და ინდულგენციებზე, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლად მისიონერებს პირადად მათი შეხედულებების მიხედვით. ეს იმიტომ, რომ საქართველოს მისიონი ტერიტორიულად ძლიერ დაშორებული იქნებოდა რომიდან და საჭიროების შემთხვევაში სწრაფად კონტაქტის დამყარება შეუძლებელი იქნებოდა.[1]

გარდა ამისა, დონ პიეტრო ავიტაბილეს გადასცეს სარეკომენდაციო წერილები როგორც სასულიერო, ისე საერო პირებისათვის, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეს არის მისიონერთა პირველი ჯგუფი, რომელიც მიემგზავრება სამისიონერო მოღვაწეობისათვის საქართველოში, კოლხეთსა და მის მეზობელ მხარეებში. რომში დონ პიეტრო ავიტაბილეს ჩააბარეს პაპი ურბან VIII-ის მიერ ხელმოწერილი, ლათინურ ენაზე შედგენილი სარეკომენდაციო წერილები შემდეგი პირებისათვის: იმერეთის მეფის, ოდიშის მთავრის, გურიის მთავრისა და კახეთის მეფე თეიმურაზისათვის და კიდევ ერთი წერილი – საქართველოს კათალიკოსისა და მიტროპოლიტისათვის. ყველა წერილს ერთი თარიღი ჰქონდა დასმული – 1626 წლის 4 ივლისი.[2] ამ წერილებში ნათლად ჩანს მისიონერთა მოღვაწეობის მთავარი მიზანი - „ეზიარონ ღვაებრივ მადლს" და იბრძოლონ „სულის გადარჩენისათვის".

პაპი ურბან VIII გურიის მთავარ მალაქიას წერდა: „ჩვენ ვაგზავნით თქვენთან ადამიანებს, რომლებიც ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე დიდ შრომაში ხმლებით კი არ იარაღდებიან და თავიანთ გარშემო ჯარისკაცებს კი არ უყრიან თავს, არ ეძებენ საუნჯეს, არამედ სწყურიათ მხოლოდ სულის გადარჩენა და ამიტომ სადაც კი ადამიანები ცხოვრობენ, ისინი

[1] იქვე, გვ. 211.
[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

მეგობრულად უნდა მიიღონ“.[1] ამ წერილში ნათლად ჩანს მისიონერული მოღვაწეობის მიზანი და ამოცანები საქართველოში, რაც უპირველესად კათოლიციზმის გავრცელებით გამოიხატებოდა. ზემოთმოტანილ წერილში პაპი ხაზს უსვამს მისიონერთა მოღვაწეობის მშვიდობიან ხასიათს - „მისიონერები ხმლებით კი არ იარაღდებიან და თავიანთ გარშემო ჯარისკაცებს არ უყრიან თავს“.

მართალია ერთი რამ, რომ მისიონერები იყვნენ პირველი გზის მკვალავნი რომისა და საქართველოს ურთიერთობებში და მათ ნაყოფიერ მოღვაწეობას უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური კავშირების გაღრმავება ამ ორ სახელმწიფოს შორის, რომლის მოსურნედაც ორივე მხარე გამოდიოდა.

საქართველოში მომავალი მისიონერებისათვის თვითონ პიეტრო დელა ვალემ შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც 12 პუნქტისაგან შედგებოდა. ინსტრუქცია წარმოადგენდა მისიონერთა ძირითად სამოქმედო პროგრამას, ამიტომაც ზოგადად შევეხებით ინსტრუქციის ცალკეულ მუხლებს.

პირველ მუხლში ლაპარაკია ხუთი კაცისგან შემდგარი ჯგუფის დაყოფის აუცილებლობაზე. პირველი ჯგუფი დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო საქართველოსაკენ კონსტანტინოპოლის გავლით, ხოლო მეორე ჯგუფი უნდა დალოდებოდა პირველი ჯგუფის მოგზაურობის შედეგებს. თუ პირველი ჯგუფი კონსტანტიპოლზე გავლით რაიმე წინააღმდეგობებს წააწყდებოდა, მაშინ მეორე ჯგუფი უნდა გამგზავრებუიყო სხვა გზით. განსაკუთრებით საშიში იყო თურქეთზე გამავალი გზა, რადგანაც თურქები ყოველვის ადევნებდნენ თვალყურს აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმავალ მისიონერებს.

---

[1] პაპი ურბან VIII-ის წერილი გურიის მთავარ მალაქიას წიგნში ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. II, გვ. 228, იხილე აგრეთვე მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

ინსტრუქციის მეორე მუხლი ითვალისწინებდა კონსტანტინოპოლში ჩასული მისიონერებისადმი იქ მყოფი რომელიმე კათოლიკური სახელმწიფოს ელჩის, სახელდობრ, საფრანგეთის ელჩის ან ვენეციის ბაილის მფარველობას.

მესამე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ მისიონერებისათვის უნდა გადაეცათ პაპის წერილები საქართველოს მეფე-მთავრებისთვის და მიტროპოლიტებისათვის გადასაცემად. წერილში უნდა ყოფილიყო საუბარი რომის პაპის, როგორც საეკლესიო ხელისუფლის ჭეშმარიტ მიზნებზე საქართველოსადმი. ასევე წერილებში ეს წმინდა მამები დახასიათებული უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ღირსეულნი და სარწმუნებისათვის თავდადებულნი.

მეოთხე პუნქტში ლაპარაკია საჩუქრების მირთმევის აუცილებლობაზე მეფე-მთავრებისათვის, რათა ამით მათი მხრიდან უფრო მეტ კეთილგანწყობას ჰქონოდა ადგილი.

მეხუთე პუნქტის თანახმად მისიონერებს იტალიიდან კონსტანტინოპოლამდე აუცილებლად ევროპის ქვეყნების ხომალდებით უნდა ემოგზაურათ.

მეექვსე პუნქტი ურჩევდა მისიონერებს კონსტანტინოპოლში მისვლისთანავე, ხმელეთზე გადასვლამდეც კი, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, შეეტყობინებინათ იმ ბატონებისათვის, რომლის სახელზეც მათ სარეკომენდაციო წერილი მიჰქონდათ. კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ნაკლებად უნდა გამოჩენილიყვნენ ქალაქში, რათა ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება არ მიექციათ.

მეშვიდე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ კონსტანტინოპოლიდან საქართველოში გამგზავრება შეიძლებოდა ხმელეთით, მაგრამ ზღვით მანძილი უფრო მოკლე იყო და ადვილიც. „საჭიროა ჩახსნენ საქართველოს ერთ-ერთ მხარეში – სამეგრელოში მიმავალ ხომალდში, სადაც კონსტანტინოპოლიდან ყოველდღე მოდიან ხომალდები. ჩვეულებრივად კონსტანტინოპოლის ნავსადგურში შეიძლება შეხვდე ფრანგებს,

მომავალს კუნძულ ხიოსიდან, რომლებიც ჩვეულებრივად ჩადიან სამეგრელოში და ბევრი მათგანი ლაპარაკობს იტალიურად. რომელიმე მათგანი, თუ სანდო პიროვნება იქნებოდა, შეიძლებოდა მეგზურად აეყვანათ... შეიძლება მეგზურად აიყვანონ რომელიმე ქართველი, რომლებიც ყოველთვის არიან კონსტანტინოპოლში. ისინი ხშირად თავადიშვილები არიან. ასეთ ქართველთან მეგობრობის დამყარება ძალიან კარგი იქნებოდა".

მერვე პუნქტის თანახმად წმინდა მამებს უფლება ეძლეოდათ იტალიიდან კონსტანტინოპოლში მგზავრობისას ეტარებინათ ის ტანსაცმელი, რომელსაც თვითონ ჩათვლიდნენ საჭიროდ, ხოლო რაც შეეხება კონსტანტინოპოლიდან საქართველოში მგზავრობის დროს, საჭირო იყო ისე ჩაცმა, როგორც მათ ურჩევდათ გამყოლი პიროვნება. საქართველოში მისიონერებს უნდა ჩაეცვათ შესაფერისად.

მეცხრე პუნქტი შეეხებოდა მსახურის შერჩევას. მსახურად უნდა აეყვანათ სანდო პიროვნება, ისეთი, ვისაც შეეძლო საიდუმლოების შენახვა, უნდა ყოფილიყო კეთილი და წყნარი პიროვნება.

მეათე პუნქტი წმინდა მამებს გაჭირვების ჟამს სულიერი სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა. თურქეთში ყოველთვის მოსალოდნელი იყო ბედის მოულოდნელი შემობრუნება, ამიტომ მისიონერები უნდა დალოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს და უნდა ესარგებლად ამით დაუყოვნებლივ.

მეთერთმეტე პუნქტი ურჩევდა მისიონერებს, რომ ჩამოსვლის შემდეგ საქართველოს მეფე-მთავრებისა და მიტროპოლიტისათვის წერილებით მიემართათ.

ინსტრუქციის ბოლო, მეთორმეტე მუხლში ლაპარაკია საჩუქრებზე, რომლებიც სპეციალურად უნდა შეერჩიათ მისიონერებს საქართველოში წამოსაღებად: ფერწერის კარგი

ნიმუშები, სპილოს ძვლები, ძვირფასი ქვები, საათები, ოქრომჭედლობის საგნები და სხვ.[1]

წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ერთ-ერთი მიზანი იყო მისიონერებს ყურადღება მიექციათ რომის ეკლესიასთან ქართული ეკლესიის გაერთიანებისათვის. მისიონერებს ევალებოდათ ფრთხილად ყოფილიყვნენ საქართველოში სარწმუნოებრივად ქართველთა „დაბნეულობის" საკითხის მიმართ. (ქართველთა ,,დაბნეულობად" მისიონერები მართლმადიდებლურ სარწმუნოებას მიიჩნევდნენ, ზ.ქ.) არავითარ შემთხვევაში არ უნდა ცდილიყვნენ, რომ ქართველებს უარი ეთქვათ თავიანთ რიტუალზე, არამედ დაერწმუნებინათ ქართველები, რომ პაპს „უყვარს და მოსწონს ბერძნული რიტუალი" ფერერას მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებათა მიხედვით.[2] დაუშვებელი იყო წმინდა კონგრეგაცია დე პრაპაგანდა ფიდეს მხრიდან საქართველოში სარწმუნოების პირდაპირი ლათინიზირება.

პიეტრო დელა ვალეს რჩევით, მისიონერებს მუდამ უნდა ხსომებოდათ, რომ „ისინი არა მარტო სახარების მქადაგებლები არიან, არამედ იმყოფებიან რა საქართველოში", ასრულებენ კიდევ ერთ საპასუხისმგებლო დავალებას – მისიონერებმა არ უნდა დაიზარონ და ყურადღებით უნდა ჩაიწერონ ყველაფერი, რაც შეეხება ქართველი ხალხის რელიგიას, ეთნოგრაფიას, კულტურასა და პოლიტიკურ ცხოვრებას და ასევე ყველა სხვა საკითხზე დეტალური ანგარიშები უნდა აგზავნონ რომში".[3]

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.
[2] 1438 წლის 5 თებერვალს იტალიის ქალაქ ფერარაში გაიხსნა მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის (ბერძნებისა და ლათინების) წარმომადგენლები. კრებამ მოახდინა ორივე ეკლესიას შორის კავშირ-ურთიერთობის ერთგვარი სტაბილირება.
[3] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

მისიონერებს წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის უნდა ეცნობებინათ ქვეყანაში არსებული ვითარება. უნდა მოენათლათ ბავშვები, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით. ესწავლებინათ ბავშვებისათვის ლათინური ენა, რათა შემდგომში მათგან შეერჩიათ ისეთები, რომლებიც შეძლებდნენ სწავლის გაგრძელებას საერთოდ და კერძოდ კი – რომში.[1]

როგორც მისიონერთათვის დაკისრებული ფუნქიებიდან ჩანს, მათ გარდა სულიერი მოღვაწეობისა, ევალებოდათ პოლიტიკური აგენტების როლის შესრულებაც. ვატიკანის ხელმძღვანელობა საქართველოში წარგზავნილი თეატინელი ბერების მეშვეობით აპირებდა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან სარწმუნოებრივი და პოლიტიკური კავშირების დამყარებას. ინსტრუქციით გათვალისწინებული ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროებანიც შემთხვევითი არ ყოფილა. ოსმალეთის მესვეურნი კათოლიკე მისიონერებში მარტოოდენ კათოლიკე მქადაგებლებს როდი ხედავდნენ. ძალზე ხშირად ისინი მისიონერებს პოლიტიკურ აგენტებად მიიჩნევდნენ და აპატიმრებდნენ. ბუნებრივია, ოსმალეთი საქართველოში ევროპის პოლიტიკური გავლენის დამკვიდრებას ან თუნდაც ევროპასთან საქართველოს ნებისმიერ კავშირებს ებრძოდა და ძირშივე სპობდა.

წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს აინტერესებდა გაეგო: სწორია თუ არა ქართული ალფავიტი, რომელიც 1629 წელს რომში დაიბეჭდა; საქართველოში თუ არსებობდა საერო და სასულიერო წიგნები, კერძოდ, ქართულად: სახარება, სალოცავი წიგნები, კურთხევანი და სხვ.

მისიონერებს უნდა შეესწავლათ ქართულად წერა-კითხვა და მეტყველება, რათა რომში დაბრუნების შემდეგ შეძლებოდათ სხვებისათვის ესწავლებინათ ქართული ენა და

---

[1] იქვე.

ქართული წერა-კითხვა. ასეთ შემთხვევაში წმიდა კოგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს შეეძლო საქართველოში ქართული ენის მცოდნე მისიონერები გაეგზავნა.

წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ასევე აინტერესებდა: არიან თუ არა საქართველოში ძველი და ახალი ბერძნულისა და ლათინურის მცოდნეები. მისიონერებს ასევე ვატიკანისათვის უნდა მიეწოდებინდათ ცნობები საქართველოს მეზობელი ქვეყნების შესახებ, არის თუ არა იქ კათოლიკე მისიონერების მუშაობისათვის შესაფერისი პირობები და სხვ.

პირველი თეატინელები დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტეფანო და მორჩილი ძმა კლავდიო 1628 წლის 14 დეკემბერს გორში ჩავიდნენ, ეახლნენ თეიმურაზ მეფეს და პაპის წერილი გადასცეს. თეიმურაზ მეფემ მისიონერებს შესანიშნავი ადგილი მისცა ეკლესიის ასაშენებლად გორში.[1]

დონ პიეტრო ავიტაბილე ატყობინებდა რომს საქართველოს რთული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. „რაც შეეხება აქაურ ეკლესიებს, - წერდა იგი, - ყველა დანგრეულია, წმიდა ვაზები, ზარები, საერთოდ, ეკლესიის მორთულობა გაძარცულია“.[2]

საინტერესოა, რომ თეატინელი მისიონერებისადმი ალავერდელი ეპისკოპოსის ცუდი განწყობისა და ზოგჯერ მათდამი აშკარა მტრული მოქმედების მიუხედავად თეატინელი მისიონერები ცდილობდნენ მასთან ურთიერთობა არ გაემწვავებინათ, სურდათ საერთო ენის გამონახვა და იმა-

---

[1] თეიმურაზ მეფის წერილი პაპ ურბან VIII-ს 1629 წლის 5 იანვარი. წიგნში საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. III, დოკუმენტი №2, გვ. 201.

[2] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 96, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109. ზ. ქორთუა, თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობა გორში 1628-1633 წწ. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული ტ.3, თბ. 2010 გვ. 62-70

საც კი ფიქრობდნენ, რომ ეპისკოპოსი ალავერდელი თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ.

დონ პიეტრო ავიტაბილე წმიდა კონგრეგაციის კარდინალების სახელზე გორიდან გაგზავნილ წერილებში ეხება ქართველი ხალხის, მეფისა და კათოლიკოსის დამოკიდებულებას საერთოდ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან და კერძოდ რომის პაპისადმი. მისი აზრით, ქართველებს სარწმუნოებაში იგივე ,,დაბნეულობა" ახასიათებთ, რაც ბერძნებს, ვინაიდან მათ არ ჰყავთ სხვა მოძღვარი, არც ხელმძღვანელი, გარდა ბერძნებისა. მიუხედავად ამისა, ისინი ანტიპატიურად არ არიან განწყობილი ლათინების მიმართ. პირიქით, „ისინი სიყვარულს და კეთილგანწყობას იჩენენ ჩვენდამი... გვეპყრობიან დიდი პატივისცემით, როგორც სწავლულ ადამიანებს. ასე რომ, თუ ვიქონიებთ ღმერთის დახმარების იმედს და კარგად შევისწავლით მათ ენას, შედეგებიც კარგი იქნება“.[1]

რასაკვირველია, ეს სიტყვები ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში თავიდანვე ეფექტურად და ნაყოფიერად წარიმართა. ქადაგებდნენ რა მოსახლეობაში კათოლიკობას, მათ დიდი სიძნელეების გადალახვა უხდებოდათ, რადგანაც ხალხი თავისი სარწმუნოების ერთგული რჩებოდა. სწორედ ამის თაობაზე წერ-

[1] დონ პიეტრო ავიტაბილეს მოხსენებითი ბარათი წმიდა კონგრეგაციას დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიას. 1629 წლის 28 მარტი. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 224, დოკუმენტი №10. ჯერ კიდევ IV საუკუნეში მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიაში დაიწყო დიდი გათიშვა დასავლეთის ანუ რომაულ-კათოლიკურ და აღმოსავლეთის ანუ ბერძნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიებად. ეს გათიშვა თანდათანობით უფრო ღრმავდებოდა, ვიდრე არ მოხდა სრული გაყოფა (1054 წ.). მათი წესების, დოგმების, შეხედულებათა სხვადასხვაობა განსაზღვრა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმპერიებს შორის არსებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა განსხვავებამ. კათოლიკური ეკლესიის წიაღში შეიქმნა ქრისტიანული ეკლესიის მესამე ძირითადი მიმდინარეობა – პროტესტანტობა ყველა თავისი განშტოებებით (ლუთერანები, კალვინისტები, ჰუგენოტები, ანგლიკანები). იხ. История Византии в трёх томах, М., 1967.

და დონ ბართ. ფერო: „სიჯიუტე რელიგიურ დაბნეულობაში იმდენად დამახასიათებელია კოლხებისა და იბერიელებისათვის, და იმდენად შევიდა ეს მათ თქმულებებში და მოქმედებაში, რომ ისინი მზად არიან ნებისმიერი სასჯელი მიიღონ, ვიდრე თავიანთი სარწმუნოება უარყონ“.[1] ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს ქართველი ხალხის ერთგულება მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი, რომელიც ძალზედ რთულმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამაც ვერ შელახა.

თეატინელი მისიონერები გორში ჩასვლისთანავე შეუდგნენ ქართული და თურქული ენების შესწავლას. სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების უქონლობა ენის შესწავლის საქმეს ართულებდა, მაგრამ მათთვის ცხადი იყო, რომ ქართული ენის ცოდნის გარეშე უარი უნდა ეთქვათ საერთოდ სამისიონერო მოღვაწეობაზე საქართველოში. ვატიკანი მათგან მოითხოვდა ქართული ენის ისე დაუფლებას, რომ წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე უნდა ჩაეტარებინათ.

მტრის შემოსევებისა და ომების შედეგად დანგრეულ ქვეყანაში ათასგვარი ავადმყოფობა მძვინვარებდა, ხოლო ექიმები არ იყო. ასეთ ვითარებაში, შესაძლებლობის მიხედვით მისიონერები მკურნალობდნენ ავადმყოფებს არა მარტო სამეფო კარზე, არამედ მოსახლეობაშიც. ამრიგად, თეატინელი მისიონერები ამ დროს საქართველოში გვევლინებიან არა მარტო როგორც საეკლესიო პირები, არამედ როგორც მკურნალ-ექიმებიც.

მისიონერების პატარა სახლი მალე განათლების ცენტრი გახდა. ასწავლიდნენ ლათინურს, იტალიურს, შემდგომში, როცა თვითონ საკმაოდ შეისწავლეს ქართული ენა, მისიონერებს შემოჰქონდათ ევროპული კულტურა საქართველოში. წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალ-

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

თა კოლეგია ავალებდა თეატინელ მისიონერებს ადგილზე მოემზადებინდათ ახალგაზრდები შემდგომში რომში მათი გაგზავნის მიზნით, ხოლო იქ მათ მოამზადებდნენ მისიონერებად და წმინდა კონგრეგაცია მათ გამოიყენებდა თავისი მიზნებისათვის.[1]

ცხადია, ვატიკანს პირველ რიგში საკუთარი მიზნები ამოქმედებდა საქართველოში: ავრცელებდა რა ქრისტიანულ საქართველოში კათოლიკურ სარწმუნოებას, იგი აქ ქმნიდა თავისთვის ერთგვარ პლაცდარმს, რათა საქართველოზე დაყრდნობით აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც გაევრცელებინა კათოლიკობა და განეხორციელებინა თავისი სავაჭრო-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნები.

1629 წლის აგვისტოში, ორი წლისა და ცხრა თვის მოგზაურობის შემდეგ გორში დაბრუნდა თეიმურაზ მეფის ელჩი ევროპაში ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი ანუ ნიკიფორე ირბახი.[2] გორში ჩასვლისთანავე მან ინახულა კათოლიკე მისიონერები, რამდენადაც იგი „დიდად კმაყოფილი იყო ევროპაში, კერძოდ, ესპანეთსა და იტალიაში ყოფნის დროს მისდამი კათოლიკეების დამოკიდებულებითა და მხარდაჭერით.[3]

წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს არქივში შემონახული საბუთები მეტყველებენ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკიფორე ირბახის კეთილგანწყობაზე თეატინელთა მიმართ. ნიკიფორე ესაუბრებოდა თეიმურაზ მეფეს თეატინელთა ორდენისა და გორში მოღვაწე მისიონერების შესახებ, რის შედეგადაც თეიმურაზი უკეთ განეწყო მი-

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.
[2] გულჩინა აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი - ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977, გვ. 49.
[3] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

სიონერებისადმი, დაინახა რა მათ საქმიანობაში გულწრფელი მოღვაწეობა.[1]

რომში გაგზავნილ წერილებში დონ პიეტრო ავიტაბილე მიუთითებდა, რომ საქართველოში გაიშალა ფართო სამისიონერო მუშაობა, არსებობდა მისი უფრო გაფართოების საშუალება და ამიტომ საჭირო იყო რომიდან მისიონერთა ახალი ჯგუფის გამოგზავნა.

პიეტრო დელა ვალე, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა თეატინელი მისიონერების საქართველოში ჩამოსვლის საქმეში, შემდეგშიც არ ტოვებდა მისიონერებს უყურადღებოდ. მან კარგად იცოდა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხალხების ამბები და ამიტომ მისი რჩევები სასარგებლო იყო მისიონერებისათვის. იგი არ ურჩევდა თეატინელ მისიონერებს საჯარო დავა გაემართა მოწინააღმდეგეებთან, რომ ხალხის თვალში არ გამოეწვია ამას ცუდი აზრი მისიონერებისადმი. იგი ურჩევდა მათ ყველა სადავო საკითხი მოეგვარებინათ მოლაპარაკებით, მშვიდობიანი გზით.

პიეტრო დელა ვალემ იცოდა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე გავლა კათოლიკე მისიონერებისათვის ყოველთვის საშიში იყო, ამიტომაც ცდილობდა მოენახა სხვა, უფრო საიმედო გზა იტალიასა და საქართველოს შორის მოგზაურობისათვის როგორც მისიონერებისათვის, ასევე სხვა პირებისათვის. იგი 1639 წლის ივნისში საქართველოში წასასვლელად მომზადებულ თეატინელ მისიონერს დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ურჩევდა: „ჩახვალ თუ არა საქართველოში, პირველ რიგში უნდა შეუდგე საკითხის გადაწყვეტას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაადგინონ მუდმივი ურთიერთობა საქართველოდან იტალიამდე ყველაზე უფრო ადვილი, მოკლე და უშიშარი გზით, რომლის საშუალებით შეიძლება გაიგზავნოს არა  მარტო წერილები, არამედ წავიდნენ ადამიანები,

---

[1] იქვე.

როცა ეს საჭირო იქნება. ამ საკითხზე თქვენ უნდა მოელაპარაკოთ მეფეს (თეიმურაზს – ზ. ქ.). ვინაიდან მხოლოდ მან შეიძლება იცოდეს ყველაზე უკეთ ასეთი გზის შესახებ.

თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ გზა შავ ზღვაზე გავლით წარმოადგენს უმოკლესს. ამ გზას მივყავართ ქართველებთან, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, ე. ი. იმათთან, რომლებიც ცხოვრობენ ოდიშის ქვეყანაში და ქართველები დადიანის ქვეყანას უწოდებენ, ხოლო თურქები – სამეგრელოს. ეს ძველი კოლხეთია; ან კიდევ გურიელის ქვეყნის ქართველებთან, რომლებსაც ასევე აქვთ გასასვლელი შავი ზღვის სანაპიროზე... მდ. ფაზისის სახელწოდებით, უნდა იყოს სხვა ნავსადგურიც... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ადგილებიდან კონსტანტინოპოლში და სხვა ქალაქებში ბევრი ხომალდი მიდის.

აქედან უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ნავსადგურს, საიდანაც მეტი გემები მიდიან ევროპაში. ამ ნავსადგურებში აუცილებელია გყავდეთ კორესპოდენტი ან სხვა ნდობით აღჭურვილი პირი, მას შეიძლება გაუგზავნოთ წერილები, ეს წერილები ორივე მიმართულებით უნდა იგზავნებოდეს... ამ მიზნით გირჩევთ, რომელიმე თქვენგანი წმინდა მამებიდან დასავლეთ საქართველოში დაბინავდეს. მას უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდეს მთავარ დადიანს და მთავარ გურიელს, რომლებიც ასევე ქართველები არიან“.[1] როგორც პიეტრო დელა ვალეს ზემოთმოყვანილი ცნობიდან ჩანს, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებზე გამავალ გზას კათოლიკე მისიონერთა საქართველოში ჩამოსვლისა და საერთოდ, საქართველო-იტალიის მომავალ ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.




**პიეტრო დელა ვალე**

პიეტრო დელა ვალეს აზრით, შავი ზღვის ნავსადგურებიდან შეიძლება კავშირი ევროპასთან კონსტანტინოპოლის გავლით, რადგან აქ სისტემატურად ჩადის ბევრი ქართველი, როგორც სავაჭროდ, ასევე სხვა საქმეებისათვის და მათთან

კავშირის დამყარება ადვილია. ჩვენი ხალხიდან კი იქ ყოველთვის არიან წმინდა მამები, სამოქალაქო პირები და რაც მთავარია, იქ იმყოფება საფრანგეთის ელჩი, რომელსაც შეიძლება გადაეცეს საქართველოდან ჩამოტანილი რომში გასაგზავნი წერილი, მას ასევე შეუძლია განსაკუთრებული სიძნელეების გარეშე გადააგზავნოს რომიდან მიღებული წერილები საქართველოში საზღვაო გზით.

კონსტანტინოპოლი ყველაზე ხელსაყრელი, მოკლე და პირდაპირი გზა იყო საქართველოსა და იტალიას შორის წერილების გადასაგზავნად, მაგრამ მოგზაურობისათვის მეტად სახიფათო. ამიტომ ურჩევდა პიეტრო დელა ვალე მისიონერებს, დაეყოლიებინათ თეიმურაზ მეფე გაეხსნა ახალი სავაჭრო გზა საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებიდან პოლონეთამდე, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა წერილების გაგზავნა იტალიაში.[1]

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობებს მომავალში შეიძლებოდა ფართო ხასიათი მიეღო, რაც ხელსაყრელი იქნებოდა ორივე ქვეყნისათვის.

საინტერესო იყო პიეტრო დელა ვალეს ერთ-ერთი ინსტრუქცია, რომელსაც იგი აძლევდა საქართველოში მყოფი თეატინელ მისიონერებს. „საქართველოში ჩასვლისთანავე, - ავალებდა იგი მათ, — შეადგინეთ დეტალური და ზუსტი ინფორმაცია იქაური ხალხის ცხოვრების ყველა საკითხზე. აუცილებელია დაადგინოთ: მეფური სისხლის ყველა მთავრის, ასევე ქვეყანაში ყველა გამოჩენილი პიროვნების – კაცის და ქალის, როგორც საეკლესიო, ასევე საერო პიროვნების სახელი. ასევე სახელწოდება ქალაქების და მნიშვნელოვანი ადგილების, გზების, რომლებსაც ამჯობინებენ ვაჭრები და მოგზაურები. საჭიროა შეადგინოთ სია ჩვენი მეგობარი ქართველებისა და დაადგინოთ მათი კავშირები იმ ქვეყნებთან,

[1] ი, ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

რომლებთანაც საქართველოს ურთიერთობა აქვს; დააზუსტოთ, თუ რა საშუალებებით და რა გზებით ამყარებენ ისინი ურთიერთობას ამა თუ იმ ქვეყანასთან; ვისთან აქვთ ქართველებს მტრული, საომარი ან მეგობრული დამოკიდებულება; ვის ესაზღვრებიან ისინი და სხვა ათასი დეტალი, რომლებიც არ უნდა გამოგრჩეთ მხედველობიდან, ნუ დაიზარებთ, ყოველივე ეს სისტემატურად შეგვატყობინეთ“.[1]

ზემოთმოტანილი ინსტრუქციიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ თეატინელ მისიონერებს საქართველოში პოლიტიკური აგენტების ფუნქცია ენიჭებოდათ. ვატიკანს აინტერესებდა ყველაფერი, რაც კი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული, კერძოდ:

ა) მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა;
ბ) ქვეყანაში არსებული სტრატეგიული (სავაჭრო) მნიშვნელობის მქონე პუნქტები;
ც) საქართველოს ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან და ამ ურთიერთობათა ფორმები;
დ) საქართველოს ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა და მისი მეზობელი ქვეყნები.

ყოველივე ამის შემდეგ თუ რეალურად გავიაზრებთ თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობას საქართველოში, დავრწმუნდებით, რომ სარწმუნოებრივი საკითხი მათი საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარე იყო. კათოლიციზმის ქადაგებას საქართველოში საფუძვლად ედო პოლიტიკური მიზნები, რომელსაც მომავალში იტალიასა და საქართველოს შორის აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები უნდა მოჰყოლოდა.

1628 წლის ივნისში წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება

[1] იქვე, გვ. 127.

ორივე ქართული შრიფტის – საეროსა და სასულიეროს მიღების შესახებ. იმავე წლის სექტემბერში ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ დამტკიცდა.[1] ამის შემდეგ 1629 წელს პირველი ქართული წიგნიც გამოვიდა.

პიეტრო დელა ვალეს წერილებში ლაპარაკია იტალიურ-ქართული ლექსიკონის გამოცემაზე რომში, ნიკიფორე ირბახის წვლილზე ამ საქმეში და ლექსიკონის უდიდეს მნიშვნელობაზე საქართველოში მოღვაწე თუ საქართველოსკენ მომავალი მისიონერებისათვის.

1630 წლის 31 აგვისტოს წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ საქართველოში ორი თეატინელი მისიონერი გამოგზავნა: დონ არქანჯელო ლამბერტი ნეაპოლიტანელი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. ისინი აღჭურვილი იყვნენ პაპი ურბან VIII-ის წერილებით თეიმურაზ მეფესთან, კათალიკოს ზაქარიასთან და მიტროპოლიტ ნიკიფორე ირბახთან.[2]

1630 წლის 31 აგვისტოს თეიმურაზ I-მა დონ პიეტრო ავიტაბილე საქართველოს მეფის ელჩის ტიტულით რომში გაგზავნა. რომისკენ მიმავალი დონ პიეტრო ავიტაბილე იმავე წლის დეკემბერში კუნძულ მალტაზე ჩავიდა და 1631 წლის იანვარში იქ შეხვდა საქართველოსკენ მომავალ დონ არქანჯელო ლამბერტისა და დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს.[3]

დონ პიეტრო ავიტაბილეს რომში წასვლის შემდეგ გორში მარტო ერთი თეატინელი მისიონერი – დონ ჯაკომო დი სტეფანო დარჩა. ახლა მარტო ის აგზავნიდა რომში წერილებს და აცნობებდა საქართველოს ამბებს.

რომში მყოფი დონ პიეტრო ავიტაბილე ცდილობდა გორის თეატინელთა მისიონის განმტკიცებას. მას უნდოდა, რომ რომში თეატინელთა საქართველოს მისიონს საკუთარი

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.
[2] იქვე, გვ. 135.
[3] იქვე.

ბინა ჰქონოდა. ასეთი სახლი შემდგომში გახდებოდა ერთ-ერთი კერა იმ ახალგაზრდა ქართველებისათვის, რომლებიც სასწავლებლად რომის კოლეჯში ჩავიდოდნენ. საქართველოს დიდმა მოსიყვარულემ პიეტრო დელა ვალემ გულთან ახლოს მიიტანა დონ პიეტრო ავიტაბილეს ეს სურვილი და თავისი ერთ-ერთი სახლი გამოუყო და საჩუქრად გადასცა საქართველოს თეატინელთა მისიონს. 1641 წლის 29 მაისს პაპი ურბან VIII-ის ბრძანებით ამ სახლში გაიხსნა კოლეჯი, სადაც უნდა მიეღოთ ქართველი ახალგაზრდები.[1]

1631 წლის 30 აპრილს კარდინალთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში წირვა-ლოცვის ქართულად ჩატარებისა და იულიანის კალენდრის შემოღების შესახებ. ასევე უკვე არსებობდა ტრიენტის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება წირვა-ლოცვის ეროვნულ ენაზე ჩატარების შესახებ.[2]

პაპისა და წმინდა კონგრეგაციის კარდინალების წერილებით აღჭურვილი დონ პიეტრო ავიტაბილე 1631 წლის მაისის ბოლოს რომიდან საქართველოსკენ გამოემგზავრა. მას საქართველოში ახალი მისიონერები მოჰყავდა: ვინჩენცო კარაფა ნეაპოლიდან, ჯუსტო პრატო ლეჩედან, ანტონიო ჯარდინა პანორმიდან, კრისტოფორო დე კასტელი გენუიდან, გაეტანო კორლიტო აბრუციიდან, მატეო ფლორინო მილანიდან და ორი მორჩილი ძმა. მათ მალე მოჰყვებოდნენ დონ კლავდიო გალანო და დონ ფრანჩენსკო მაჯო.[3]

1632 წლის 10 ივლისს დონ პიეტრო ავიტაბილე და მისი თანამგზავრები გორს ჩავიდნენ. მათ აქ დახვდნენ დონ ჯაკომო დი სტეფანო და მორჩილი ძმა კლავდიო.

როდესაც გორში ამდენმა მისიონერმა მოიყარა თავი, წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიის განკარგულებით გადაწყდა გორში შეექმნათ კა-

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.
[2] იქვე, გვ. 138.
[3] იქვე, გვ. 142.

თოლიკე მისიონერთა კონვენტი, რომლის მეთაური მორიგეობით იქნებოდნენ ხან თეატინელ მისიონერთა პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე, ხანაც პორტუგალიელ ავგუსტინელ მიაიონერთა მეთაური ამბროზიო დუშ ანჟუში.[1]

კათოლიკე მისიონერებს ქვეყანა დანგრეული დახვდათ როგორც სპარსელების, ასევე ოსმალების შემოსევების შედეგად. გორში მისიონერთა დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი. თეიმურაზ მეფემ გადაწყვიტა ისინი გამოეყენებინა სპარსელების მიერ დანგრეული ქალაქ გრემის აღდგენა-განახლების საქმეში, მაგრამ ისინი წააწყდნენ დიდ წინააღმდეგობებს სპარსელთა მხრიდან და მეფის განზრახვა გრემის აღდგენის თაობაზე განუხორციელებელი დარჩა. ამის შემდეგ მისიონერებმა ყურადღება მიაპყრეს საქართველოს მეზობლად მდებარე განჯის პროვინციას, რომლის მმართველი დაუდ-ხანი, წარმოშობით ქართველი იყო და იქ განიზრახეს მისიონის დაარსება, მაგრამ განჯაში პოლიტიკური ვითარების გართულების გამო ეს შეუძლებელი გახდა.

1633 წლის თებერვლიდან ქართლში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა. ქართლის მეფე გახდა მაჰმადიანი როსტომი. მართალია, მაჰმადიანი მეფე არ სდევნიდა მისიონერებს, მაგრამ მათი მოღვაწეობა ქართლში გარკვეულწილად იზღუდებოდა. ასეთ ვითარებაში წამოიჭრა საკითხი მისიონის გორიდან საქართველოს სხვა მხარეში გადასვლის შესახებ. ამ დროისათვის მისიონერთა ნორმალური მუშაობისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი აღმოჩნდა დასავლეთ საქართველო, კერძოდ, ოდიშის სამთავრო.[2]

---

[1] იქვე, გვ. 181.

[2] ზ. ქორთუა, საქართველოში თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1628-1633 წწ.) ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის – ისტორიული მუზეუმის XVII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, ზუგდიდი 1989 წ. გვ. 36.

# თავი V
# თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობა ოდიშის სამთავროში XVII ს. პირველ ნახევარში

თეატინელ მისიონერთა ოდიშის სამთავროში ჩამოსვლა დაემთხვა როსტომ მეფის დაქორწინებას ლევან II დადიანის და მარიამზე. როგორც ცნობილია, 1633 წელს როსტომ მეფემ ლევან II დადიანთან დამოყვრება, მისი დის, მარიამის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. ამ წინადადებას ოდიშის მთავარი დიდი კმაყოფილებით შეხვდა და თავისი მოციქულები მიავლინა ქართლში. ამ ელჩობას ხელმძღვანელობდა გამოცდილი დიპლომატი ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი.[1] 1634 წლის 4 იანვრის რელაციაში დონ ჯუზეპე ჯუდიჩე წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ თუ არა, რომ ამ ქორწინების საქმეზე ქართლიდან მომავალი გორზე გაივლიდა დადიანის ელჩი და მასთან ერთად მოდიოდა აგრეთვე სინიორ ნიკოლა, რომელიც ადრე თეიმურაზის ელჩად იყო მის უწმინდესობა პაპთან. ვიფიქრეთ, კარგი იქნებოდა გვეცადა დაგვეარსებინა სხვა ახალი მისიონი ოდიშის ქვეყანაში, მით უმეტეს, რომ სინიორ ნიკოლა უკან უნდა დაბრუნებულიყო სამეგრელოში და შეეძლო დიდი დახმარება გაეწია ჩვენთვის, რადგან ძალიან კარგად იყო მიღებული დადიანის კარზე და მის ფავორიტად ითვლებოდა. ჩვენი მოსაზრება გავუზიარეთ ელჩსა და სინიორ ნიკოლას, რომლებსაც ძალიან გაუხარდათ და დაგვაიმედეს, რომ ხელს შეგვიწყობდნენ მთავრის წინაშე, რომელიც მათ კარგი თვალით უყურებდა და მისი რჩეულები იყვნენ.“[2]

ამასთან დაკავშირებით არქანჯელო ლამბერტი წერდა: „განსაკუთრებით კი იმ ფაქტმა, რომ ელჩობაში შედიოდა ნი-

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[2] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 35.

კოფორე, რომელიც ამ ელჩობასთან კვლავ უნდა დაბრუნებულიყო ოდიშში. ჩვენ იმ აზრამდე მიგვიყვანა, რომ იმ მხარეში ბევრ რამეს მივაღწევდით, მით უფრო რომ ელჩები და ნიკიფორე გვამხნევებდნენ ამის წამოწყებაში, გვპირდებოდნენ დახმარებას."[1]

როგორც ჩანს, „სამეგრელოში თეატინელების მისიონის დაფუძნების მიზეზი გახდნენ იქიდანვე (ესე იგი სამეგრელოდან – ზ. ქ.) გამოგზავნილი ელჩები".[2] მისიონერთა სამეგრელოში ჩამოსვლის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ნიკიფორე იბრახმა, რომელმაც ურჩია მისიონერებს იქ გამგზავრება.

თეატინელი მისიონერების ერთი ნაწილის გორიდან სამეგრელოში გადასვლა – ეს იყო გორში მოღვაწე თეატინელი მისიონერების, კერძოდ, მათი პრეფექტის დონ პიეტრო ავიტაბილეს ინიციატივით წამოწყებული საქმე, რომელიც მან შეუთანხმა რომს, ვიდრე ამ გადაწყვეტილების განხორციელებას შეუდგებოდა.[3]

ამრიგად, 1633 წლის 23 ოქტომბერს არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე სამეგრელოს გზას დაადგნენ, რადგანაც ქუთაისის გზები შეკრული იყო თეიმურაზისაგან, ახალციხიდან მოუარეს, გადმოიარეს მთები და მივიდნენ გურიაში, სადაც დიდი პატივით მიიღო მისიონერები გურიის მთავარმა მალაქია კათალიკოსმა.[4]

ოთხი დღის შემდეგ მისიონერებმა გზა განაგრძეს და 19 ნოემბერს მივიდნენ ოდიშში, სადაც დადიანი იმყოფებოდა ილორში მხლებლებით და ეპისკოპოსებით წმინდა გიორგის დღეობაზე. ილორში დადიანმა ვერ მიიღო მისიონერები,

---

[1] მ. ტაბაღუა, საქართველო იტალიის ურთიერთობის ისტორიიდან XIII-XVII საუკუნეებში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1993, გვ. 117-118.
[2] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.
[3] მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.
[4] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე. დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

რადგან მეორე დღეს უნდა წასულიყო აქედან და მათ აცნობა რომ წასულიყვნენ მერკულაში, რათა იქ მიეღო.[1] ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს მ. პაპაშვილი როცა წერს: „... ეს იმიტომ მოხდა, რომ ლევან დადიანი, რომელსაც ამ დღეობაზე ახლდნენ ეპისკოპოსები და ბერძენი ღვთის მსახურები, მოერიდა მათი თანდასწრებით მისიონერების საჯაროდ მიღებას."[2]

მისიონერების მიღებამდე ნიკიფორემ მთავარს გააცნო მისიონერთა ჩამოსვლის მიზანი, რომ ისინი მოსულიყვნენ „ხალხში ღვთის სიტყვის საქადაგებლად და სარწმუნოების გასავრცელებლად... რომ (ისინი) უეჭველად დიდი სიკეთეს მოუტანენ ერსა და თვით მთავრისთვისაც მათი აქ ყოფნა მეტად სასიქადულო იქნება".[3]

მერკულაში მისიონერებმა მთავარს მიართვეს საჩუქარი, რაც დადიანს მეტად ესიამოვნა. ამის შემდეგ მათ მთავარს მოახსენეს: „უდიდესი მეფევ, ჩვენ... ევროპელი მონაზონები ვართ იესო ქრისტეს სახარების მიმდევარნი. არა სხვის ძალდატანებით, არც ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, არამედ ნებით დაგვიტოვებია ქვეყნიერი ამაოება... რომი არის ჩვენი ქვეყანა, საითგანაც, ვითარცა საეკლესიო საყდრითგან, რომის მღვდელთ მთავარი მოციქულთა მთავრის პეტრეს მოსაყრდე და იესო ქრისტეს მონაცვლე ამ ქვეყანაზედ, ყოველ ტომს უწესებს ქრისტიანებრივის სარწმუნოების კანონსა... მასვე ემორჩილებიან მეფეები და მთავარნი, იმან აგვირჩია და წარმოგვგზავნა თქვენდა სამსახურად ჩვენ, მოციქულებრივი მღვდლები... სრულებით არ გვსურს შეძენა სიმდიდრისა, ოქრო-ვერცხლისა და ან სხვისა, რაც კი შეიძლება მიანიჭოს კაცს აქაურის ქვეყნის სიუხვემ... დიდსულოვანო მთავარო, ჩვენი ერთად ერთი მიზანია ერს ვასწავლოთ

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.
[2] მ. პაპაშვილი, ლევან II დადიანის ევროპული ორიენტაცია, გვ. 177.
[3] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

კათოლიკე სარწმუნოების ჭეშმარიტება და მოვუპოვოთ საუკუნო ბედნიერება“.[1]

მთავარმა მეტად გულთბილად მიიღო მისიონერები და დახმარებას შეჰპირდა „რადგან იმ დროს ბერძნის მღვდლებიც იყვნენ იქ, ნიკიფორემ ურჩია (მისიონერებს – ზ. ქ.) პაპის წერილი მერმე გადაეცით მთავარსო, იმათაც ასე ქნეს.“[2] როგორც ჩანს, პაპის წერილი მთავრისთვის მერკულაში არ გადაუციათ.

დადიანმა დროებით დააბინავა მისიონერები ერთს თავის პალატში, კორცხელში, რათა დაღლილებს დაესვენათ.[3] მისიონერებმა აქ განკურნეს მთავრის 3 წლის დამბლადაცემული ასული. მთავარმა უბრძანა ამ ადგილის მცხოვრებლებს, რომ რიგ-რიგობით ეზრუნათ პატრებისათვის და მიეცათ მათთვის საჭმელი.[4] დედოფალმა მისიონერებისათვის ერთ პატარა გორაზე ეკლესია ააშენა. დედოფალს სურდა, რომ ეს ეკლესია არქანჯელო ლამბერტის მოეხატა, რომელიც შესანიშნავი მხატვარი ყოფილა. „ამ საყდრის მახლობლად ერთ-ერთი თავისი სახლი დაგვითმო, იქვე მეორე ეკლესიაც მოგვცა წმინდა წირვის დასაყენებლად“ - წერს ჯუზეპე ჯუდიჩე.[5]

კათოლიკე მისიონერებისათვის ეკლესიის გადაცემის ამბავს განსხვავებულად გვაწვდის მიხეილ თამარაშვილი: „მისიონერები თუმცა კარგად იყვნენ დაბინავებული და არაფერი აკლდათ, მაგრამ სამუდამო არც ეკლესია ჰქონდათ და არც სახლი. თავიანთი სადგომის გარშემო შემოიარეს და ჰპოვეს წიფურიაში ორი მშვენიერი თლილი ქვით ნაშენი ეკლესია, ამათგან ერთი ცარიელი იყო, რადგან დადიანს მისი

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 173.
[5] ჯუზეპე ჯუდიჩეს 1634 წლის 4 იანვრის რელაცია, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

გამგებელი ეპისკოპოსი თავისი დისათვის სულიერ მოძღვრად გაეტანებინა საქართველოში... ერთ დღეს (დადიანი – ზ. ქ.) ცხენით მიდიოდა იმ ეკლესიის ახლოს და თან ახლდა ეპისკოპოსები, მათთან ნიკიფორეც; დადიანმა ნიკიფორეს უთხრა: „კარგად იცოდე, რომ შენის ფრანგებისათვის ვიზრუნე და მოვუპოვე ეკლესიაც, რადგან გადავსწყვიტე, მივსცე მათ ეს ეკლესია თავისი ყმებით და მამულებით“. ეს რა გაიგონა ალავერდელმა (რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა – ზ. ქ.) თითქოს მთავარს ღმერთი ეგმოს, აღაპყრნა თვალნი ზეცას, დაიწყო გულში ცემა და წამოიძახა, ღმერთო შემიწყალე, ღმერთო შემიწყალე, ეს რა ამბავია, რა მესმის? ეს ეკლესია გინდათ მისცეთ ლათინებს? ნუთუ ეგენი მწვალებლები და ჩვენი სარწმუნოების მტრები არ არიან...?[1] ალავერდელის სიტყვებმა დიდი გავლენა იქონიეს დადიანზე, რომელმაც იმჟამად აღარ მისცა პატრებს ეკლესია.

1634 წლის ოქტომბერში მისიონერებმა ჩაიბარეს წიფურიის მამულები. ერთი წლის შემდეგ დადიანი თავისი ჯარით იმერეთს წავიდა საომრად. ლაშქრობის დროს ცხენიდან ჩამოვარდა და დასნეულდა. დადიანი არქანჯელო ლამბერტის დიდი მეცადინეობის შედეგად გამოჯანმრთელდა, რის შედეგადაც მისიონერებმა მთავრისაგან სამოღვაწეოდ წიფურიის ეკლესია მიიღეს მამულებითა და რამდენიმე ყმით. ამ ამბავს ჯუზეპე ჯუდიჩე რომს ასე ატყობინებდა: „ამ დღეებში მთავართან ვიყავი და თავისი პირით მითხრა: შენმა ამხანაგმა განმკურნაო; ... ამისთვის და სხვა მიზეზების გამო... მინისტრები ჩაგაბარებენ ეკლესიის კლიტეებსა. ახლა ის ეკლესია გვაქვს, მოვაწყვეთ და შიგ ვასრულებთ ყოველ ღვთისმსახურებას რომის ტიპიკონისამებრ, თუმცა კი ბერძნებმა არაფე-

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

რი დაზოგეს და დიდად ეცადნენ, მთავარს ხელმეორედ წაერთმია ჩვენთვის ის ეკლესია“.[1]

როგორც ჯუზეპე ჯუდიჩეს 1634 წლის 4 იანვრის რელაციიდან ჩანს, დედოფალს, ე. ი. ნესტან-დარეჯან ჭილაძეს კათოლიკე მისიონერებისათვის ეკლესია აუშენებია ერთ პატარა გორაკზე და წირვის დასაყენებლად მეორე ეკლესიაც მიუცია. პირველი, ახლადაშენებული ეკლესია, ვფიქრობთ, ხისა უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს მთავრის მეუღლემ მისიონერებს დროებით სამოღვაწეოდ ეკლესია გადასცა.

რაც შეეხება მ. თამარაშვილის მიერ გადმოცემულ ამბავს მისიონერებისათვის წიფურიის ეკლესიისა და მამულების გადაცემის თაობაზე, ეს ხდება ერთი წლის შემდეგ, 1635 წელს. სწორედ ამის გამო სწერდა ჯუზეპე ჯუდიჩე რომს: „ ... ეხლა ის ეკლესია გვაქვს, მოვაწყვეთ და შიგ ვასრულებთ ყოველ ღვთისმსახურებას რომის ტიპიკონისამებრ“.[2]

მისიონერები სამეგრელოში ჩასვლის დღიდან მთავრისა და დედოფლის უდიდესი პატივისცემით სარგებლობდნენ. ზუგდიდის სასახლეში ყოფნისას მისიონერებმა მთავარს გადასცეს პაპის წერილი, რაც მთავარს ძალზედ ესიამოვნა და პატრებს შეჰპირდა - „იტალიაში კაცს გავგზავნი და წიგნსაც გავატან, რათა პაპს ჩემი პატივი მივუძღვნაო“.[3]

მ. თამარაშვილი გვამცნობს, რომ მისიონერებისათვის ეკლესიის გადაცემას დიდად აღუშფოთებია თურმე კონსტანტინეპოლის პატრიარქი და მთელი სამთავროს შეჩვენება გადაუწყვეტია, მაგრამ მთავარს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

დაბინავების შემდეგ მისიონერებმა დაიწყეს მეგრულის შესწავლა და მალე შეისწავლეს კიდეც. მათ დაიწყეს ქადაგე-

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 174.
[2] იქვე, გვ. 174.
[3] ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

ბა მოსახლეობაში. ენის შესწავლა დიდი იარაღი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად.

როგორც ცნობილია, მისიონერობა კათოლიციზმის გავრცელების საქმეში იყენებდა მრავალ ფორმასა და მეთოდს, რომელთა ჩამოყალიბებასა და სრულყოფილებაში დიდი წვლილი მიუძღვის წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს. ამ სამისიონერო დაწესებულებამ გაითვალისწინა რა წარსული გამოცდილება, რომ მარტოდენ „ქრისტიანული კანონების მცოდნე“ მისიონერების საქმიანობა ნაკლებ პერსპექტიული იყო, დაიწყო თავისი კადრების ფართო სპექტრით მომზადება-სწავლება. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისიონერთა მომზადებას მეცნიერების, ხელოსნობისა და ხელოვნების დარგებში. საქართველოში გამოგზავნილი თეატინელთა ორდენის მისიონერები, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდად დახელოვნებულნი იყვნენ ამ დარგებში.

მისიონერების საქმიანობის ამოსავალი წერტილი, რასაკვირველია, სარწმუნოებრივი საქმიანობა იყო. თავიანთ რელაციებში მისიონერები მეტად მუქ ფერებში აღწერენ დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი ოდიშის სამთავროს სულიერ მდგომარეობას, აუგად მოიხსენიებენ ქართველ სამღვდელოებას, სწუნობენ მათი განათლების დონეს. მისიონერები თავიანთ საქმიანობაში მარჯვედ იყენებდნენ ყველა ცოდნასა და საშუალებას, რომელთაც კი ისინი ფლობდნენ. მოსახლეობაში კათოლიციზმის დასამკვიდრებლად განსაკუთრებით ეფექტური საშუალება მკურნალობა, სამედიცინო მომსახურება იყო. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში მოღვაწე მისიონერები პროფესიონალი მკურნალები არ იყვნენ, მათ საკმაოდ დიდი ცოდნა ჰქონდათ ამ დარგში. ...„როცა ავად ხდებიან, ჩვეულებრივად ჩვენ გვიხმობენ ხოლმე თავიანთ სახლში. მათ მივაჩნივართ ყველაზე სწავლულ მკურნალებად მთელს ქვეყანაზე. ხშირად, როდესაც მძიმედ დაავადებულნი სავსებით ჩვენს ხელთ

მოექცევიან და არ სურთ, რომ მათ სიცოცხლე სხვაზე იყოს დამოკიდებული, გადაგვეშლება ფართო ასპარეზი მათთან ქადაგებისა, ... მაშინ ისინი ქრისტიანობის მქადაგებლად ითვლებიან და მართლაც, ავადმყოფობის მიერ შეწუხებულებს უფრო მეტ მორჩილებას ვამჩნევთ“.[1] როგორც ჯუდიჩეს ზემოთმოყვანილი ცნობიდან ჩანს, მისიონერებს საკმაოდ აპრობირებული მეთოდი ჰქონიათ კათოლიკობის ქადაგებისათვის. აქვე გვინდა გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; ავადმყოფზე სარწმუნოებრივი ზემოქმედება მისი განკურნება-გამოჯანმრთელების მიზნით და სნეულის კათოლიკობაზე მოსაქცევად არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილშობილურ ჟესტად, მით უმეტეს, სასულიერო პირისთვის.

მისიონერები, როგორც სამედიცინო საქმის მცოდნენი, მკურნალობდნენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს – მდაბიოებს, თავადებს, სამთავრო სახლის წევრებს.[2] თვითონ მთავარი ლევან II დადიანი მოუცლელობის შემთხვევაში ავადმყოფ ბავშვებსა და მეუღლეს პატრების იმედად ტოვებდა. მთავარი, როდესაც ავად გახდებოდა ხოლმე, პატრების გარდა სხვას არავის ენდობოდა“.[3]

არქანჯელო ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“ გადმოგვცემს სამკურნალო საქმის ფრიად უნუგეშო მდგომარეობას ოდიშის სამთავროში. აქ მკურნალთა დეფიციტი ყოფილა, რის გამოც თურმე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ ექიმები. „სხვებზე უფრო მეტ პატივს სცემენ ფრანგებსა და იტალიელებსო“ - წერს ლამბერტი.[4] წყაროთა ცნობებით, იმ პერიოდში ქვეყანაში მრავალი სახის სენი ყოფილა გავრცელებული. ლამბერტი სამეგრელოში უმთავრე-

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.
[2] იქვე, გვ. 46.
[3] იქვე, გვ. 117.
[4] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

სად სამ ავადმყოფობას გამოჰყოფს, ესენია: ტყირპი, წყალმანკი და ხველა.[1] გარდა ამისა, გავრცელებული ყოფილა ციება, რომელიც მუსრს ავლებდა მოსახლეობას. უმთავრესად ეს აუცილებლობა, და არა მარტოოდენ საექიმო საქმისადმი სიყვარული, აიძულებდა მთავარს თვით გაეწია დასტაქრობა თავისი ხალხისათვის. „იმისათვის, რომ ექიმობა გაუწიოს თავის ხალხს, - წერს დონ კლემენტე გალანო, - კითხულობს სხვადასხვა საექიმო წიგნს, რომელიც გადმოთარგმნილია ლათინურიდან მათს ენაზე. შესწავლილი აქვს მრავალი სანელებელი, სამკურნალო ბალახი, მცენარის ძირი და აკეთებს მრავალ საცხს და სასმელს წამალს. ასეთი წამლებით სავსე აქვს ყუთები, რომელთაც თან დაატარებს და საჭიროებისამებრ ყველას ურიგებს“.[2]

1634 წელს გორიდან გურიაში გადმოვიდნენ დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ანტონიო ჯარდინა და ძმა კლაუდიო, რომლებმაც სათავე დაუდეს გურიის თეატინელთა მისიონს.[3]

დასავლეთ საქართველოში თეატინელ მისიონერთა საექიმო მოღვაწეობა უნდა შევაფასოთ როგორც გარკვეული ჰუმანური აქტი, რომელსაც პრაქტიკული სარგებლობა მოჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, თუმცა მათი სამედიცინო მოღვაწეობის შეფასებისას არ უნდა დაგვავიწყდეს უმთავრესი, ამ მოღვაწეობის სულიერი მხარეები, რომელსაც შეეძლო სერიოზული ზიანის მოტანა ქართული მართლმადიდებლობისათვის. „სხვა მისიონერებთან ერთად, - წერდა დონ ქრისტოფორო დე კასტელი, - რომელნიც ჩვეულებრივად სამ-ოთხ წელიწადს დაჰყოფდნენ ხოლმე, მე ვიცხოვრე და დღე და ღამე ვმუშაობდი, ჩემი მკლავები და ჯანი შევალიე ამ საქმეს. ოცდაექვსი წლის განმავლობაში ხალხის

[1] იქვე, გვ. 46.
[2] ი. ტაბაღუა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორია, თბ., 1992, გვ. 114.
[3] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

წყლულების სამკურნალოდ მთელი ჩემი სიცოცხლე მოვახმარე იმათ, ვინც აქ ცხოვრობს.“[1]

1633 წელს საქართველოში მოღვაწე კათოლიკე – თეატინელები და ავგუსტინელები ისპაჰანში მყოფ ლათინთა ეპისკოპოსს დაუმორჩილა წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ.[2] მ. თამარაშვილის ცნობით, რომში წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს საეკლესიო კოლეგია, რომელშიც ყველა გვარ-ტომის სამღვდელოება სწავლობდა, საქართველოს მიზეზით დაარსებულა.[3] აქედან ნათლად ჩანს რომის ინტერესი საქართველოს სამეფო-სამთავროებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისადმი.

დაახლოებით 40-იანი წლების დასაწყისში ლევან II დადიანს მიუღია პაპის ბულა პროპაგანდის კოლეგიის დაარსების შესახებ.[4]

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ქართულ ეკლესიაში აღნიშნულ პერიოდში ყველაფერი წესრიგში იყო. მისიონერთა შეფასებები მართალია ტენდენციურია მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებაში, მაგრამ საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენით დამკვიდრებულ ტრადიციებს საფუძველი საკმაოდ შერყეული რომ ჰქონია, ესეც ცხადია.

მისიონერებმა, დაინახეს რა დიდი კეთილგანწყობა და პატივისცემა დადიანის მხრიდან, გადაწყვიტეს მთავრის კათოლიკობაზე მოქცევა. ისინი თავიანთ რელაციებში აღიარებენ მთავრის ერთსულოვან, მეტად გულთბილ დამოკიდებულებას მათი მრავალმხრივი მოღვაწეობისადმი. მისიონერებს მთავრის მხრიდან ისეთი პატივისცემა ჰქონდათ, როგორსაც

---

[1] დონ ქრისტოფორე დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ., 1976, გვ. 52.
[2] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.
[3] იქვე.
[4] იქვე. გვ. 191.

ჯუდიჩეს თქმით „ამ მხარეში არავინ მოსწრებია“. მ. თამარაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, სამეგრელოში „ერი ასეთის პატივისცემით იმიტომ ეპყრობოდა პატრებს და გულმოდგინედ იმიტომ ისმენდა მათ სწავლა-ქადაგებას, რომ თვით მეფე აძლევდა ამის მაგალითს. რამდენი დრო გადიოდა და უფრო დაახლოვებით ეცნობოდა პატრებს, იმდენი უფრო მისი სიყვარული და პატივიც მატულობდა და ძლიერდებოდა. ფრანგების მიმართ პატივით და სიყვარულით ყველა საქართველოს მეფეს გადააჭარბა.“[1]

დადიანი მისიონერების გარეშე ვერ ძლებდა, მუდამ იმის ცდაში იყო რომ პატრები მასთან ახლოს ყოფილიყვნენ. ამის შესახებ ჯუდიჩე მოგვითხრობს 1640 წელს რომში გაგზავნილ წერილში: მთავარი „ხშირად თავისი ამალით მოვიდოდა და ჩვენს ახლოს დასდგამდა თავის კარავს ჩვენის სიყვარულისთვის, რათა უფრო ადვილად ესაუბრა ჩვენთან და თავისთან მიხმობით არ შევეწუხებინეთ. ხშირად დაწვრილებით ვლაპარაკობთ სხვადასხვა სასარგებლო საქმისთვის და ყველაფერს გულმოდგინედ ისმენს. ...ხშირად გვესაუბრება საუკუნო ცხოვრებისათვის, ...თავისი ერთგულება ბევრგზის დაგვიმტკიცა... როდესაც უქეიფოდ არის, სხვა არაფერს ჭამს, თუ არა პატრების გაკეთებულს და მათი ხელით მორთმეულს“.[2]

როგორც ზემოთ აღინიშნა, მისიონერთა უმთავრესი მიზანი სწორედ დადიანის კათოლიკობაზე მოქცევა იყო. ევროპული მასალებიდან  გამომდინარე, მთავარმა XVII საუკუნის 40- იანი წლების დასაწყისში კათოლიკობა მიიღო. ამ აზრმა გარკვეულწილად, კრიტიკული ანალიზის გარეშე შეაღწია ქართულ ისტორიოგრაფიაში და გარკვეული კითხვის ნიშანი დასვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ქართული

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.
[2] იქვე, გვ. 190.

კათოლიკობის აღიარებული მკვლევარი მ. თამარაშვილი ასე აღწერს დადიანის ,,გაკათოლიკების" ამბავს: „მეტადრე არქანჯელო ლამბერტის მიერ რა სცნო, რომ კანონიერად არ იყო მონათლული, ლათინის წესისამებრ მოინათლა. . . მეფემან ლევან დადიანმა რა მიიღო სრულებით კათოლიკე სარწმუნოება და შეიქმნა ახალი კონსტანტინე, ანუ თეოდოსიო, ხშირად ხმლითაც დაიცვა მიღებული სარწმუნოება. ამ ნათლისღების წყალმა როგორც სავლეს განუბნია თვალთა სიბნელე, იმასაც ისე გაუწმინდა მხედველობა, რომ სხვას აღარაფერს ხედავს, თუ არ რომის სარწმუნოებას, სხვას არაფერს ნატრობს, თუ არა რომის პაპის ნახვას, რათა მის ფერხთა ემთხვიოს და მის წინაშე აღიაროს კათოლიკე სარწმუნოება, რომელიც უკვე მიიღო."[1] აქვეა მეორე ცნობაც, რომლის მიხედვითაც დადიანმა თეატინელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე გაგზავნა რომში 1643 წელს პაპთან —„რათა განუცხადოთ (პაპს ზ. ქ.) ჩემი შვილობრივი ქვეშევრდომობა და მიღება კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელსაც აწ ვაღიარებ ღვთის მადლით."[2]

მ. თამარაშვილი ეყრდნობა ცნობილი იტალიელი ისტორიკოსის, ლევან II დადიანის თანამედროვე- ჯოზეფო სილოსის ცნობას.[3] სილოსი კათოლიკობის ისტორიის აღიარებული მკვლევარი იყო, რომელსაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდა როგორც წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ხელმძღვანელობასთან, ასევე საქართველოდან იტალიაში დაბრუნებულ მისიონერებთან. პროპაგანდა ფიდე დიდ მონდომებასა და დაფინანსებას ახმარდა მისიონერთა მომ-

---

[1]მ.თამარაშვილი,ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე,ტფ,1902,გვ 191, დოკ №71 გვ 648

[2]იქვე,გვ192

[3] Silos Jozepho Bituntino. Historiarum Clericorum Regolarium a Congregatione condita Par. Altera,Romae, 1635 p. 453 ციტ.მ.თამარაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 648

ზადებას, მათ განათლებას. საქართველოში მოღვაწე მისიონერები (ლამბერტი, ჯუდიჩე, კასტელი, ჯარდინა და სხვ.) მრავალმხრივ განსწავლული პიროვნებები იყვნენ. მისიონერები ადგილებზე გაწეული მუშაობის შესახებ ვატიკანის, კერძოდ კი პროპაგანდა ფიდეს ხელმძღვანელობას დეტალურ ანგარიშს აწვდიდნენ. სწორედ მათ მიერ გაგზავნილი წერილების საფუძველზე დაგროვდა ვრცელი მასალა ვატიკანში საქართველოს შესახებ. ამ წერილების აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა დროს იქნა გამოქვეყნებული. ჯოზეფო სილოსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზედმიწევნით იცნობდა მისიონერთა მოღვაწეობას და აღწერდა მას თავის ვრცელ ნაშრომში. მ. თამარაშვილის ცნობით, ლევან II დადიანს გადაუწყვეტია ჯუზეპე ჯუდიჩეს გაგზავნა პაპთან ელჩად და მისთვის გაუტანებია წერილი, რომელშიც დადიანის გაკათოლიკებასთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ამბავი ყოფილა გადმოცემული. მ. თამარაშვილი ამ წერილთან დაკავშირებით აღნიშნავს: „1) პაპთან ეს წერილი დადიანს ბერძნულად დაუწერინებია ტრაპიზონის მიტროპოლიტისთვის. . . 2) წერილი არა სჩანს, ხოლო ისტორიკოსი სილო თავის აღწერაში მოკლედ იხსენებს იმას და ამბობს, რომ იმ წერილით დადიანი პაპს დიდ მადლობას უცხადებდა მისიონერთა გამოგზავნისათვის . . . 3) როგორც ჩანს, დადიანს პროპაგანდის კარდინალებისთვისაც მიუწერია წერილი, გარნა არც ის წიგნი გვაქვს ხელში.“[1] რომში ჩასულ ჯუდიჩეს საქართველოსკენ ორი ახალი მისიონერი გამოაყოლეს და გამოატანეს წერილი დადიანთან. წერილის შინაარსს გადმოსცემს მ. თამარაშვილი, სადაც ნათქვამია, რომ პროპაგანდის კარდინალები აღფრთოვანებული არიან დადიანის გაკათოლიკებით და ჰპირდებიან მას შემდგომ თანადგომას. მ. თამარაშვილი დასძენს: „ამ წერილის დედანი ჩვენ ვერ ვიპოვეთ არქი-

[1] მ.თამარაშვილი,დასახელებული ნაშრომი, გვ 192

ვებში, ხოლო ისტორიკოს ფერროს[1] მოყავს ეს წერილი თავის ისტორიაში“. უნებლიეთ ჩნდება კითხვა, რატომ არ ჩანს ის წერილები, რომელთა საფუძველზეც იტალიელმა ავტორებ-მა დაასკვნეს დადიანის გაკათოლიკების შესახებ? ცნობი-ლია, რომ ჟამთა სიავისაგან მისიონერთა მრავალი წერილი თუ ჩანახატი დაიკარგა და განადგურდა და აღნიშნული ფაქ-ტი თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ნიშანდობლივია ერთი რამ: ჯუზეპე ჯუდიჩე, რომელიც დადიანის წერილით რომში ჩავიდა და შეხვდა უმაღლეს სასულიერო პირებს, და-დიანის დავალების პირნათლად შესრულების შემდეგ უკან გამობრუნდა. ცხადია, წერილი არქივს უნდა ჩაბარებოდა, საიდანაც სილოსს უნდა ესარგებლა. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს სილოსის აღნიშნული წიგნის ფოტოპირები, თუმცა მ. თამარაშვილის მეცნიერულ კეთილსინდისიერება-ში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ის აღნიშნული წერილის უქონლობის გამო პირდაპირ მიუთითებს თავის ნაშრომში. დადიანის გაკათოლიკებასთან დაკავშირებული მისიონერთა წერილები ვერც შემდგომი ხანის მკვლევარებმა აღმოაჩინეს ვატიკანში. საკითხავია, სილოსმა მისიონერთა გავლენით აღნიშნული ფაქტი ზეპირი გადმოცემის საფუძველზე ხომ არ შეიტანა თავის ნაშრომში?! მკვლევარი მ. პაპაშვილი აღნიშ-ნულთან დაკავშირებით წერს:

...,,შეუძლებელია თეატინელთა ისტორიის ცნობილ მკვლევარს ჯოზეფო სილოსის ასეთი ფაქტი შეეთხზა. უდა-ვოა, იგი ეყრდნობა ან ჯუზეპე ჯუდიჩეს, ან არქანჯელო ლამბერტის რომელიღაც წერილს (გამორიცხული არ არის სხვა რომელიმე მისიონერის წერილსაც), რომელიც ჯერჯე-

[1] იქვე, გვ. 193, დოკ 72, გვ. 648; Bartholomeo Ferro. Istoria delle Missioni dei Chierici Regolari,vol. I,Roma,1704.p.454

რობით აღმოჩენილი არ არის და მომავალ მკვლევარს ელის.''[1]

როგორც ჩანს, პირველწყაროს უქონლობის გამო არ არსებობს რეალური საფუძველი დადიანის მიერ კათოლიკობის აღიარების მტკიცებისა. საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაიწერა, მრავალგზის შეფასდა მათი როლი მაჰმადიანური იზოლაციის გარღვევის საქმეში, შესწავლილ იქნა ის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა, რაც მათ დატოვეს, მაგრამ ყოველივე ამასთან ხაზი უნდა გაესვას მათი ცნობების დიდ ტენდენციურობას. მისიონერები რომში გაგზავნილ თავიანთ ანგარიშებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმაოდ გაზვიადებულად წარმოგვიდგენდნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი და სოციალურ-კულტურული ცხოვრების სურათებს. მათ უნდა ეჩვენებინათ კათოლიკური რომის მესვეურთათვის, რომ საქართველოში მისიონერთა მოღვაწეობის შედეგად კათოლიკობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და ის აღიარა არა მარტო უბრალო ხალხმა, არამედ პოლიტიკურმა ელიტამაც. ჩვენი აზრით, სილოსი სწორედ მისიონერების სიტყვიერ გადმოცემას ეყრდნობა, როცა აღნიშნულ აზრს აყალიბებს. არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში თვრამეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ 1649 წელს რომში დაბრუნდა, მან ნანახი და განცდილი ქაღალდზე გადაიტანა და სამეგრელოზე ორი საინტერესო წიგნი გამოსცა, სადაც ის კათოლიკობის წარმატებებზე საუბრობს. სილოსი ლამბერტიზე უკეთეს ინფორმატორს ვერც იშოვიდა. ლევან დადიანის კეთილგანწყობა მისიონერებისადმი, რომში მის მიერ კათოლიკობის მიღებად მოინათლა, რამაც ასახვა ჰპოვა ჯერ სილოსის, შემდეგ კი ფეროს ნაშრომებში.

---

[1] მ.პაპაშვილი, ლევან II დადიანის ევროპული ორიენტაცია, საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. I.თბ.1999,გვ.181

ლევან II დადიანის დიდი საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა და აღდგენა-განახლებას, მართლმადიდებლობის განმტკიცებასა და მასზე ზრუნვას, საზღვარგარეთ არსებული ქართული სულიერი კულტურის ძეგლების გაძლიერებას ისახავდა, სრულებით გამორიცხავს სამთავროს კარზე განსხვავებული რელიგიური მრწამსის არსებობასა და აღიარებას. ლევან II დადიანი გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი საეკლესიო მოღვაწეა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა მართლმადიდებლობისა და ზოგადად, ქართული კულტურის განვითარებაში. ლევან II დადიანის კათოლიკობის საბუთად სილოსისა და ფეროს ცნობებს ვერ მივიღებთ მათი უსაფუძვლობის გამო.

საქართველოში მოღვაწე თეატინელი მისიონერები იბრძოდნენ ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. როგორც ისინი აღნიშნავენ, ლევან II დადიანს სპეციალური ბრძანებით ტყვეებით ვაჭრობა აუკრძალავს. ამ ამბავს 1640 წელს სიხარულით ატყობინებდა რომს ჯუზეპე ჯუდიჩე: „დიდი პატივის ნიშანია ჩვენთვის (რადგან ჩვენ უზომოდ გვანუგეშა) მეფის მიერ ჩვენდა სასიკეთოდ გამოცემა ბრძანებისა, რომელშიაც ამბობს, ამას იქით თათრებს ტყვედ აღარავინ მიჰყიდოს თავიანთი ქვეშევრდომებიო“.[1]

მისიონერების კაცთმოყვარულმა საქმიანობამ ხალხი მოხიბლა. „ერმა დაუწყო მათ ლოცვა-კურთხევა იმ ზომამდე, რომ მათ ღვთისკაცები, „ღორონთიშ კოჩი“ უწოდეს.“[2]

მისიონერები საქართველოში კათოლიკობის გასავრცელებლად ყველაზე ეფექტურ ღონისძიებად თვლიდნენ ადგილობრივი კადრების მომზადებას სამისიონერო საქმისათვის. ეს კარგად ესმოდათ რომშიც, სადაც ამ დროისათვის პროპა-

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.
[2] იქვე გვ. 180.

განდა ფიდეს კოლეჯში, რომელიც ამზადებდა მისიონერებს მსოფლიოს ყველა ერისათვის. ორი ადგილი დაეთმო სამეგრელოს მისიონს.[1]

სამეგრელოში მოღვაწე მისიონერებმა ურჩიეს მთავარს, რომ რომში გაეგზავნა ყმაწვილები წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში სასწავლებლად. 1643 ლევან II დადიანმა რომის პაპთან ელჩად გაგზავნა თეატინელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე. მას კათოლიკური ეკლესიის მეთაურთან ურბან VIII-სთან და წმიდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიისათვის მიჰქონდა ლევან დადიანის წერილები და მიჰყავდა ორი ყმაწვილი ზემოთხსენებულ კოლეჯში შესაყვანად. ამ ყმაწვილებს ერქვათ ანტონი და ანდრია. ამ უკანასკნელს, რომელიც დიდი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული, უსწავლია იტალიური და ლათინური ენები, დაუფლებია ლოგიკას, ფილოსოფიასა და თეოლოგიას, დაუცავს დისერტაციაც, მაგრამ მძიმე ავად გამხდარა და გარდაცვლილა.[2]

მეორე, ანტონიო, თუმცა არ ყოფილა დაჯილდოებული ასეთი მაღალი ნიჭით, მაგრამ მან აღნიშნულ კოლეჯში მიაღწია ხარისხს თეოლოგიურ მორალში და შემდეგ ერთ პრელატთან მოეწყო და დაეთხოვა კოლეჯს.[3] ამრიგად, ანტონი და ანდრია ის პირველი ქართველები არიან, რომლებმაც რომში დაიცვეს დისერტაცია ღვთისმეტყველების დარგში.

მ. თამარაშვილი აღნიშნავს, რომ კოლეჯში ქართველებისთვის განკუთვნილ ადგილებს ხშირად სხვა ერის წარმომადგენლები იკავებდნენ.[4] ქვეყანაში შექმნილი ურთულესი

---

[1] CH. H. Kalkar, Geshichte der Romish-Katolishen mission. Erlagen, 1867, s.5; მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

[2] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

[3] Don Archangelo Lamberti, Colchide Sacra, pp. 388-389.

[4] M. Tamarati, L`Eglise georgienne des origines Jusqu`a nos joure, Rome 1910. p. 525. შდრ. ქართული გამოცემა, თბ. 1995

მდგომარეობის გამო ქართველ პოლიტიკურ მესვეურებს არ შეეძლოთ ახალგაზრდების ევროპაში სასწავლებლად გაგზავნა, ამას დაემატა ისიც, რომ 50-იან წლების მიწურულისთვის თეატინელთა მისიონი საქართველოში ძალზედ დასუსტდა და 1700 წლისთვის შეწყვიტა კიდეც მოღვაწეობა.

მისიონერები მეტად გაზვიადებულად აღნიშნავენ სამეგრელოში მათ მიერ მონათლული მრევლის რაოდენობის შესახებ. ზოგ ცნობაში ეს რიცხვი ათასებს აღწევს. ამ მონაცემების რეალურობის შემთხვევაში კათოლიკობა უნდა ასახულიყო არა მარტო საეკლესიო ტრადიციაში, არამედ მოსახლეობის ყოფით ნორმებშიც. ხალხის მეხსიერებას, თუნდაც უმნიშვნელო ფორმით, უნდა შემოენახა ევროპელთა მისიონერული ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათები, რაც არ მოხდა. სამეგრელოში არ აშენებულა არც ერთი კათოლიკური ტაძარი, რადგანაც ამის საჭიროება არ იყო. მისიონერთა მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ ევროპასთან პოლიტიკური და კულტურული თანაზიარობის გამომხატველი იყო. თუმცა აქვე ავღნიშნავთ. რომ ეს ოდნავადაც არ აკნინებს მათ როლს ქართული კულტურისა და ისტორიის მნიშვნელოვანი საგანძურის დაცვა-შენარჩუნების საქმეში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ლევან დადიანმა მისიონერთა მოწვევისა და ხელშეწყობის პოლიტიკა აირჩია შეგნებულად და მისიონერებისადმი მისი მფარველობითი ურთიერთობა მიზნად ისახავდა ევროპასთან პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას და რეალიზაციას.

ამ კურსის უპირველესი ამოცანა იყო სამთავროში მოეზიდა დასავლეთ ევროპიდან ვაჭრები და შავი ზღვის საშუალებით სამეგრელო ჩაება საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ ნიჭიერ მთავარს კარგად ესმოდა, რომ „ევროპის ქვეყნების მაცოცხლებელ არტერიას სწორედ დაწინაურებული ეკონომი-

კა წარმოადგენდა“. ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირით გამოესწორებინა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და ვაჭრობა და ხელოსნობა ევროპულ ყაიდაზე გაემართა.[1]

სამთავროს ძალიან ცოტა, ან სულ არ ჰყავდა ვაჭრები, კვალიფიციური ხელოსნები, ამიტომაც აუცილებელი იყო მათი უცხოეთიდან ჩამოყვანა.

არსებული ვითარების გამოსასწორებლად ლევან II დადიანმა ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთან და იტალიელ მისიონერებთან ერთად შეიმუშავა პროექტი ახალი სავაჭრო გზით ევროპასთან ვაჭრობისა. ამ გზას საქართველოზე და კერძოდ, ოდიშის სამთავროზე უნდა გაევლო. ამ პროექტის შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთადერთი წყარო გაგვაჩნია. ეს არის დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს მიერ 1640 წლის 20 სექტემბერს რომში გაგზავნილი წერილი, სადაც ის წერს, რომ დადიანს დიდი სურვილი ჰქონდა ვაჭრების თავის სამთავროში დასახლებისა. ერთ-ერთ ბრძოლაში მან დაამარცხა იმერეთის მეფე და ამის შემდეგ იმერეთიდან სამეგრელოში გადმოიყვანა ასი სომეხი და ებრაელი ვაჭარი. სამეგრელოში ჩამოიყვანა აგრეთვე თურქი ვაჭრებიც. „შარშან ჩვენს პატრებთან საუბარში დადიანმა ცხოველი ინტერესი გამოამჟღავნა, - წერს ჯუდიჩე, - თუ შესაძლებელი იქნებოდა კონსტანტინეპოლიდან ზოგიერთი მდიდარი ვენეციელი ვაჭრის ჩამოყვანა, მაშინ დაავალდებულებდა მათთვის სხვა საქონლის გარდა, აბრეშუმის მიყიდვას მთლად მისი სამთავროდან, აგრეთვე ნაწილეობრივ სპარსეთისასას. ამისათვის, ვინც შავი ზღვით აბრეშუმით ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს, მათთვის აბრეშუმს სპარსეთიდან და სომხეთიდან ოდიშში ჩაიტანდნენ ნახევარ ფასზე უფრო იაფად, ვიდრე ჰალაბში გადასატანად დასჭირდებოდათ. ამგვარად, ნაღდ მოგებას ნახავენ ის ვაჭრები, რო-

[1] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 110.

მელნიც მთავრის საბაჟოდან გაჰყიდიან საქონელს და ფრანკებიც, რომლებიც აქ იაფად შესყიდულ საქონელს ზღვით ჩაიტანდნენ საფრანგეთში.[1]

როგორც მკვლევართა შორის სამართლიანადაა აღიარებული, ლევან დადიანის ეს პროექტი გარკვეულ მსგავსებაში ცნობილი მოგზაურისა და დიპლომატის, პიეტრო დელა ვალეს პროექტთან, რომელიც მან ირანის შაჰს შესთავაზა.[2] პროფ. ი. ტაბაღუას აზრით, ასეთი გეგმა ცნობილ იტალიელ მოგზაურსა და საქართველოში მოღვაწე თეატინელი მისიონერების მეგობარს პიეტრო დელა ვალესაც ჰქონდა.[3]

პიეტრო დელა ვალეს პროექტის მთავარი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ ირანის აბრეშუმი საქართველოს, შავი ზღვისა და პოლონეთის გავლით ჩაეტანათ ევროპაში. „სპარსეთის მეაბრეშუმეობის ძირითადი მხარეები, - უმტკიცებდა პიეტრო დელა ვალე ირანის სამეფო კარს, - შედარებით ახლოს იმყოფებიან შავ ზღვასთან. ამიტომ სპარსეთის აბრეშუმი შეიძლება ევროპაში გატანილ იქნეს მოკლე გზით, იმ გრძელი და საშიში გზების ნაცვლად, რომლებიც ალეპოზე და ორმუზზე გადიან და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვის გზებთან შედარებით ახალი გზა ძალიან მოკლე იქნება. ამ გზით ვაჭარი აბრეშუმს 10-20 დღეში გაიტანს, რადგანაც შავი ზღვა პატარაა, მაშინ, როდესაც ოკენის გზას 8-10 თვე სჭირდებოდა, თუ მეტი არა, ხოლო ხმელთაშუა ზღვის გზას 2-3 თვე“.[4]

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

[2] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 111.

[3] ი. ტაბაღუა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 117-118.

[4] Pietro Della Valle, Voyage de Pietro Della Valle gentil home Romain dans La Turqule... Paris, 1747, II –p. 403.

მართებულად მიგვაჩნია ი. ანთელავას აზრი, რომ დადიანი იცნობდა პიეტრო დელა ვალეს პროექტს მისიონერებისა და ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის მეშვეობით.[1]

ამრიგად, ლევან II დადიანის პროექტის მიხედვით ირანის აბრეშუმი საქართველოზე გავლით უნდა ჩაეტანათ შავი ზღვით ევროპაში. თუ ამ სავაჭრო გზით ევროპელები გაიტანდნენ ირანის აბრეშუმს, მათ ეს მეტად იაფი დაუჯდებოდათ ვიდრე ალეპოს გზით. გარდა ამისა, დადიანი აბრეშუმს ევროპაში გაიტანდა საქართველოდანაც. ამ ოპერაციაში ცხადია, მონაწილეობას მიიღებდნენ ოდიშის სამთავროში ჩამოსახლებული სომეხი და ებრაელი ვაჭრები.

1638 წელს, გორიდან დასავლეთ საქაერთველოს გავლით იტალიაში დაბრუნდა გორის მისიონის პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოსა და გურიაში მან მოინახულა აქ მოღვაწე მისიონერები, გაეცნო აქაური მისიების მუშაობას, რათა რომში ჩასულს, აქ არსებული მდგომარეობის შესახებ წმინდა კოგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესთვის ანგარიში წარედგინა, შემდეგ დონ პიეტრო ავიტაბილე კონსტანტინეპოლს გაემგზავრა. ამის შესახებ 1640 წლის 20 სექტემბრის წერილში ჯუზეპე ჯუდიჩე წერს: „ორი წელია მას შემდეგ, რაც აქედან კონსტანტინეპოლში წამოვიდა ჩვენი პატივცემული პატრი დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელმაც სხვა პროვინციების მაგალითებიდან იცოდა, რომ ვაჭრობასთან ერთად ხშირად კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებასაც ჰქონია ადგილი. ამ ფაქტზე კონსტანტინეპოლში ელაპარაკა ყოვლად აღმატებულ სინიორ ბაილოს, რომელიც დაჰპირდა, რომ ოდიშში გააგზავნიდა ვენეციელ ვაჭარს ჯერონიმო დე ტომაზის, მაგრამ არეულობისა და განხეთქილების გამო, რომელიც

[1] ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

ბრწყინვალე ვენეციის რესპუბლიკასა და თურქეთს შორის ჩამოვარდა, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.“[1]

ზემოთმოტანილ ცნობას თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ დონ პიეტრო ავიტაბილე გარკვეულწილად ინფორმირებული ყოფილა ლევან დადიანის სავაჭრო პროექტის შესახებ. შესაძლებელია, რომ ოდიშში მყოფ ავიტაბილეს დადიანმა გააცნო საკუთარი გეგმები იტალიასთან მომავალი სავაჭრო ურთიერთობების თაობაზე და სთხოვა რომ კონსტანტინოპოლში ვენეციის ელჩისთვის გაეცნო მისი პროექტი, რათა ბაილოს შემწეობით დაწყებულიყო სავაჭრო ურთიერთობის განვითარება სამეგრელოს სამთავროსთან, მაგრამ, როგორც ჯუზეპე ჯუდიჩეს ცნობიდან ჩანს, ეს ცდა უშედეგოდ დამთავრებულა.

მიუხედავად პირველი წარუმატებლობისა, ლევან დადიანს არ აუღია ხელი ევროპასთან სავაჭრო კავშირების ძიებაზე. ჯუდიჩე წერს: „რამდენადაც დადიანი ყოველდღიურად სულ უფრო მოუთმენლად ელოდება თავისი სურვილის შესრულებას, მან გადაწყვიტა ამ წელს, გლოვის დამთავრების შემდეგ (1639 წელს გარდაიცვალა ლევან დადიანის მეუღლე ნესტან-დარეჯანი – ზ. ქ.), აქ მყოფი ხომალდით ზემოხსენებულ აღმატებულებასთან კონსტანტინოპოლში გაგზავნოს ერთ-ერთი ჩვენი მამებიდან იმავე საკითხზე თხოვნით. ამის გამო მან თხოვნით მიმართა ჩვენს მამა-ვიკარიუსს, რომელსაც არ შეეძლო მისთვის უარი ეთქვა და აგზავნის ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დონ კლემენტე გალანოს კონსტანტინოპოლში, რათა მან განიხილოს ეს საკითხი ხსენებულ ბატონთან“.[2] ჯუდიჩე არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა შედეგი მოჰყვა კლემენტე გალანოს კონსტანტი-

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.
[2] მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

ნოპოლში გამგზავრებას, ან საერთოდ შედგა თუ არა ასეთი რამ.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, ლევან დადიანი კვლავ აგრძელებდა ევროპასთან კონტაქტების ძიებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1643 წელს დადიანმა რომის პაპთან ელჩად გაგზავნა თეატინელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე. მას კათოლიკური ეკლესიის მეთაურთან ურბან VIII-თან და წმინდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიისათვის მიჰქონდა ლევან დადიანის წერილები და მიჰყავდა ორი ყმაწვილი პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში შესაყვანად. რომში დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს პაპი ურბან VIII უკვე ცოცხალი აღარ დახვდა. მან ლევან დადიანის წერილი ახალ პაპს – ინოკენტი X-ს (1644-1655 წწ.) გადასცა. დადიანი რომის პაპს წერდა:

„უნეტარესო მამაო, ურბან VIII. მე თქვენ თაყვანს გცემთ უმდაბლესად!

უკვე ათი წელია, რაც ჯოზეფო და დონ არქანჯელო ჩემთან ჩამოვიდნენ და გადმოგვცეს თქვენი დიდად საპატივცემლო წერილი. თუმცა მაშინვე გადავწყვიტეთ, მასზე გვეპასუხა და თქვენთვის წერილი გამოგვეგზავნა შიკრიკის ხელით, მაგრამ ქვეყნის სიძნელეებმა რომელთა შესახებაც თქვენ ჯოზეფო მოგახსენებთ, არ მოგვცა შესაძლებლობა მოგვეხადა ჩვენი მოვალეობა. აი რატომ დავაგვიანეთ აქამდე.

მას შემდეგ, რაც ყოვლისშემძლე ღმერთის შემწეობით დავიმორჩილეთ ჩვენი მტრები, აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის მთავრები, ახლაც ჩვენ რამდენადმე თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

მამა დონ ჯოზეფოს ხელით წარმოგიდგენთ საჩუქრად ორ ბავშვს და გთხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას.

ჩვენ დიდი პატივით მივიღეთ მამები, რომლებიც თქვენ კეთილ ინებეთ და გამოგვიგზავნეთ, მათ მივეცით კარგი ეკლესია, საცხოვრებელი სახლები, მსახურები, რომლებიც მათ

მოემსახურებიან და საკმაო სურსათი. რამდენადაც ესენი კარგი მღვდლები არიან, ჩვენ განსაკუთრებულად დავალებული ვართ თქვენს წინაშე ასეთი ადამიანების გამოგზავნისათვის.

ძალიან კარგად გავიგეთ, რომ თქვენ მართავთ მთელს მსოფლიოს, როგორც მემკვიდრე წმინდა პეტრესი და უფლისა ჩვენისა ქრისტეს მოადგილე, გვინდა, რომ თქვენ გაგვიწიოთ მფარველობა და მმართველობა.

რამდენადაც აქ, ჩვენს სამთავროში არ არიან შალისა და აბრეშუმის მქსოველები, რომელთა ნამუშევრებით საშუალება მოგვეცემოდა დაგვემზადებინა ტანსაცმელი ჩვენი ქვეშევრდომებისათვის და ისინი იძულებულნი არიან ამ ნივთების საჭიროებისათვის ხშირად თურქებს მიჰყიდონ თავიანთი ყმები, თავიანთი სხეულისა და სულისთვის აშკარა საშიშროების მიყენებით, ეს საქმე აუტანელია, რაც საზიზღარია ბუნებრივადაც.

თქვენ გევედრებით გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ამ ხელობის ადამიანები, რათა მათი დახმარებით გავთავისუფლდეთ ამგვარი გაჭირვებისაგან. ჩვენ თვითონ გპირდებით ღმერთის წინაშე, რომ მათ მივიღებთ პატივითა და ხელგაშლილობით, თავიანთი სურვილის მიხედვით მივცემთ სახლებს, მოსამსახურეებს, კარ-მიდამოსა და ყოველივე იმას, რაც კი მათ დასჭირდებათ ადვილი და წყნარი ცხოვრებისათვის, უფრო მეტიც, მოწმედ დავიყენებთ სამებასა და თვითონ ღმერთის ერთობას, რომ არ გამოვიყენებთ არავითარ ძალას ამ ხელოსნების მიმართ. ჩვენ დავიტოვებთ მხოლოდ იმას, ვინც თავისი ნება-სურვილით დარჩება ჩვენთან. რომლებსაც შინ დაბრუნება ან სხვაგან წასვლა მოუნდებათ, მათთვის გზა ხსნილი იქნება.

და ბოლოს, ღმერთის წყალობა მისი უსაზღვრო ლმობიერება იყოს ჩვენთან სამუდამოდ. ასევე თქვენი ნეტარების

ვედრება და ლოცვა-კურთხევა, როგორც უფალი გვირჩევს, დაე, ისე აღსრულდეს.

წელი ქრისტეს მოსვლიდან 1643, ოქტომბრის თვე. დადიანი“.[1]

წერილის შინაარსის მიხედვით, რომის პაპისადმი ლევან II დადიანის სათხოვარი არ შეიცავდა პოლიტიკურ ელემენტებს. აქცენტი ძირითადად გადატანილია ეკონომიკურ დარგში დახმარების გაწევაზე. წერილიდან ნათლად ჩანს, დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ელჩობის ერთი მთავარი მიზანი: შალისა და აბრეშუმის მქსოველი ოსტატების ჩამოყვანა სამეგრელოში.

რადგან წერილის ადრესატი პაპი იყო, ცხადია, მას სამეგრელოში უნდა გამოეგზავნა ქსოვის მცოდნე მისიონერები. ახალმა პაპმა – ინოკენტ X-მ სწორედ შალისა და აბრეშუმის მქსოველი კაპუჩინელი მისიონერების გაგზავნა გადაწყვიტა სამეგრელოში.

“პაპმა ინოკენტ X-მ მხედველობაში მიიღო ლევან დადიანის თხოვნა. მან გასცა განკარგულება, რომ მოენახათ კაპუჩინ მისიონერებს შორის მღვდელები, რომელთაც ქსოვა ეცოდინებოდათ და თეატინელ მისიონერებთან ერთად გამგზავრებულიყვნენ საქართველოში. თუ როგორ დამთავრდა შემდეგში ეს ამბები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცნობილი არ არის”.[2]

რომში ჩასულმა ჯუზეპე ჯუდიჩემ ვატიკანის მესვეურთ მოახსენა სამეგრელოში არსებული მდგომარეობა და მთავრის მეტად გულთბილი დამოკიდებულება თეატინელი მისიონერებისადმი. მას დადიანის თხოვნის თანახმად მისცეს ორი ახალი თეატინელი მისიონერი: პატრო ჯოვანი მონ-

---

[1] M. Tamarati, L`Eglise Georgiane des origines jusqu`a nos jours, p. 555-556. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ. 1995.გვ. 611

[2] მ. ტაბაღუა, საქართველო-იტალიის ურთიერთობის ისტორიიდან XIII-XVII საუკუნეებში. (საკანდიდატო დისერტაცია). თბ.1994 გვ. 99.

თი მილანი და პატრი ჯაკომო მარცი ქრემონელი.[1] ზემოთხსენებული მისიონერები წამოვიდნენ იტალიიდან და 1646 წლის მარტში მიაღწიეს კონსტანტინოპოლს. მისიონერებს თან მოჰქონდათ კარდინალების წერილი ლევან დადიანთან.

დარდანელში მოსული მისიონერები თურქებმა ჯაშუშებად მიიჩნიეს და დააპატიმრეს. ლევან დადიანის ელჩი ჯუზეპე ჯუდიჩე საპყრობილეში გარდაიცვალა.

მალე საქმეში ჩაერივნენ პოლონეთისა და საფრანგეთის ელჩები და მისიონერები ტყვეობიდან დაიხსნეს. მათ კონსტანტინოპოლში შეუერთდა მორჩილი ძმა კლაუდიო. დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ 1647 წლის 6 აგვისტოს ეს მისიონერები ოდიშს ჩამოვიდნენ.[2]

როგორც ჩანს, კაპუჩინელი მქსოველი მისიონერები ოდიშს არ ჩამოსულან.

ამის შემდეგ ლევან დადიანმა გადაწყვიტა კონტაქტი დაემყარებინა იტალიის ერთ-ერთ დიდ პროვინციასთან – ტოსკანასთან და მის დიდ ჰერცოგ ფერდინანდ II-თან. მასთან წერილი დადიანმა გაატანა არქანჯელო ლამბერტის, რომელიც საქართველოში 18 წლის ყოფნის შემდეგ, 1649 წელს სამშობლოში ბრუნდებოდა. ეს წერილი ადრესატს ჩაუტანა დონ არქანჯელო ლამბერტიმ. ლევან დადიანის ეს წერილი დაბეჭდილია 1990 წელს ქალაქ პალერმოში გამოქვეყნებულ წიგნში „დიდებული საქმე“, რომლის ავტორია მილანის უნივერსიტეტის პროფესორი ბერნადეტე მაიორანა. ლევან დადიანი ტოსკანას დიდ ჰერცოგს სწერდა:

„მის ბრწყინვალებას, ტოსკანას დიდ ჰერცოგს. უბრწყინვალესო ბატონო!

ჩვენს ქვეყნამდე მოაღწია თქვენი უბრწყინვალესი სასახლის დიდებამ, რასაც მიაწერენ ასევე თქვენს ქვეშევრდომ

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 193.
[2] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

ადამიანებსაც, რომლებიც გამოცდილნი არიან ყველა ხელოვნებაში. ისინი თქვენი დახმარებით ამზადებენ ისეთ საგნებს, რომლებსაც ვერ იპოვი ვერც ერთ სხვა ქვეყანაში. განსაკუთრებით ეს შეეხება წამლებს.

იმის გამო, რომ ჩემი უფროსი ვაჟიშვილი, მძიმე ავად გახდა და აქამდე ვერავინ ვერ შეძლო მისი განკურნება, მე მეჩვენა მიზანშეწონილად, დამევალებინა თეატინელი მამა დონ არქანჯელო ლამბერტისათვის, რომელიც 16 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა ჩვენთან, ჩვენს ქვეყანაში, რათა მან აუხსნას თქვენს ბრწყინვალებას ჩემი საჭიროების შესახებ. ვიმედოვნებ თქვენს გულმოდგინებაზე და დახმარებაზე. მოკლედ, ჩემს მხრიდან ვპირდები თქვენს ბრწყინვალებას ყოველგვარ მხარდაჭერას.

ოდიშიდან, 1649 წლის 3 მაისი. თქვენი უმაღლესი ბრწყინვალების თავდადებული მსახური ლევანი".[1]

ტოსკანის საჰერცოგოსთან დაკავშირების მცდელობა დადიანის მიერ შემთხვევითი არ ყოფილა. მისიონერების მეშვეობით დადიანმა კარგად იცოდა ამ დროს ტოსკანის დიდი საჰერცოგოს ძლიერების საფუძვლები. ამ პერიოდის ტოსკანის წვრილ აბსოლუტისტურ სახელმწიფოში დიდად იყო განვითარებული მეაბრეშუმეობა და იყვნენ მაღალკვალიფიკაციური ხელოსნები.[2]

---

[1] Bernadette Majorana, La Gloriosa impresa, Palermo, 1990, p. 135. თავის დროზე ეს წიგნი, აღნიშნული წერილის საკუთარი თარგმანით გადმოგვცა პროფ. ილია ტაბაღუამ, რისთვისაც მადლიერებით პატივს მივაგებთ მის ხსოვნას.

[2] История Италии. Т. I, М. 1970, стр. 481. მიუხედავად მეაბრეშუმეობის განვითარებისა, აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ იტალიურ (ფლორენციულ) აბრეშუმს მსოფლიო ბაზარზე სერიოზულ კონკურენციას უწევდა ინგლისური, ფრანგული და ჰოლანდიური აბრეშუმი. ამ ქვეყნების ნაწარმი გაცილებით იაფი და ხელმისაწვდომი იყო ევროპელი მყიდველისთვის. ვფიქრობთ, რომ ფლორენციის მესვეურთათვის ფრიად სასურველი უნდა ყოფილიყო სავაჭრო ბაზრის გაფართოება და შესაძლო კავშირების დამყარება ახალ კომერციულ პარტნიორებთან. ამ შემთხვევაში ოდიშის სამთავროსთან.

ტოსკანის დიდ ჰერცოგს ფერდინანდ II-ეს უპასუხოდ არ დაუტოვებია ლევან დადიანის წერილი. 1651 წლის 1 აპრილით დათარიღებულ წერილში ჰერცოგი სამეგრელოს მთავარს მის ძირითად თხოვნაზე პასუხობს: „მე ვუბრძანე, რომ აღმოუჩინონ ეს სამსახური თქვენს უმაღლესობას ზემოხსენებული მამის (დონ არქანჯელო ლამბერტის – ზ. ქ.) თანაამხანაგების საშუალებით.[1]

ფერდინანდ II იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალშიც არ დაიშურებდა მისიონერებზე ზრუნვას. თავის მხრივ კი მზად იყო სამსახური გაეწია სამეგრელოს მთავრისათვის.[2]

ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში, არ ჩანს, თუ რით დამთავრდა ტოსკანის ჰერცოგთან ლევან დადიანის ურთიერთობის ცდები. ჩანს, რომ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრებულა. საერთოდ, დადიანის მიერ აღებულ ევროპულ კურსს ნავარაუდევ გეგმებში შედეგი არ მოჰყოლია.

იმჟამინდელი ურთულესი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო აღებ-მიცემობა, ვაჭრობა ქვეყანაში თითქმის არ წარმოებდა. ამ მიმართულებით ინიციატივა აღებული ჰქონიათ სომეხ, ებრაელ და სპარსელ ვაჭრებს. აკი ლევან დადიანმა ქალაქი რუხი სომეხი და ებრაელი ვაჭრების ბაზაზე გახსნა. როგორც დასავლეთ საქართველოში მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალიდან ჩანს, XVII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონიათ ევროპისა და აზიის ქვეყნებთან. აქ ძირითადად ოსმალური მონეტები ყოფილა გავრცელებული. მოგვიანებით ლევან დადიანი, ირანთან ვაჭრობის მიზნით, საკუთარ ზარაფხანაში ირანული ყაიდის ფულს ჭრიდა.[3] რუსეთის ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი იმერეთში მიმოქცევაში მყოფი

---

[1] Bernadette Majorana, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.
[2] იქვე, გვ. 138.
[3] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 143.

ევროპული მონეტების – დუკატებისა და ტალერების გვერდით აბაზიანებსა და ნახევარაბაზიანებსაც ასახელებენ.[1] ფულის ეს ნიშნები ირანულის მიბაძვით იჭრებოდა სამეგრელოში.

არქანჯელო ლამბერტი წერს, რომ მეგრელები, „უფრო აფასებენ უცხო ფულს, მაგალითად, უნგულს, ცეკინოს და ესპანურ რეალებს“.[2]

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სხვა ევროპული (ვენეციური, ჰოლანდიური, ავსტრიული, უნგრული, ესპანური და სხვ.). მონეტების გვერდით, პოლონეთლიტვის გაერთიანებული სამეფოსა და ბრანდენბურგ-პრუსიის მონეტებიც შემოდის. ისინი მტკიცედ იკიდებს ფეხს საქართველოს ფულად ბრუნვაში და მომსახურებას უწევს ფულის საერთაშორისო და შინაგან მიმოქცევას.[3]

მიუხედავად ლევან II დადიანის სავაჭრო-ეკონომიკური პროექტის განუხორციელებლობისა, დასავლეთ საქართველო, მართალია სუსტად, მაგრამ ჩაბმული იყო საერთაშორისო ვაჭრობის ქსელში. ზემოთხსენებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ცხადია, ქვეყანა უდიდეს მოგებას ნახავდა, რაც მისი ძლიერი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პოტენციალის საწინდარი იქნებოდა. სწორად შენიშნავს ი. ანთელავა, რომ „ლევან II დადიანის პროექტი მიუხედავად მისი წარუმატებლობისა, საინტერესო და ყურადსაღები ფაქტია“.[4]

---

[1] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, რუსული ტექსტი ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1969, გვ. 170.

[2] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

[3] რ. ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1971, გვ. 135.

[4] ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

# დასკვნა

XVII საუკუნის დამდეგისათვის დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა საგარეო პოლიტიკა ძირითადად მათ სიუზერენთან – ოსმალეთთან ურთიერთობით იყო განპირობებული.

მართალია, სპარსეთსა და ოსმალეთს შორის საქართველოს გაყოფა გავლენის სფეროებად 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულებამ დე იურედ გამოცხადდა (აღმოსავლეთ საქართველო – ქართლის, კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილი სპარსეთს, ხოლო დასავლეთ საქართველო – იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილი – ოსმალეთს), მაგრამ შესაძლებელ შემთხვევაში თითოეული მხარე ცდილობდა ამ ხელშეკრულების უარყოფას, ან მახლობელ აღმოსავლეთში არსებული სიტუაციის შესაბამისად შესაფერისი კორექტივები შეჰქონდა მასში.

დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ოსმალეთთან XVII საუკუნის პირველ ნახევარში შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ფორმალური ვასალიტეტი. სპარსეთთან გამუდმებულ საომარ მდგომარეობაში მყოფი ოსმალეთისათვის ვასალური დამოკიდებულების ეს ფორმა სავსებით მისაღები იყო. დასავლეთ საქართველოში ოსმალეთს რაიმე სერიოზული დაბრკოლების გადალახვა არ უხდებოდა. იგი ქართული სამეფო-სამთავროებისაგან ხარკის მიღებით კმაყოფილდებოდა, სჯერდებოდა სიუზერენ-ვასალის ურთიერთდამოკიდებულების იმ ნორმებს, რომლებიც მის მიერ იყო დაწესებული დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების მიმართ.

ოსმალეთის პოლიტიკური ზეგავლენა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებზე XVII საუკუნის პირველ ნახევარში ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ოსმალეთს ხშირად

თავისი გაჭირვებული მდგომარეობის პერიოდებიც ჰქონდა, რითაც სარგებლობდნენ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები და ოსმალეთისა და სპარსეთის ურთიერთდაპირისპირების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას, ან სხვა, ახალი ძალის გამონახვას ცდილობდნენ. წყაროების ნაკლებობის, ან ხშირად უქონლობის გამო ძნელია ნახევარსაუკუნოვან მონაკვეთში ზუსტად განისაზღვროს დასავლეთ საქართველოს თითოეული სამეფო-სამთავროს საგარეო პოლიტიკური კურსი, მაგრამ ძირითადად შეიძლება ითქვას შემდეგი: დასავლეთ საქართველოს საგარეო ურთიერთობებში განსაკუთრებით საინტერესო კურსის გამტარებელი ოდიშის სამთავრო და მისი ხელისუფალი ლევან II დადიანი იყო.

ისარგებლა რა 30-იან წლებში ოსმალეთში დაწყებული არეულობით, ლევან II დადიანმა გადაწყვიტა სპარსეთის სახით ახალ პარტნიორთან ურთიერთობის დამყარება. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების საქმიანობა ძირითადად იქითკენ იყო მიმართული, რომ სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ძალთა თანასწორობა და მუდმივად დაძაბული ურთიერთობა ყოფილიყო, რათა არც ერთ მათგან არ ჰქონოდა საშუალება საქართველოზე შეტევისა. ქართველებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ სპარსეთისა და ოსმალეთის ინტერესების შეჯახება საქართველოზე ბატონობისთვის ხდებოდა.

ლევან II დადიანმა კარგად იცოდა ჯერ ერთი ის, რომ სპარსეთი პირდაპირი გზით ოსმალეთის ხელდებულ ქვეყანაში, ე.ი. დასავლეთ საქართველოში ვერ შემოვიდოდა და ამით ახლადშეძენილი მაჰმადიანი პარტნიორისაგან შესაძლო ზეწოლა გამორიცხული იქნებოდა, მეორეც, სპარსეთთან ურთიერთობას, ევროპული წყაროების მიხედვით, ლევან დადიანი უფრო ეკონომიკურ ასპექტზე აგებდა და მესამეც, ოსმალეთთან შესაძლო პოლიტიკური გართულებების დროს

სპარსეთი დადიანისთვის ფრიად სასურველი მოკავშირე უნდა ყოფილიყო.

თავის მხრივ შაჰის კარიც დიდად მოხარული იყო დადიანის მიერ სპარსული ორიენტაციის აღებით. დადიანის დამოყვრება სპარსეთის ვალთან ქართლში – რენეგატ როსტომთან, სპარსეთის ხელმძღვანელობას იმედებს აღუძრავდა იმისა, რომ დადიანის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა იმერეთს შეხიზნული ქართველი მეფე – თეიმურაზ I-ის ხელში ჩაგდება, რადგანაც თეიმურაზი ქართლის დაბრუნებაზე ნებით არასდროს არ იტყოდა უარს, ოდიშთან ქართლის კავშირის საშუალებით კი ეს საკითხი შეიძლებოდა ქართლის სასარგებლოდ საბოლოოდ გადაწყვეტილიყო. შაჰი იმასაც იმედოვნებდა, რომ იმერეთში მყოფ თეიმურაზთან ბრძოლის საბაბით იგი ქართლ-კახეთს იმერეთსაც შეუერთებდა და ამ გზით რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში საიმედო დასაყრდენი უნდა გაეჩინა. ოსმალეთთან ომში დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა შავი ზღვის მისასვლელებს. რასაკვირკველია, ამ საქმეში სპარსეთს ერთგულ მხარდამჭერად დადიანი მიაჩნდა. სწორედ ამიტომ იყო სპარსეთი დადიანისთვის „ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი“ მოკავშირე.

ოსმალეთი, რასაკვირკველია, ხედავდა ვასალის ურჩობას და სათანადო ღონისძიებებსაც ღებულობდა მის დასასჯელად. ოსმალეთის მთავრობამ, მიუხედავად კრიზისული მდგომარეობისა, 1634 წელს სამხედრო დესანტი შეუსია კოდორის კონცხს და დაარბევინა დრანდის მონასტერი. ეს იყო ოსმალეთის მიერ ოდიშის სამთავროს მიმართ გატარებული მკაცრი ღონისძიება. უფრო მეტის შესაძლებლობა სპარსეთთან ომში ჩაბმულ და ქანცგამოცლილ ოსმალეთს არ ჰქონდა.

1639 წელს სპარსეთ-ოსმალეთს შორის დაიდო ზოჰაბის, ანუ კასრ-ი შირინის ზავი. ამ ზავით დასრულდა ომები, რომლებსაც სპარსეთი და ოსმალეთი აწარმოებდნენ XVI-XVII

საუკუნეებში და აღდგენილ იქნა 1555 წ. ამასიის ზავის პირობები, იმ განსხვავებით, რომ ეხლა სამცხე მთლიანად ოსმალეთის ტერიტორიად იქნა ცნობილი.

როდესაც ვაჯამებთ ლევან II დადიანის საგარეო პოლიტიკურ კურსს ოსმალეთთან და სპარსეთთან, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი მის მიერ წარმოებულ ლავირების პოლიტიკას. მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური კლიმატის სწორი შეფასების უნარი საშუალებას აძლევდა სამეგრელოს სამთავროს მესვეურს სიტუაციის მიხედვით ემოქმედა და ერთი ბატონის „ყმობა“ მისთვის მისაღებ ფარგლებში მეორით შეეცვალა.

XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან განსაკუთრებით ძლიერდება ქართული სამეფო-სამთავროების კონტაქტები ევროპასთან, განსაკუთრებით კი კათოლიკურ რომთან. ამ კონტაქტების ინიციატორად თვითონ ვატიკანი გამოდიოდა. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები: ევროპაში დაწყებულმა ფართო რეფორმისტულმა მოძრაობამ საგრძნობლად შეარყია პაპების ჰეგემონია, ვატიკანი დანაკლისის ანაზღაურებას აღმოსავლეთში ცდილობდა და ამ მიზნით სერიოზულად შეუდგა მისიონერთა მომზადებას ამ ქვეყნებში წარსადგენად. მისიონერთა ამ საქმისათვის მოსამზადებლად 1622 წელს ვატიკანში შეიქმნა წმინდა კონგრრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ იეზუიტთა, დომინიკანელთა და თეატინელთა კათოლიკური ორდენების წაარმომადგენლები.

საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის ფართო ხასიათის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარების საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თეატინელთა ორდენის წარმომადგენელთა დიდი დამსახურება. თეატინელი სწავლული ბერების მეშვეობით საფუძველი ეყრებოდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა პირველ კონტაქტებს მოწინავე სამყაროსთან. საქარ-

თველოში თეატინელი მისიონერების ჩამოსვლის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ცნობილ იტალიელ მოგზაურს პიეტრო დელა ვალესა და არანაკლებ ცნობილ დომინიკანელ მისიონერს გრიგორიო ორსინის. პიეტრო დელა ვალემ, წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს დავალებით, სპეციალური ინსტრუქცია შეიმუშავა აღმოსავლეთის ქვეყნებში და კერძოდ, საქართველოში კათოლიკე მისიონერთა სამოღვაწეოდ. ამ ინსტრუქციის ცალკეული მუხლების დეტალური ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ჩამოსულ კათოლიკე ბერებს სასულიერო საქმეების გარდა წმინდა პოლიტიკური ხასიათის მისია ეკისრებოდათ.

